C M Y K

საერთო გაზეთი

№7 (319) ● 4 მარტი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

ის, რაც ლართან დაკავშირებით მოხდა, ფაქტობრივად, ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა

გოგი თოფაძე:

საქართველოში მინის გასხვისება კატასტროფა იქნება, ე.ი. ჩვენ ჩვენს შთამომავლობას მონობისკენ ვუბიძგებთ?

რა საფრთხეებს შეიცავს საქართველოსთვის მის ტერიტორიაზე ნატოს სასწავლო ცენტრის განთავსება?

ხოსწდი ბალათუჩია:

ეჭვი მაქვს, რომ „თბილგაზის“ მფლობელი კალაძეა და გაზზე ფასი ამიტომაც იზრდება

ფრანსუა ოლანდი:

ნატოს გაფართოება არ უნდა მოხდეს



ვლადიმერ ხომერიკი:

როგორც ცოფიანი ძაღლი, ისე დაჰყავთ ყელსაბამით ამერიკელებს სააკაშვილი და ხან სად „მიაბამენ“ და ხან სად...

ვაჟა ბერიძე:

როდესაც ქადაგიძე ივანიშვილის საპასუხოდ განცხადებას აკეთებს, შეფასებებში მეტი თავშეკავება მართებს

დავით გაგნიძე:

მივმართავ საქართველოს პროკურატურას – ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინააღმდეგ აუცილებლად უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე

აპირებს თუ არა საქართველოს ექს-პრეზიდენტი „მაიდანის“ მოწყობას თბილისში

„საიდან მოდის სილამაზე? სად იკარგება?“

„მარად და ყვეიგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

პეტრიოტი

ის, რაც ლართან დაკავშირებით მოხდა, ფაქტობრივად, ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა

„საერთო გაზეთი“ პირველი იყო, ვინც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის ქმედებებს ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკურ-ფინანსური ტერაქტი უწოდა.

გასაოცარი და გასაკვირია, რომ „ნაციონალების“ ფავორიტი, „ნაციონალების“ მიერ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სავარძელში ჩაბრძანებული გიორგი ქადაგიძე დღემდე ინარჩუნებს ამ პოსტს და არავის აზრად არ მოსდის, რომ ადვილი შესაძლებელია, ეს ადამიანი დღესაც „ნაცმოძრაობის“ გავლენის ქვეშ იმყოფება და მათ მითითებებს ასრულებს.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ის არაკომპეტენტური კომენტარები, რომლებსაც, ბატონი ქადაგიძე ქედმაღლური ტონით, საიდანღაც ზემოდან აკეთებს და მოწყალებასავით მიუგდებს ხოლმე საქართველოს დაზაფრულ მოსახლეობას.

ექსპერტთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, გასული წლის ბოლოს ლარის მოულოდნელი გაუფასურების არავითარი ობიექტური მიზეზები არ არსებობდა და ის, რაც მოხდა, იყო არა ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის უუნარობის, არამედ ხელოვნურად გამოწვეული აფეთქების ბრალი, რაც თამამად შეიძლება შეფასდეს როგორც ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკურ-ფინანსური ტერაქტი.

ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა დაიწყოს კვალიფიციური გამოკითხვა ამ ტერაქტის შემკვეთების და მისი შემსრულებლების გამოსავლენად. სხვანაირად ეს ტერაქტები კვლავ გაგრძელდება“ („ს.გ.“, N6,2015 წ.).

„საერთო გაზეთის“ დღევანდელ ნომერშიც მკვეთრად არის დაფიქსირებული ჩვენი რესპონდენტების საერთო პოზიცია, რომ ლარის კურსის გაუფასურებასთან დაკავშირებული საკითხებით დაუყოვნებლივ უნდა დაინტერესდნენ სათანადო სტრუქტურები.

გიორგი ქადაგიძე: „მინდა მოვუწოდო ხელისუფლების წარმომადგენლებს, მთავრობის წარმომადგენლებს, მმართველი პოლიტიკური კოალიციის წარმომადგენლებს, შეწყვიტონ მყისიერად თავდასხმა ეროვნულ ბანკზე. ასეთი თავდასხმები, პირველ რიგში, მინდა ხაზი გავუსვა, ვნებს და მაზიანებს არა მე, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, არამედ ურტყამს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. ის ვნებს ინვესტორების განწყობებს და კონტრპროდუქტიული არის იმ პროცესების პარალელურად, რაც დღეს ვითარდება.“

ბოლო სამი თვის განმავლობაში მიმდინარე უაღრესად საგანგაშო პროცესების თუნდაც ზედაპირული ანალიზი აუცილებლად მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ ის, რაც მოხდა, ეს იყო კარგად ორგანიზებული ფართომასშტაბიანი ეკონომიკური დივერსია ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული, როგორც ეროვნული ბანკი და სხვა საფინანსო ინსტიტუტები, ასევე „ნაცმოძრაობის“ კონტროლს დაქვემდებარებული საინფორმაციო საშუალებები, პოლიტიკოსები, ე.წ. ექსპერტები და ა.შ.

ის, რაც ლართან დაკავშირებით მოხდა, ფაქტობრივად, ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების გაბედული ნაბიჯების წყალობით, თავიდან იქნა აცილებული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და ამ მცდელობას გაგრძელება არ ექნება.

სწორედ ამიტომ არის საჭირო მომხდარი ფაქტის კომპლექსური, საფუძვლიანი გამოძიება და იმ პირების მხილება, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ დივერსიაში.

გიორგი ქადაგიძე რომ „ნაციონალებთან“ მჭიდროდ თანამშრომლობს, ეს ნათლად გამოჩნდა მის მიერ გამართულ ბრიფინგზე, სადაც მან, ფაქტობრივად, თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა.

გიორგი ქადაგიძე ტიპიური „ნაციონალია“ და ის ამ ბრიფინგზე ზუსტად ისე ემუქრებოდა და ზუსტად ისე აშანტაჟებდა ხელისუფლებას, როგორც ამას სხვა „ნაციონალები“ აკეთებენ.

საქართველოს მოსახლეობას ძალიან კარგად ახსოვს ის ამაზრზენი, ცინიზმით და უტიფრობით გაჯერებული დანაშაული, რაც 2012 წელს ეროვნულმა ბანკმა მისი პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის „სარდლობით“ ბანკი „ქართუს“ მიმართ ჩაიდინა.

ბიძინა ივანიშვილი შურისმაძიებელი ადამიანი რომ ყოფილიყო, ქადაგიძე ახლა ციხეში იქნებოდა, მაგრამ ივანიშვილმა ეს არ გააკეთა...

დიდსულოვნება და მიმტევებლობა, რაც ივანიშვილს ახასიათებს, სამწუხაროდ, ბევრჯერ ცუდად შემოუტრიალდა მას.

ლმობიერება და გულმოწყალება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს კანონის აღსრულებას, რადგან აქედან ერთი ნაბიჯია დაუსჯელობის სინდრომამდე, რაც ყველაზე დიდი ხიფათის შემცველია სახელმწიფოს არსებობის და მისი განვითარებისთვის.

„საერთო გაზეთი“

ფრანსუა ოლანდი: ნატოს გაფართოება არ უნდა მოხდეს

საფრანგეთის პრეზიდენტის, ფრანსუა ოლანდის განცხადებით, ნატოს გაფართოება არ უნდა მოხდეს და იმ ქვეყნებს, რომლებსაც ალიანსში გაწევრიანება სურთ, უარი უნდა ეთქვათ. ამის შესახებ მან ალიანსის გენერალურ მდივანთან იენს სტოლტენბერგთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„განვიხილეთ, თუ რა შეიძლება გააკეთოს საფრანგეთმა ალიანსის წევრების უსაფრთხოებისთვის. გვაქვს არსებითი თავდაცვის საშუალებები. ბევრმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს არა ის თუ რას ვაკეთებთ, არამედ ის, რა შეგვიძლია გავაკეთოთ სხვადასხვა საფრთხეებზე საპასუხოდ. რაც შეეხება ქვეყნებს, რომლებსაც სურთ ნატოს შემოუერთდნენ, საფრანგეთი ფიქრობს, რომ ამ აპლიკაციებს უარი უნდა ეთქვათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნატო ამ ეტაპზე არ უნდა გაფართოვდეს“, - განაცხადა ფრანსუა ოლანდმა.

საფრანგეთის პრეზიდენტი უკრაინაში არსებულ სიტუაციასაც შეეხო და მინსკის შეთანხმების შესრულების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

„რაც ხდება აღმოსავლეთში, განსაკუთრებით უკრაინაში, კიდევ უფრო უნდა დაგვარწმუნოს ჩვენ, რომ მინსკის შეთანხმება არის ერთადერთი შესაძლებლობა მშვიდობის დასამყარებლად. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადებული პირობა უნდა შესრულდეს. ასევე, მძიმე ტექნიკამ უნდა დატოვოს ტერიტორია, გამონაკლისი არ უნდა დავუშვათ. ჩვენ გვექნება სატელეფონო საუბარი - მე, მერკელს, პუტინს და პოროშენკოს“, - აღნიშნა ოლანდმა.

თამარ ჯორძაიას შესაძლოა, ფრაქცია დაატოვებინონ

საპარლამენტო ფრაქცია “ქართულმა ოცნებამ” თამარ კორძაიას შესაძლოა, ფრაქციის დატოვება მოსთხოვოს. პარლამენტში არსებული ინფორმაციით, ფრაქცია “ქართული ოცნების” წევრები ფრაქციის დახურულ სხდომებზე არ მალავენ, რომ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით კორძაიას პოლიტიკური შეფასებები და პოზიცია არ მოსწონთ და განსხვავებული ხედვების გამო მისი ადგილი “სხვა ფრაქციაშია”. “სხვა ფრაქციაში” კი, “რესპუბლიკელები” იგულისხმება.

ინფორმირებული წყაროს ცნობით, ფრაქციის თავმჯდომარე გია ვოლსკიმ თანაფრაქციელებთან შეხვედრისას ღიად დააფიქსირა, რომ კორძაიას ფრაქციის დატოვებაზე დაელაპარაკება.

აღნიშნულს გია ვოლსკი კატეგორიულად უარყოფს და ირწმუნება, რომ “ამ თემაზე ლაპარაკი არ არის”.

თამარ კორძაიამ განაცხადა, რომ მასთან აღნიშნულ საკითხზე არავის უსაუბრია და “კომენტარს ვერ გააკეთებს იმაზე, რაც არ იცის”.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „გამომცემლობა საბჭოგლობი“; ტელ.: 599 95 31 90
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ბოგი თოფაძე: საქართველოში მიწის გასხვისება კატასტროფა იქნება, ე.ი. ჩვენ ჩვენს შთამომავლობას მონობისკენ ვუბიძგებთ?

„საერთო გაზეთი“ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატს, ბოგი თოფაძეს ესაუბრა.

— ბატონო გოგი, რა იყო ეროვნული ვალუტის გაუფასურების რეალური მიზეზი?

შეიძლებოდა თუ არა ლარის კურსის კატასტროფული ვარდნის თავიდან აცილება?

— რა თქმა უნდა, ლარის გაუფასურების თავიდან აცილება შეიძლებოდა, ახლა გარკვეული ვარდნა იქნებოდა, მაგრამ არა ამ დოზით. ეს გლობალური პრობლემაა, მთელი ევროპის, ჩვენი მეზობლების, ყველასი აბსოლუტურად. ბუნებრივია, ასეც იქნებოდა იმ ფონზე, როდესაც, პრაქტიკულად, ომია გაჩაღებული რამდენიმე რეგიონში, ეს არის ახლო აღმოსავლეთი, იგივე რუსეთი უკრაინასთან ბმაში. ასე რომ, ეს მოსალოდნელიც იყო, მით უფრო, რომ ექსპორტი, რაც ძალიან მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ლარის სტაბილიზებას, 70 %-ზე მეტი ამ ორი ქვეყანაზე - რუსეთსა და უკრაინაზე მოდის. მაგრამ აქ ერთი მნიშვნელოვანი რამ არის, ყველა ქვეყანამ მიიღო მეტ-ნაკლებად პრევენციული ზომები, ჩვენ კი არა. სავალუტო რეზერვების ინტერვენციას, ეს ასობით მილიარდი დაუჯდა რუსეთს, ძალიან ბევრი გამოყო ბალტიის ქვეყნებმაც, მაგრამ არა საქართველომ. ეს არის ელემენტარული რამ, რომელიც უნდა განეხორციელებინა ეროვნულ ბანკს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ განახორციელა იმ დოზით, რა დოზითაც საჭირო იყო. და ეს აჟიოტაჟიც, რომელიც ჩვენთან ატყდა, მის კისერზეა. ამ წამყვანმა ტელეარხებმა, შექმნეს აჟიოტაჟი, მოგეხსენებათ, ეს წამყვანი არხები, მაინც და მაინც, ობიექტურობით არ გამოირჩევიან. მიმაჩნია, რომ ეს დანაშაულია. მაშინ, როდესაც მილიონობით ადამიანი გისმენს, კაცს იმედი აქვს, რომ გაიგებს რეალობას, შენ კი ცრუობ, უზვიადებ ამ ყველაფერს, მეტიც, ყალბ ინფორმაციას იძლევი, არ არის სწორი, ეს დაუშვებელია და ალბათ, მაგასაც უნდა მივხედოთ. დიახ, ყურადღება უნდა მიექცეს ამ საკითხს, მათ შორის, პასუხიც უნდა მოეთხოვოს.

— ეროვნული ბანკის მხრიდან ადგილი ჰქონდა მიზანმიმართულ ქმედებას - საბოტაჟს?

— ახლა ამას გინდ საბოტაჟი დავარქვათ და გინდ სხვა რამ. გამოდის, რომ მან ხელი შეუწყო ნაციონალებს, სწორედ მათ სჭირდებოდათ ეს აჟიოტაჟი. დღეს დოლარი უკვე 2 ლარზე ჩამოვიდა, ჩვენ ამას გავუძელით, ყველაფერი კარგად იქნება, დამიჯერეთ. და საუბარი იმაზე, რომ ეკონომიკური გუნდი უნიათოა, არ მიმაჩნია სწორად. დიახ, მე ასე, ნამდვილად, არ ვიტყოდი. ეკონომიკური გუნდი, გიორგი კვირიკაშვილსა და ნოდარ ხადურს ვგულისხმობ, ძალიან ბევრს აკეთებს და ამ შემთხვევაში მათკენ ხელის გაშვერა, მათზე გადაბრალება, არასწორია. ძალიან ბევრი წარმოება გაკეთდა, ძალიან ბევრი ისეთი ობიექტი გაიხსნა, რომელიც შემოსავლიანია და ბიუჯეტშიც ბევრი შეაქვს. აი, სამწუხაროდ, ეს არ გააშუქეს. ესეც დანაშაულია ჩვენი წამყვანი არხების მხრიდან, რომლებსაც არ აინტერესებთ ანახონ რეალობა საზოგადოებას, ანახონ რამდენი რამ გაკეთდა, რამდენი გზა გავიყვანეთ, რამდენი წარმოება ამუშავდა და ა.შ.

— რამდენი?

— მარტო ჩვენ 22 დავთვალეთ. ულტრათანამედროვე წარმოებები, რომლებიც აწარმოებს პროდუქციას, ქმნის. მართალია, აქაც არის გარკვეული ხარვეზები, თუნდაც მინისტრების მხრიდან, არის წარმოებები, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია გაჩერებულია და რომელიც გამზადებულია, რომ ხვალვე დაიქოქოს და რომელსაც ვეებერთელა საექსპორტო პოტენციალი აქვს ჩვენი საკუთარი რესურსების გამოყენებით. რატომღაც, რაღაც გაურკვეველი მიზეზებით ეს 5-6 წელია გაჩერებულია. საკონსერვო ქარხნებია, ხე-ტყის გადამამუშავებელი კომბიანტებია, უფრო ოპერატიულები უნდა იყვნენ, როცა ასეთი გაჭირვებაა ქვეყანაში. ეს საექსპორტო პოტენციალი, დიდი ქარხნები, რომლებიც ადგილობვრი დონეზე მუშაობენ უნდა ავამოქმედოთ და ავამუშავოთ. ესეც ასე ვთქვათ ხარვეზია, მაგრამ ეს არ აძლევს საბაბს ჩვენ ოპონენტებს, რომ ასე ხელაღებით გვლანძღონ და იძახონ, გინდა თუ არა, უნდა შეიცვალოს ეკონომიკური გუნდიო.

თუმცა ძალიან კარგად, რომ დავუკვირდეთ, დავინახავთ, რომ ამდენი ლანძღვა - გინება მათთვის უკუეფექტს იძლევა. ხალხი ამბობს, ამათ რა აქვთ სალაპარაკო, ამათ, რაც ჩაიდინეს 9 წლის მანძილზე კიდევ ხმას როგორ იღებენო?

ძალიან მალე ნახავთ სად იქნებიან ეს ჩვენი „წარმატებული“ ძებნილები, მალე გამოფხიზლდება უკრაინა და გადმოგვცემენ ამ დამნაშავეებს, დანარჩენებს კი თანამდებობიდაან გაუშვებენ, ასე იქნება ეს, სხვანაირად წარმოუდგენელია.

— ოთხშაბათს აქციაა დაგეგმილი სახელწოდებით - შემოულაწუნე ივანიშვილს...

— ჰოდა, კარგიც დაემართებათ, დიახ, კარგიც დაემართებათ. ჩვენ ძალიან ლიბერალურები ვართ. ვფიქრობ, ძალიან დიდი დოზით ავიტეხეთ ეს დემოკრატიული მიდგომა და არ მოვთხოვეთ პასუხი იმას, ვინც ამას ბედავს. სხვათა შორის, ძალიან ბევრმა ქვეყანამ შეზღუდა ეს არასამთავრობოები, დაუბლოკეს ის საბანკო ანგარიშები, რომლებიდანაც უცხოეთიდან მოდის თანხები. ჩვენც ალბათ, ასე უნდა მოვიქცეთ.

— სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიანო, აღნიშნა ღარიბაშვილმა...

— რა თქმა უნდა. მაშინ როდესაც ძირს უთხრი შენ სახელმწიფოს, შენ სამშობლოს, იმიტომ რომ შენ ღებულობ გრანტებს უცხოეთიდან, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა მოეთხოვოთ მათ. უნდა აიკრძალოს ეს, ასე

გადააბრუნეს ძალიან ბევრი ქვეყანა ამერიკელებმა. ასე მოხდა ის ტრაგედიები, რაც მოხდა არაბეთის ქვეყნებში, ერაყში, ივგოსლავიაში, ლიბიაში, ეგვიპტეში, სადაც აქამდე ვერ დაწყნარდა სიტუაცია, ახლა სირიაშიც იგივე ხდება. კარგით რა, გეყოთ, თანაც დემოკრატიის დანგრევის მოტივით ანგრევენ ამ ქვეყანას. კადაფის რა უქნეს კაცო, გააუპატიურეს, დაჩეხეს და ნაკუწებად გადააგდეს, არადა ერთ - ერთი წამყვანი ქვეყანა იყო, მაღალი სოციალური პირობები ჰქონდა, და ეს დემოკრატიაა? ეს ხომ მსოფლიომ დაინახა, არა?!

—რა ხდება მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით?

— ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ ამ მიმართულებით, ვიყავით ამ კომისიაში, ჩამოვაყალიბეთ ისეთი რეგულაციები, რომ უცხოელს გაუჭირდებოდა თუ რაიმე ძალიან სერიოზულ პირობებს არ შეასრულებდა მიწის შესყიდვა, მაგრამ ჩვენმა საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელიც მოგეხსენებათ როგორ იყო დაკომპლექტებული და ვადები აქვს ყველაფერს, დაიწუნა და ისევ ძველი პირობა დარჩა, შესაბამისად, ისევ მიდის ამ მიწების გაყიდვა, რაც დაუშვებელია.

ახლა ახალი კანონი შემოგვთავაზა იუსტიციის სამინისტრომ, მე და ჩემი გუნდის წევრები ამ კანონს მხარს არ დავუჭერთ. ყოვლად დაუშვებელია ასეთი რეგულაციები საქართველოში. დიახ, ჩვენ იმ კანონს ვერ მივიღებთ, ძალიან სერიოზული არგუმენტები გევქნება, რომ არ შეიძლება ამის მიღება. მით უფრო ევროკავშირი ჩვენ, რომ ამას გვაიძულებს, ევროპის ძალიან ბევრ ქვეყანაში პრაქტიკულად ისეთი რეგულაციებია, რომ მიწას ვერ იყიდი. არავინ ყიდის თავის მიწას, მიწა ჩვენი სიმდიდრეა. მაგრად უნდა დავდგეთ. იმისთვის, რომ ჩვენ ევროკავშირში ცხვირი შევყოთ, უნდა დავთმოთ ამდენი რამ? ეს წარმოუდგენელია.

საქართველოში მიწის გასხვისება კატასტროფა იქნება. ე.ი. ჩვენ ჩვენ შთამომავლობას მონობისკენ ვუბიძგებთ. ვიღაც უნდა იყოს მეპატრონე, შენ კი უნდა იმუშაო მასთან. ეს გამოიწვევს აფეთქებას, ამას ვერ აიტანს ქართველი კაცი.

— კი მაგრამ, ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ ეს დაუშვებელია და რა საფრთხეებიცაა აქ?

— ჩვენ ფრაქცია კატეგორიულად წინააღმდეგი იქნება, შევეცდებით ჩავარდეს ეს კანონპროექტი. ყველაფერი კარგად იქნება. ბიძინა ივანიშვილს არაფერი მოუტყუებია, რასაც ამბობდა, ამ ყველაფერს ნაბიჯ - ნაბიჯ ახორციელებს. საქართველო სწორ გზას დაადგა და სწორედ ეს არის ამათთვის მიუღებელი. **ბიძინა ამბობს, მოდით, ნუ ვიქნებით რუსეთთან ცუდადო, აი, ეს აგიჟებთ ამათ, ნაციონალებს. ბიძინა ამბობს, ომით და ჩხუბით რუსეთს ვერაფერს წაართმევ, საჭიროა მოლაპარაკებებიო. რას ამბობს არასწორს? მე ახლაც მგონია, რომ იგივე ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას, ამ თემას გაცილებით წინ გავწევთ რუსეთთან ნორმალური, დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობებით, ვიდრე ლანძღვა-გინებით.** რუსეთის ლანძღა- გინებით რა მივიღეთ? ნატო, ნატოს ძახილით რა მივიღეთ? ნატო და ნატო, კარგით რა, ახლა ეს, რომ ზღაპარია არ ვიცით? ხალხს აბრუებენ...

— თვითონ ნატოს გენმდივანი აცხადებს, საქართველომ და უკრაინამ ისწავლეთ ნატოს გარეშე ცხოვრებაო...

— ყველა გვეუბნება ამას. აი, მხოლოდ ესენი წირავენ საქართველოს ამ ნატო, ნატოთი. და ამ ნატოს, რომ არავინ გაგვაკარებს, ეს ხომ ცხადია?! ნატო არ იყო, რატომ არ ამოღო ხმა, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, რაც ხდებოდა მაშინ, ახლა რომ ჩარეულია უკრაინის კონფლიკტში? დავუშვათ, მოხდა სასწაული და შემოვიდა ნატო, ხომ იციან ამ პოლიტიკოსებმა, რომ ეს დაღუპავს ჩვენ ქვეყანას? წარმოიდგინეთ, შემოვიდა ნატო საქართველოში, კავკასიის ქედზე დააყენა ბალისტიკური რაკეტები და პირდაპირ კრემლში პუტინის კაბინეტს დაუმიზნა. ამის საშუალებას მოგცემს რუსეთი? მონაგონი იქნება უკრაინა, კაცო. გეუბნება, რუსეთი, არ გინდა ნატო, მოდით, ვილაპარაკოთო და შენ კიდევ ნატოში გინდა. ნატო რის მშველელია. ნატოს ჩადენილი არ არის ის, რაც მოხდა ერაყში? იგივე ლიბია, ივგოსლავია, ხომ ნახეთ, რაც მოხდა იქ? თან არ გღებულობს არავინ, პირდაპირ გეუბნებიან, არ მიგიღებთ, აგერ, მაპიო და რაღაცეებს იგონებენ.

ახლა ერთ საინტერესო რამეს მოგიყვებით, ერთხელ ერთ- ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა გვითხრა, ამერიკა ხომ ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავეთანხმეთ, მაგრამ მაინც გვითხრა, აი, ჩვენთან ორი პარტია არის, ხან ერთი მოდის ხელისუფლებაში, ხან მეორეო. ამათ უნდათ, რომ ეს მეორე პარტია ნაცმოძრაობა იყოს, ჰოდა, ხან ისინი მოვლენ, ხან ესენიო. ისინი აღარ მოვლენ... ანუ ჩვენგან აიღეთ მაგალითიო, კაი ბატონო, ვისაც სჭირდება, აიღოს თქვენგან მაგალითი, საქართველოს კი თავი დაანებეთ. საქართველო დაადგა იმ შარაგზას, რომელიც ტაძრამდე მიგვიყვანს.

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03



ДАВИТ ГАГНИДЗЕ

მივმართავ საქართველოს პროკურატურას – ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინააღმდეგ აუცილებლად უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე

გიორგი ქადაგიძეს პირდაპირ არ უთქვამს, თქვენ მანდ ჭკუით იყავითო, თუმცა ეს იგულისხმებოდა, ანუ, თუ ეროვნული ბანკის კრიტიკას დაუყოვნებლივ არ შეწყვეტთ, ყველაფერი დაინგრევაო. ქადაგიძეზეა დამოკიდებული ამ ქვეყნის დანგრევა-აშენება? მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ქადაგიძე, ნაციონალები და სავალუტო ფონდი ყოფილა საქართველოს ბატონ-პატრონი.

„საერთო გაზეთისთვის“ მიცემულ წინა ინტერვიუში პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა დავით გაგნიძემ, რომელიც პროფესიით ეკონომისტი გახლავთ, ლარის კურსის მკვეთრი ვარდნა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ ეკონომიკურ დივერსიად შეაფასა. რესპოდენტის განცხადებით, ლარის ასეთი გაუფასურება უმეტესწილად ხელოვნური მიზეზებითაა გამოწვეული, რითაც მხოლოდ კომერციული ბანკები რჩებიან მოგებული.

ДАВИТ ГАГНИДЗЕ: „კომერციული ბანკების გარეშე არაფერი მოხდება. მათ შეუძლიათ დოლარი საერთოდ არ გაუშვან ასე ვთქვათ, ბაზარზე, მხოლოდ შეისყიდიან და აღარ გაყიდიან დოლარს, რასაც ჩუმად, „ტექნიკურად“ გააკეთებენ. სხვათა შორის, რუსეთში ებრძვიან ასეთ ბანკებს, რამდენიმე აღმოაჩინეს და სათანადო რეაგირებაც მოახდინეს. ერთი სიტყვით, კომერციული ბანკების დოლარი გაყიდვაში არ გამოაქვთ, რითაც ამ ვალუტის დეფიციტს ქმნიან, რა დროსაც მისი ფასი თავისთავად მატულობს. ამას ჰქვია კარტელური შეთანხმება. ეროვნულმა ბანკმა დოლარი რომც გამოუშვას გაყიდვაში, მნიშვნელობა არ აქვს, რადგან კომერციული ბანკები ბრუნვაში მაინც არ გაუშვებენ. ისიც გაიხსენეთ სავალუტო ჯიხურებმა ამ დღეებში დოლარის გაყიდვა რომ შეწყვიტეს. რა დასამალია, რომ ვალუტის გადამცვლელი ყველა პუნქტი, კონკრეტულ კომერციულ ბანკებთანაა „შეკრული“, თორემ მათ საიდან ექნებათ ამდენი ფინანსები. ვალუტის გადამცვლელ არცერთ პუნქტს არ აქვს პირდაპირი ურთიერთობა ეროვნულ ბანკთან, კომერციულ ბანკებს აქვთ „შუამავლის“ ფუნქცია, თავად სებ-მა გახსნა ისინი ამ სტატუსით. საერთოდაც გადასამოწმებელია სებ-ის ფუნქციები და საქმიანობა, ამ სფეროს თვითდინებაზე მიშვება ყოვლად გაუმართლებელია, მარტო გიორგი ქადაგიძეზეა თუა მიგდებული ყველაფერი, თუ მხოლოდ მისი განსასაზღვრია ლარის კურსი, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. ეროვნულ ბანკში აუცილებლად უნდა მოქმედებდეს საბჭო, სადაც ბუნებრივია, კომერციული ბანკების წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ“.

- ასეთი საბჭო არსებობს და სამი ყოფილი პროკურორიც ყოფილა მის შემადგენლობაში. ვინ უნდა გააკონტროლოს კომერციული ბანკები, რომ სავალუტო ბირჟაზე გამოტანილი დოლარი ბრუნვაში მოხვდეს?

- მერე სად არის ამ საბჭოს მუშაობის შედეგი? საერთოდ ბანკები ისეთი სტრუქტურაა, სადაც აუცილებლად უნდა იყვნენ სახელმშიფო უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები, ოდეერებს რომ ვეძახით, მაგრამ არავინ უნდა იცოდეს მათი ვინაობა. მათ საიდუმლო ინფორმაცია უნდა მიაწოდონ მთავრობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოებრიობაზე რა პრეტენზია გვაქვს? მერწმუნეთ, ყველა ქვეყანაში, მათ შორის მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც მოქმედებს ე.წ. ოდეერის ინსტიტუტი. შეიძლება საქართველოს ბანკებშიც არიან ოდეერები, მაგრამ იმას არ აკეთებენ, რაც უნდა აკეთონ. ისიც გასარკვევის, როდის არიან ისინი იქ „ჩასმულები“ და ვის ინტერესებს ემსახურებიან, შეიძლება სპეციალურად ისეთი კადრები „ჩასვან“, ვინც საერთოდ ვერ ერკვევა ფინანსებში. ამ სამ თვეში ასეთი ავანტიურა რომ მოხდა, დოლარის კურსმა ლართან მიმართებაში საგრძნობლად რომ მოიმატა, რას აკეთებს ამ დროს უშიშროების სამსახური, ასეთი პროვოკაცია მზადდება და მათ არაფერი იციან? ვიმეორებ, დოლარს სპეციალურად არ უშვებდნენ ბრუნვაში და იმიტომაც დაეცა კატასტროფულად ლარის კურსი. ახლა ნახეთ რა ხდება, თუ მანამდე 100 დოლარს 235 ლარად შეიძენდი, 26 თებერვალს დოლარის კურსმა 20 პუნქტით დაიკლო და შესყიდვის ფასი 210 ლარი იყო, ესეც თავისთავად უბედურებაა. ლარის კურსის ასეთი მერყეობა ხომ იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ინვესტიციები არ შემოვა, ხალხიც უკიდურესადაა გაღიზიანებული, რასაც შეიძლება ქვეყანაში ქაოსი მოყვეს. ძალიან მაინტერესებს, ლარის კურსის ასეთი ცვლილებებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე თუ აღიძრა. მარტო გიორგი ქადაგიძის ლანძღვა საქმეს ვერ უშველის. ხელისუფლებიდან ვინმემ თუ იცის ნერვიულობის გამო რამდენი ადამიანი მოხვდა საავადმყოფოში, რამდენ ოჯახში მოხდა უკმაყოფილება, რამდენი ადამიანი გაკოტრდა, რამდენი პროდუქცია არ შემოვიდა, იმ ხალხს ვინ უნდა გასცეს პასუხი?

რაც შეეხება კონტროლს, ეს ეროვნულმა ბანკმა და იმ სამსახურმა უნდა განახორციელოს, ვისაც ევალება, არ უნდა იკითხონ, მე რომ დოლარი მოგეცი, რატომ არ გაყიდეო. სადღაა საქართველოში ე.წ. სავალუტო ბაზარი, თორემ ერთმა სავალუტო ჯიხურმაც რომ თქვას, დოლარი არ მაქვსო, მაშინვე შეეტყობა ბაზარს, იმდენად მგრძნობიარეა. რამდენიმე სავალუტო ჯიხურმაც რომ თქვას უარი დოლარის გაყიდვაზე, ესეც საკმარისია, რომ ლარის კურსმა რამდენიმე პუნქტით დაიკლოს, მით უმეტეს, რომ პატარა ქვეყანა ვართ. ვიმეორებ, ეს ყველაფერი უნდა აკონტროლოს ეროვნულმა ბანკმა, პარალელურად კი უშიშროების სამსახურმა, რადგან **ეს იყო ეკონომიკური დივერსია. დივერსია მარტო მატარებლის ლიანდაგიდან გადაგდებას და ვინმეს ან რაიმეს აფეთქებას კი არ ნიშნავს. მესმის, რომ შს მინისტრი ახალი დანიშნულია, უწყებაში ხელმძღვანელები იცვლებიან... დააკვირდით, სწორედ ამ დროს მოხდა დარტყმა, რაც შემთხვევითი არ გეგონოთ.**

- მეტრო „ისანთან“ განთავსებული ერთ-ერთი სავალუტო ჯიხურის მფლობელის თქმით, 20 თებერვალს ერთი აზერბაიჯანული მანათი ორ ლარზე მეტი ღირდა, თვითონაც ამ ფასად შეიძინა ეს ვალუტა, ეს კურსი იყო ჯიხურის დაკეტვამდეც, მეორე დღეს სამსახურში მისულს კი მანათის კურსი თითქმის ლარნახევრამდე დავარდნილი დახვდა. იმხელა ზარალი მივიღე ერთი თვე მოვუნდები მის გამოსწორებასო. ერთ ღამეში კურსი ასე როგორ შეიცვალა?

- სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ კურსის ცვლილება ხელოვნურად ხდება. გიორგი ქადაგიძემაც ბრძანა, ჩვენზე მდიდარი ქვეყანაა აზერბაიჯანი, მაგრამ საკუთარი ვალუტის გამყარებას ვერაფერი მოუხერხაო. მოლდავეთმა და სომხეთმა თავიანთი ფულის გასამაგრებლად დოლარის სარეზერვო ფონდის 30% დახარჯესო, სებ-ს კი ლარის კურსის გასამყარებლად ხსენებული რეზერვების მხოლოდ 5% დაუხარჯავს. სარეზერვო თანხები აღარ გვაქვსო, სად წავიდა ეს ფული, რატომაა გაუმჭვირვალე საბანკო სექტორი, რას აკეთებენ ვიცით? გამოსავალი რომ ვიპოვოთ, ყველა ინფორმაცია უნდა გაგაჩნდეს, საზოგადოება კი ამ კუთხით სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია. ხელისუფლების წარმოადგენლებმა რატომ არ იციან ოპერატიული ვითარება, საერთოდ რა ხდება ბანკებში, იციან, ან ადგილობრივ კაზინოებში ფული როგორ „ირეცხება“ იციან? არადა, იქ აშკარად ხდება გაურკვეველი წარმოშობის ფულის „გათეთრება“. ვერ გეტყვით, ახლა რა პრინციპით ხდება კაზინოებში ფულის „გათეთრება“, მაგრამ, იმ პერიოდში, როცა მე სამართალდამცავ სტრუქტურაში ვმუშაობდი, ეს დიდი „მოგებების“ ხარჯზე ხდებოდა, თითქოს კონკრეტულმა პირებმა კაზინოში დიდი თანხები მოიგეს.

- ბატონო დავით, სებ-ის პრეზიდენტ ქადაგიძეს ლამის მავნებლობაში დასდეს ბრალი, რასაც მან ბრიფინგით უპასუხა და ფაქტობრივად დაიმუქრა, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ეროვნული ბანკის ლანძღვაო. თქვენი აზრით, როგორ უნდა ემოქმედა სებ-ს, ეროვნული ვალუტის კატასტროფული ვარდნა რომ არ მომხდარიყო?

- როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა ეროვნული ვალუტის გასამყარებლად სარეზერვო ფონდის 30% გამოიყენა, ანუ კურსის დასარეგულირებლად თავისი ვალუტა შეისყიდა, სებ-მა კი ამისთვის მხოლოდ 5% გაიმეტა. ეს თანხა გაცილებით მეტი რომ ყოფილიყო, თუნდაც იგივე 30%, გარკვეული პერიოდი კურსი შენარჩუნდებოდა, მერე შეიძლება ისევ დაწყებულიყო ინფლაციური პროცესები, მაგრამ კურსის მყისიერი ვარდნა არ იქნებოდა, ნელა განვითარდებოდა ეს პროცესი, მოსახლეობაც ფსიქოლოგიურად შეეჩვეოდა და ამხელა სტრესს აღარ გამოიწვევდა მატერიალური კუთხითაც. საქართველოში ისეთი ძალები მოქმედებენ, რომ გარკვეულწილად ქადაგიძეც მართალია, დოლარის სარეზერვო მარაგი ინფლაციას ვერ უშველის. ერთი კითხვა მაქვს, სად არის ახლა ამერიკის ელჩი ნორლანდი, რომელიც ლამის მარ-

პაატა შეშელიძე (for.ge): „ეროვნული ბანკი საერთოდ ვერ ხვდება რას აკეთებს, ყველაზე მავნე ინსტიტუტია, რაც კი არსებობს. საუბარი იმაზე, რომ ლარის კურსის მკვეთრი ცვლა ბუნებრივი პროცესია და თავისით დასტაბილურდება, აბსურდია. ეროვნულ ბანკსს ყველანაირი ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ შეინარჩუნოს კურსი, რასაც საჭიროდ ჩათვლის. ეს არ არის ბუნებრივი მოვლენა, მხოლოდ და მხოლოდ იმ პოლიტიკის შედეგია, რასაც ეროვნული ბანკი ატარებს. ეროვნული ბანკის ჩარევით, როგორც ჩანს მოხდა ემისია (ფულის ახალი მასის გამოშვება) — ამ ფულით შეივსო ბიუჯეტი დეკემბერში, რაც იანვარშიც გაგრძელდა და შედეგად მივიღეთ ის, რაც გვაქვს“.

ტო მინისტრებს კი არა, ახლად დანიშნულ დეპარტამენტების უფროსებსაც კაბინეტის კართან ხვდება და მისი „დალოცვის“ შემდეგ შედიან სამუშაო ოთახში. სულ მაგათი კადრებით არ არის დაკომპლექტებული, თუნდაც ეროვნული ბანკი? ნორლანდს ქართველი ხალხი სულ არ ანაღვლებს, მხოლოდ სააკაშვილსა და ნაციონალებს უჭერს მხარს. ნორლანდს თავი დავანებოთ, მე ის უფრო მაინტერესებს სად არის. რატომ არ არის აღძრული სსის საქმე იმ ფაქტთან დაკავშირებით, 3-4 თვეში 60 პუნქტით რომ დაეცა ლარის კურსი დოლართან მიმართებაში, მე არ ვამბობ ვინმე დაეჭირათ, მაგრამ ფაქტზე აუცილებლად უნდა აღძრულიყო საქმე, თუ გამოიკვეთება დანაშაული, დადგეს დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი. **როგორ ქადაგიძემ შეკრიბა კომერციული ბანკების წარმომადგენლები, დაილაპარაკეს და რამდენიმე საათში დოლარის კურსმა ლარის მიმართ 25 პუნქტით**

დაიკლო? რასთან გვაქვს საქმე, რას თამაშობენ? მოვალეებისთვის (დებიტორები) თითქოს რაღაც შეღავათი უნდა დაწესდეს, მგონი კრედიტის გადახდის ვადა გაუგრძელებენ, მაგრამ ეს ე.წ. შეღავათიც თურმე მხოლოდ პატიოსან გადამხდელებს შეეხებათ. შეღავათი იმ ხალხს უნდა გაუწიონ, „შავ სიაში“ რომ ყავთ შეყვანილი, რომელთაც გადახდის საშუალება აღარ აქვთ და იღუპებიან. ამ ყველაფრის შემხედვარეს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს არის ჩვენი მოსახლეობის შეგნებული გენოციდი.

ლარი თურმე დოლარზე ყოფილა მიბმული, ესეც ხომ ხელოვნურად მოხდა? ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს მოხდა ლარის დოლარზე მიბმა და რამდენადაც მახსოვს, ეს სააკაშვილისა და ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორების ინიციატივით მოხდა. თავიდან, როცა ლარი დოლარს მიაბეს, გარკვეული თანხა ხელუხლებლად უნდა დებულიყო, ზუსტად აღარ მახსოვს 150 მილიონი იყო თუ გაცილებით მეტი, ამ თანხას ერთი თეთრი არ უნდა მოკლებოდა, რადგან მასზე იყო ლარის კურსი დაფუძნებული, თუმცა მერე დაივიწყეს ეს პირობა. რომელი ქვეყნის ვალუტაზეცაა მიბმული შენი ეროვნული ვალუტა, ბუნებრივად იმ ქვეყნის ეკონომიკაზე ხარ მიბმული. დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ აშშ დოლარი ხელოვნურად მყარდება. ამერიკას 20 ტრილიონი დოლარი ვალი აქვს, მათ შორის 17 ტრილიონზე მეტი საგარეო ვალი, აქედან გამოიტანეთ დასკვნა რა პერსპექტივა გვაქვს. ჩვენ ფაქტობრივად აღარ გვაქვს წარმოება, ლარის დოლარზე ხელოვნური მიბმით დავანგრიეთ ჩვენი ეკონომიკა, რადგან ვისიც არის დოლარი, პირობებს ის გვკარნახობს როგორი ეკონომიკა უნდა გვქონდეს, ანუ არაფერი უნდა გვქონდეს. არც იმის თქმა მომერიდება, რომ მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო ფონდმა დაანგრია ჩვენი ქვეყანა. სხვათა შორის, ამის შესახებ ჯერ კიდევ 80-იან წლებში გვაფრთხილებდნენ საბჭოთა მეცნიერები, მათ შორის ქართველი სპეციალისტებიც იყვნენ, მაგრამ ჩვენ ეს რჩევები არ გავითვალისწინეთ. ხსენებული ინსტიტუტების ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოღვაწეობის დროს, მათი ეროვნული ვალუტის ინფლაცია 400%-ს უტოლდებოდა, სანამ ხსენებული ინსტიტუტები იქიდან არ გამოყარეს, იმ ხალხს არაფერი ეშველა. ამის შემდეგ შემოიყვანა „დიდმა“ პოლიტიკოსმა შევარდნაძემ ორივე საქართველოში. ეს „დიდი“ ექსპერტი და ანალიტიკოსი რომ გვყავს, რომან გოცირიძეს ვგულისხმობ, ახლა ნოტაციებს რომ გვიკითხავს. ეგ ხმას როგორ უნდა იღებდეს, მაგის კისერზეცაა კუპონის ჰიპერინფლაცია. სწორედ სავალუტო ფონდმა და კომერციულმა ბანკებმა დაანგრია მაშინ საქართველო. ეს ბანკები ადგილზეა, დღევანდელმა ხელისუფლებამ სავალუტო ფონდსაც დაუძახა, ამ ყველაფრის შემდეგ გულუბრყვილო უნდა იყო, რომ იფიქრო ქვეყანას ეშველება. **გიორგი ქადაგიძეს პირდაპირ არ უთქვამს, თქვენ მანდ ჭკუით იყავითო, თორემ ეს იგულისხმებოდა. ე.ი. თუ ეროვნული ბანკის კრიტიკას დაუყოვნებლივ არ შეწყვეტთ, ყველაფერი დაინგრევაო. ქადაგიძეზეა დამოკიდებული ამ ძვეყნის დანგრევა-აშენება? მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ქადაგიძე, ნაციონალები და სავალუტო ფონდი ყოფილა საქართველოს ბატონ-პატრონი.** ქადაგიძემ თავისი განცხადებით დაადასტურა ჩემი პროგნოზი, რაზეც წინა ინტერვიუში ვისაუბრეთ, რომ აღარ მოგვცემენ კრედიტს საერთაშორისო ბანკები და დამთავრდება ყველაფერი.

სწორედ ბანკში იქმნება მთლად უშრომელი შემოსავალი. ადრე თუ გვიან ყველა საწარმო ბანკისაა, თუ რაიმე კრიზისი მოხდა და მან ბანკიდან კრედიტი აიღო, დამთავრებულია. ბანკი ფაქტობრივად ფულის კეთების გარდა, არაფერს აკეთებს. კოლექტიური მევახშე, აი, რა შეიძლება ვუწოდოთ ამ კომერციულ ბანკებს. მხოლოდ და მხოლოდ მათ აქვთ უფლება ჰქონდეთ საქონელი, რასაც ჰქვია დოლარი, რიგით მოქალაქეებს დოლარით ვაჭრობის უფლება არ გვაქვს, სახელმწიფო მიმოქცევაში არ არის ეს ვალუტა, სიგარეტსაც ვერ იყიდი. რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაციამ, სიტყვაზე 1000 ლარის ნაცვლად 500 დოლარი რომ გადმოგირიცხოთ, ამის გამკეთებელს დაიჭერენ. ამ დროს არის ვიღაც მევახშე, რომელიც მხოლოდ დოლარში იძლევა კრედიტს, იმასთან ვაჭრობს, ვისაც ქვეყანაში დოლარის გამოყენების უფლება არ აქვს. ზუსტად აქ კეთდება „დიდი“ ფული, თანაც არაფრიდან. ჩვენ აქ იმიტომ კი არ ვსაუბრობთ, რომ ვინმეს მტრები ვართ, სულ არ მაინტერესებს ქადაგიძე და სხვებიც, მე ჩემი ქვეყნის ბედი მაინტერესებს, რომელსაც იარაღით ვიცავდი და სისხლი მაქვს დაღვრილი. ეს ის საქართველო არ არის, რომლისთვისაც ვიბრძოდი, რისთვისაც გაწყდა ათეულათასობით, მათ დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება სურდათ და არა ასეთ დაბეჩავებულში, როგორიც დღესაა.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

(გაგრძელება იქნება)

„გიორგი ქადაგიძე კრიმინალია და უნდა დაისაჯოს! მის მიერ ჩადენილი დანაშაული ნაკლები კი არ არის ვიდრე იური ვაზაგაშვილზე განხორციელებული ტერაქტი იყო“

„საერთო გაზეთს“ ერთ-ერთი ცნობილი ფინანსისტი დაუკავშირდა, რომელმაც ამ ეტაპზე ვინაობის გამხელა არ ისურვა. როგორც აღნიშნა, იგი თავადაც აღმოჩნდა ირაკლი ქადაგიძის კრიმინალური საქმიანობის მსხვერპლი და დაგვპირდა, რომ სათანადო კვლევა-ძიების შემდეგ, ამაზე ღიად ისაუბრებს. მანამდე კი მის ვინაობას ინკოგნიტოდ დავტოვებთ:

— გაოგნებული ვარ, როგორ ბედავს ქადაგიძე ასე უტიფრად ისაუბროს. იგი, დღეს, ბრიფინგების გამართვის ნაცვლად, ციხეში უნდა იჯდეს. ნორმალურ ქვეყანაში ასეც იქნებოდა. მან ხომ არაერთი ანტისახელმწიფოებრივი ქმედება ჩაიდინა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ მარტო იმ უმოქმედობისთვის, რაც ლარის გაუფასურების პროცესთან მიმართებაში გააკეთა, მინიმუმ თანამდებობიდან უნდა გადამდგარიყო. მოდით, თანმიმდევრულად გავიხსენოთ მისი „საგმირო საქმენი“: 2012 წლის არჩევნების დროს, როცა „ბანკი ქართუ“-დან გარკვეული საარჩევნო ხარჯები ფინანსირდებოდა, „ეროვნულმა ბანკმა“ კონტროლის პალატასთან ერთად ყველაფერი გააკეთა რათა, ეს, არაკანონზომიერ ხარჯებად ჩათვლილიყო და მეორეც, ვითომ, ბანკის ინტერესების დაცვის მიზნით, ქადაგიძემ „ქართუ ბანკს“ მმართველი ორჯერ დაუნიშნა. მაშინ, ჯარიმამ 100 მილიონს გადააჭარბა და ამან ბანკი სერიოზულად დააზარალა. გარდა ამისა, ბანკის კრედიტორებს გარკვეული შეღავათები მისცა, რითაც ბანკი, ასევე, აზარალა. ბუნებრივია, მათ კარგად ესმოდათ, რომ „ბანკი ქართუ“ ასე ვერ გაკოტრდებოდა იმიტომ, რომ დამფუძნებელი ძალიან მდიდარი კაცია, მაგრამ ამით შესანიშნავ პიარს იკეთებდნენ — საზოგადოებას დარღვევების შესახებ ატყობინებდნენ. სამართლებრივად თუ შევაფასებთ, ეს, ეროვნული ბანკის მხრიდან, უფლებამოსილების გადაჭარბებაა, რაც მოქმედი კანონმდებლობით ისჯება. არჩევნებში გამარჯვებისთანავე ქადაგიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრულიყო. მნიშვნელობა არ აქვს ნიჭიერია თუ უტვინო, დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ახლა, „ეროვნული ბანკის“ მხრიდან ბოლო დროის სერიოზულ დარღვევას გადავხედოთ: ლარის კურსის პირველი, სერიოზული რყევის ნიშნები 3 ნოემბერს გამოჩნდა და 25 ნოემბრამდე „ეროვნულ ბანკს“ არაფერი გაუკეთებია. 25 ნოემბერს 40 მილიონი დოლარი გამოიტანა გასაყიდად, შემდეგ — 2 დეკემბერს და მერე 4 თებერვლამდე თითი აღარ გაუნძრევია. ამდენი დროის ფუჭად გაფლანგვა, შეცდომაზე მეტად უარესია. აქ, ძალიან სერიოზული მაქინაცია იკვეთება. იანვარში არანაირი ინტერვენცია არ მომხდარა, სამაგიეროდ მოხდა თებერვალში, როცა უკვე დევალვაცია პიკს მიუახლოვდა. ეს მინიმუმ ორი რამის ირიბი მტკიცებულებაა: ან არაპროფესიონალიზმის ან საბოტაჟის.

— თქვენ, ჩემთან საუბარში, სხვა ძველი ცოდვებიც ახსენეთ, მათ შორის ის, რაც თავად გადაგხდათ და საზოგადოებისთვის ცნობილი არაა.

— დიახ, ანალოგიური გააკეთა „ბანკ-რესპუბლიკასთან“ მიმართებაშიც, სადაც ნორმატივები გააძლიერა. გარკვეული ინტერესები აქაც იკვეთება, ეს უკვე მიშიზმია. „ბანკი-რესპუბლიკის“ მეპატრონე პაპაშვილი, მაშინ იძულებული გახდა ფრანგები შემოეყვანა და დიდი ფრანგული ბანკის „ჟენერალის“ „კრიშა“ დაეხურა, რათა არ დაჩაგრულიყო. ასევე, გახმაურებული და ძალიან საეჭვოა, რაც აშკარა კვლევის საგანია, თუ როგორ შეიქმნა „ლიბერთი-ბანკი“, ყოფილი „სახალხო ბანკი“ თავის ხელმძღვანელობით, დამფუძნებელთა სტრუქტურით და ა.შ. როგორ გადასკუპდა მაშინდელი პრემიერი „ლიბერთი-ბანკის“ მმართველად, როცა საბანკო სისტემაში „საქართველოს ბანკიდან“ შემოვიდა. აქ, ძალიან დიდი კითხვის ნიშნებია.

მის მიმართ იმპიჩმენტი კარგა ხნის წინ უნდა დამდგარიყო, თუნდაც, იმის გამო, რაც „ქართუ-ბანკთან“ დაკავშირებით გააკეთა. მეტსაც გეტყვით, კრიმინალური ქმედება განახორციელა ქადაგიძემ ჩემს მიმართაც. იგი, პირდაპირ უკავშირდებოდა ბანკებს და ეუბნებოდა ჩემთვის კრედიტი არ მოეცათ. ასევე, პირადად დაუკავშირდა ერთ-ერთ მსხვილ კომპანიას და უთხრა ჩემთვის რეკლამა არ მოეცათ. თუ არა კრიმინალი, სხვა რა სახელი შეიძლება ეწოდოს ამას?! თუნდაც, მარტო ამის გამო, ქადაგიძე დიდი ხნის დასჯილი უნდა იყოს. მსგავსი კრიმინალური ქმედებები, ნორმალურ ქვეყნებში, პატიმრობით ისჯება იმიტომ, რომ ამით ზარალი მიადგა ქვეყანას და მის მოსახლეობას.

— ზემოთ აღნიშნეთ, რომ ქადაგიძე, ამ ყველაფრის მერე მინიმუმ უნდა გადამდგარიყო?

— რა თქმა უნდა, უნდა გადადგეს. გიორგი ქადაგიძე კრიმინალია და უნდა დაისაჯოს! მის მიერ ჩადენილი დანაშაული ნაკლები კი არ არის ვიდრე იური ვაზაგაშვილზე განხორციელებული ტერაქტი იყო.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„როგორც ცოფიანი ძაღლი, ისე დაჰყავთ ყელსაბამით ამერიკელებს სააკაშვილი და ხან სად „მიაბამენ“ და ხან სად...“

„მაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოდან უკრაინაში მიშა სააკაშვილის დავალებით ბევრი ყოფილი პოლიციელი და ნაცზონდერია ჩასული. ისინი შეიარაღებულნი არიან, პროვოკაციებისა და ტერორისტული აქტების მოსაწყობად ემზადებიან“.

ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე, ჩვენში, როგორც წესი, ცოტას წერენ. ძირითადი შაბლონი ამ პუბლიკაციებისა მარტივია: ცუდი რუსეთი, ცუდი რუსი პოლიტიკოსები და ა.შ. არადა ამ ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ,ყოველდღე თუ არა, ყოველ კვირას კეთდება რაღაც, ხოლო ამ პროცესის შესახებ ჩვენი საზოგადოება ფაქტობრივად, საინფორმაციო ვაკუუმშია. „საერთო გაზეთი“ „რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის ფონდის“ პრეზიდენტს, პროფესორ ვლადიმერ ხომერიკს ექსკლუზიურად ესაუბრა.

— ბატონო ვლადიმერ, მოდით, საუბარი ბორის ნემცოვის მკვლელობით დავიწყოთ, ნიშნავს თუ არა ნემცოვის მკვლელობა პუტინის მმართველობის დამთავრების დასაწყისს?

— აქ შკარად დიდ პროვოკაციასთან გვაქვს საქმე, ვიღაცას რუსეთში დესტაბილიზაციის მოწყობა სურს, თუმცა არაფერი გამოუვა. მე მგონი, ამ მკვლელობასთან უკრაინისა და აშშ-ს სპეცსამსახურებს აქვთ კავშირი. რუსეთს ნემცოვზე უარესი, დაუძინებელი მტერი ჰყავდა გიჟი სააკაშვილის სახით, რომლის მოშორებასაც მართლაც 5 წუთი უნდოდა, მაგრამ არ მოიშორა. გიჟი თავისუფალია, იაროს, ილაპარაკოსო, ამბობდნენ და ახლა ნემცოვზე გაისვრიდნენ ხელს? გამორიცხულია. იმედი ვიქონიოთ, რომ გამოძიება მოძებნის და სასამართლო გაასამართლებს მკვლელს, ეს საქმე აუცილებლად უნდა გაიხსნას.

— გიჟი თავისუფალია, იაროსო, აცხადებთ, ჰოდა, დადის კიდეც და პოროშენკოს მრჩეველობასაც კი გამოჰკრა ხელი.... გვითხარით, როგორ შეხვდნენ რუსეთის ოფიციალური წრეები სააკაშვილისა და მისი მომხრეების უკრაინაში დისლოკაციას?

— სააკაშვილი და მისი გუნდი უკრაინაშიც ძალიან ბინძური მეთოდებით თამაშობენ და მოქმედებენ. ზოგიერთები ფულის გამო მიდიან უკრაინაში საბრძოლველად, რაც, ვფიქრობ, არასწორია. გასაგებია, რომ უჭირთ და ფულის გამო მიდიან იქ, მაგრამ ისინი საქართველოს ინტერესებისთვის კი არა, უკრაინის ინტერესებისთვის იხოცებიან და უკრაინის ინტერესები კი, საქართველოს ინტერესები არ არის. გმირები ის ბიჭები არიან, რომლებიც საქართველოს ინტერესებისთვის იღუპებიან, ესენი კი, ვინც ფულის გამო მიდის საომრად, გინდ უკრაინაში და გინდ სხვა ქვეყანაში, დაქირავებული „ბოევიკები“ არიან და მეტი არაფერი. და ეს მხოლოდ მათი საქმე და პრობლემაა. მე მგონი, სწორედ ეგენი გეგმავენ არეულობას საქართველოში. ესენი სააკაშვილთან ერთად საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ აპირებენ გალაშქრებას. მაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოდან უკრაინაში მიშა სააკაშვილის დავალებით ბევრი ყოფილი პოლიციელი და ნაცზონდერია ჩასული . ისინი შეიარაღებულნი არიან, პროვოკაციებისა და ტერორისტული აქტების მოსაწყობად ემზადებიან. დიახ, ისინი ტერორისტული ოპერაციების ჩამდენებიც არიან. მე მგონი, ეს საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს, მეტიც, ცუდად შემოუბრუნდება.

— სხვათა შორის, გავრცელდა ინფორმაცია, სააკაშვილი ტერორისტული აქტების განხორციელებას გეგმავსო...

— ეს ნამდვილად ასეა. ყოველ დღე აცხადებს, სააკაშვილი საქართველოში დავბრუნდებიო. წამდაუწუმ იმუქრება ხელისუფლებაში დაბრუნებით და როგორ უნდა დაბრუნდეს თუ არა დესტაბილიზაცია და რევოლუციური გზა ? თქვენ მშვენივრად იცით, რომ სააკაშვილი ძალიან საშიშია, იმიტომ რომ სააკაშვილს ახლა სამშობლოც აღარ აქვს. ეს არის ერთი ავანტურისტი, სამშობლოდან კინწისკვრით გამოგდებული გიჟი, კაცი, რომელმაც ყველაფერი დაკარგა და ყველაფერს გააკეთებს, ბოდიშით ამ სიტყვისთვის და ყველაფერს ფეხებზე დაიკიდებს იმისთვის, რომ დაბრუნდეს საქართველოში. დიახ, გინდ ომით იყოს, გინდ ტერორიზმით, ოღონდაც დაბრუნდეს ხელისუფლებაში. როგორც ცოფიანი ძაღლი, ისე დაყავთ ყელსაბამით ამერიკელებს სააკაშვილი და ხან სად „მიაბამენ“ და ხან სად. სწორედ იქ უშვებენ, სადაც ყველაზე დიდი სიბინძურე და უბედურებაა და ამერიკას თუ სჭირდებოდა და თუ ძალიან უყვარდა სააკაშვილი, მაშინ წაეყვანა თავისთან, ამერიკაში, დაჯდებოდა და იმუშავებდა იქ პროფესორად ან ლექტორად. მაგრამ არავის უნდა სააკაშვილი, ჯერ ერთი იმდენი ჭკუაც არ აქვს ალბათ პროფესორის ადგილი რომ დაიკავოს, მეორეც მათ აწყობთ, რომ ასე დარბოდეს და მისი ხელით ყველგან აურდაურიონ სიტუაცია. ჰოდა, ახლა უკრაინაში გაგზავნეს თავისი ბანდიტებით და იქ აკეთებს იმ საქმეს, რასაც საქართველოში აკეთებდა, როგორც საქართველო დაშალა, ისე დაშლის ბოლომდე უკრაინასაც.

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები დალაგებისკენ რომ წავიდა, ფაქტია, მაგრამ როდის ჩადგება ნორმალურ კალაპოტში ეს ურთიერთობები? რას ამბობენ რუსეთის პოლიტიკური წრეებში?

— ახლა, საქართველოს მტრები, ნაციონალები და სხვები ჩემს პასუხს სათავისოდ გამოიყენებენ, ვისზეც ვიტყვი ნორმალური პოლიტიკოსია-მეთქი რუსეთის კაციაო, იტყვიან, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ დღეს ერთადერთი **რეალური კონტაქტი და პოზიტივი რუსეთ-საქართველოს შორის აბაშიძე-კარასინის შეხვედრებია. სწორედ ეს არის ერთადერთი ნათელი წერტილი, წერტილი, სადაც ჯერ კიდევ ლაპარაკი მიდის და რაღაც ინტერესების გათვალისწინება ხდება. ზურაბ აბაშიძეს** ლაპარაკი, მე მგონი, ეს მოგვცემს ამის საშუალებას, ასევე იმას, რომ აფხაზებსა და საქართველოს მთავრობას შორის დაიწყოს დიალოგი.

— საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს როგორ შეაფასებდით?

— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ყველა სფეროში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ხალხს არ აქვს მოთმინება, ერთ დღეში **შიზე არის საქართველოს პატრიოტი, ის ძალიან ფრთხილი პოლიტიკოსია, ის მართლა საქართველოს ინტერესებისა და კეთილდღეობისთვის იბრძვის**. ვფიქრობ, ეს ფორმატი კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და გამაგრდეს. და ეს, მგონი, საქართველოს ხელისუფლებასაც ესმის. ახლა ნაციონალებმა ერთი ამბავი ატეხეს რკინიგზის საკითხზე, რაც პირადად ჩემთვის ღიმილის მომგვრელია. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ სააკაშვილის მთავრობას თავად უნდოდა საქართველოს რკინიგზის, თანაც განა 25 %-ს, მთლიანად, რუსეთზე მიყიდვა, აქ დიდი მოლაპარაკებები იყო მათი ემისარების მხრიდან, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, რუსეთი არ წავიდა მათთან კონტაქტზე. და ახლა საქართველოს ხელისუფლებას ხელს უშლიან ხელს რკინიგზის 25 % გაყიდვაში, იმაში, რომ აამუშაოს ეკონომიკა. ჯერ ერთი, ეს საქართველოს ფულს მოუტანს ბიუჯეტში, მეორეც ამუშავდება რკინიგზა. ჩვენ ხომ გვინდა აფხაზებთან კონტაქტი უნდათ დიდი ხელფასები და პენსიები. ცოტა მეტი მოთმინება უნდა ჰქონდეს ხალხს და დაუდგეს მთავრობას გვერდში. მე თუ მკითხავთ, საქართველოში სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები, აქამდეც უნდა ჩატარებულიყო, ცოტა დაგვიანებულიც კია. რიგგარეშე არჩევნები აუცილებელად უნდა ჩატარდეს, სადაც საქართველოს მოსახლეობა მეტად დაფიქრებულად მიიღებს მონაწილეობას და აირჩევს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც საბოლოოდ მოგვაშორებს ნაციონალებს თავიდან და საქართველოს წაიყვანს განვითარებისკენ. კიდევ ერთი უბედურება ის არის, რომ საქართველოში არ არის რეალური ოპოზიცია.

— ალასანია მიიჩნევს თავს ხელისუფლების ალტერნატივად, ის ალასანია, რომელიც ვალერი ხაბურძანიას თქმით, რუსეთთან კავშირებს მალავს...

— ეს არის კიდევ ჩვენი უბედურება, რომ ძალიან ენამოსწრებულები ვართ, ჩვენ ქართველები. ბევრი არაფერი შეგვიძლია, მაგრამ ვჩხავივართ მარტის კატასავით, რაც ვიცით და რაც არ ვიცით იმაზე. ვცდილობთ პიარი გავიკეთოთ. და მე თუ მკითხავთ, ეს არ არის სწორი, თუ კაცს პოლიტიკოსობაზე გაქვს პრეტენზია, თანაც ერთ დროს თუ უშიშროების მინისტრი იყავი, მაშინ მეტად თავშეკავებული უნდა იყო. ზოგადად,ყოფილი ძალოვანები თავს იკავებენ ხოლმე ასეთი განცხადებებისგან.

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

პეტრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№7, მარტი, 2015 წ.

„საერთო გაზეთი“ აგრძელებს დისკუსიას თემაზე –

რა საფრთხეებს შეიცავს საქართველოსთვის მის ტერიტორიაზე ნატოს სასწავლო ცენტრის განთავსება?

გულბაათ რცხილაძე

გვესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გულბაათ რცხილაძე.

— ბატონო გულბაათ, თქვენ პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ბრძანდებით, ახალგარდა კაცი, რომელიც აგრეთვე ევრაზიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობთ, რატომ არ ჩანხართ აქტიურად მედიაში, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო ხომ არა?

— ნაციონალური რეჟიმის პირობებში მეც და ჩემი პოლიტიკური შეხედულებებიც აბსოლუტურად მიუღებელი იყო მედიასაშუალებებისთვის. პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მასმედიას გამოცოცხლება დაეტყო, გაჩნდა ალტერნატიული აზრი, თუმცა ჩვენი მასმედია დღეს მაინც არ არის სრულად დამოუკიდებელი, მისი უდიდესი ნაწილი დასავლურ გრანტებს იღებს. დღესდღეობით დასავლეთისადმი კრიტიკული და რუსულ–ქართული ურთიერთობებისადმი დადებითი პოზიციის გამოხატვას იმდენად უფრთხის ქართული მასმედია, რომ სულ რამდენიმე გაზეთი ბეჭდავს ჩემთან საუბრებს, მათ შორის „საერთო გაზეთიც“ არის.

— თქვენი ინტერესების სფერო მხოლოდ ამ საკითხებით შემოიფარგლება? ქართულ საზოგადოებრიობას, მოგეხსენებათ, სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევებიც აინტერესებს.

— არავითარ შემთხვევაში არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ საკითხით, ჩვენი ინსტიტუტის კვლევები ხელმისაწვდომია ინტერნეტში, იქნება ეს რელიგიური სექტების თემა თუ ახლო აღმოსავლეთის საკითხები. რაც შეეხება ნატოს, რუსეთს და სხვა საკითხებს, მე 1999 წლიდან ვმუშაობ ნატოს თემატიკაზე და დღეს შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოსთვის ნატოსკენ სწრაფვა უფრო მეტად საფრთხის შემცველია, ვიდრე სარგებლის მომტანი.

ნატოსკენ სწრაფვის პროცესი პირდაპირ დაგვანგრევს. ნატო მაინც არ მიგვიღებს თავის რიგებში, რუსეთთან კი მოგვიწევს სერიოზული ჭიდილი, — ამას ვამბობ უკვე ათეული წლებია და ჩემი სიტყვები აცხადდა კიდეც 2008 წელს.

პოლიტიკა არ არის მარტივი რამ. რთული ფენომენია და არ შეიძლება პოლიტიკური „თამაშები“ ერთი მიმართულებით გაიშალოს. ყოველთვის უნდა ვეძებდეთ ალტერნატიულ გზებს უკეთესობისკენ.

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს „უკეთესი“ გზა რუსეთისკენ მიმავალია?

— კვლავ გავიმეორებ: პოლიტიკა რთული მეცნიერებაა, ამიტომ არ შეიძლება პრიმიტიულად მივუდგეთ საკითხებს, თუმცა არსებობს თემები, სადაც უნდა იყო კონკრეტული, კატეგორიული და გეჭიროს პრინციპული პოზიცია.

მიმაჩნია, რომ, რადგან რუსეთი ჩვენთვის არ არის მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ნაწილი და საქართველო ტოტალურად არის დაკავშირებული მასთან, როგორც ტერიტორიული თვალსაზრისით, ასევე ეკონომიკური და ადამიანური კუთხითაც. საქართველომ რუსეთთან კარგად აწონილ-დაწონილი და მოზომილი პოლიტიკა უნდა აწარმოოს.

მე არ ვგულისხმობ იმას, რომ საქართველომ უნდა წაშალოს თავისი სახელმწიფოებრიობა რუსეთთან მიმართებაში და არ უნდა დაიცვას თავისი ინტერესები — პირიქით, მაგრამ სწორედ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენთვის უმჯობესია რუსეთში გვენდობოდნენ. არ უნდა დამყარდეს ურთიერთობები ტყეულზე, დაპირისპირებასა და რევანშზე.

გარწმუნებთ, რუსეთს არ აქვს ინტერესი, რომ ჩვენი ქვეყანა დაიშალოს.

რუსეთს არ ჰქონდა არც უკრაინის დაშლის ინტერესი, სანამ უკრაინამ თვითონვე არ დაკარგა სახელმწიფოებრიობა, უარი თქვა თავის ინტერესებზე და სხვისი, ანუ დასავლეთის ინტერესების გამტარებელი და აშშ-ის პოლიტიკის იარაღი არ გახდა.

ჩვენი ეკონომიკა დღეს მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ პრეზიდენტ პუტინის ინიციატივა რომ არ ყოფილიყო ქართული პროდუქციისთვის ბაზრის გახსნაზე, ახლა აქ გამოუვალი ვითარება იქნებოდა.

კარგია, რომ დღევანდელი ხელისუფლება ხვდება რუსეთთან ურთიერთობის დალაგების აუცილებლობას. თუმცა მეტი აქტიურობაა საჭირო.

როცა ჩვენ არ გვაქვს გაცნობიერებული, რა არის ჩვენი ქვეყნის ინტერესი, ერთმანეთში ვურევთ მიზანსა და საშუალებებს. ახლა ჩვენთვის ნატო გახადეს მიზანი, არადა ის უნდა ყოფილიყო საშუალება. იმის მაგივრად, რომ ნატო საქართველოსთვის უკეთესობის პერსპექტივა ყოფილიყო, პირიქით, ნატო და აშშ-ი იყენებს საქართველოს საკუთარი ინტერესებისთვის. როგორც ხრუშჩოვმა თავის დროზე გამოაცხადა, კომუნიზმი იქნება 1980 წელსო, ასეთი უტოპიური აზრი დომინირებს დღეს ჩვენშიც — ნატოში შევალთ და ყველაფერი კარგად იქნებაო.

ცხადია, მე არ ვამბობ, რომ ნატო მოწინააღმდეგედ გამოვაცხადოთ. სომხეთის და ყაზახეთის მაგალითი ავიღოთ. ნატოს ბევრი ერთობლივი ღონისძიება აქვს ამ ქვეყნებში განხორციელებული. ყაზახეთში ნატოს ეგიდით წვრთნებიც კი იმართება, მაგრამ ეს მეზობლებთან შეთანხმებით ხდება. რუსეთს პრეტენზიები არ აქვს, რადგან მასთან შეთანხმებულია და საქმის კურსში იმყოფება. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. რაღაცები მეზობლებთან უნდა შევათანხმოთ. ნუ ვიქნებით იზოლაციაში. მიმოვიხედოთ ირგვლივ. ჩვენს გარშემო ჩვენნაირ რადიკალურ პოლიტიკას არავინ არ ატარებს. თვით თურქეთიც კი.

— საუბარია იმაზე, რომ უნდა გაიხსნას ნატოს ე. წ. სასწავლო ცენტრი. რა არის ეს, რა ცენტრია?

— ამბობენ, რომ ეს არ იქნება ბაზა, თუმცა ასეთი ინფორმაცია გათვლილია მიამიტ ადამიანებზე, სინამდვილეში კი ეს „ბაზა“ იქნება ცოცხალი ძალის და იარაღის მუდმივი ტრაფიკის აბსოლუტურად გაუმჭვირვალე ობიექტი.

8 gv.

რა საფრთხეებს შეიცავს საქართველოსთვის მის ტერიტორიაზე ნატოს სასწავლო ცენტრის განთავსება?

7 gv.

ლავროვმა უკვე გააკეთა განცხადება ამის შესახებ და გვითხრა, რომ ზომებს აუცილებლად მიიღებენ. ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა ტიპის ზომებზე შეიძლება იყოს საუბარი. რუსეთი საქართველოდან მუდმივ საფრთხეს გრძნობს. ამიტომ ყოველმხრივ წინ უნდა აღვუდგეთ ნატოს სასწავლო ცენტრის მშენებლობას საქართველოში და თუ მაინცადამაინც გადაწყვეტილია ამ ცენტრის მშენებლობა, მაშინ საზოგადოებას უნდა მიეცეს მონიტორინგის საშუალება. ცენტრის საქმიანობა აბსოლუტურად გამჭვირვალე უნდა იყოს.

— ზოგიერთი მიიჩნევს, რომ რაც უფრო მეტად შემოვა საქართველოში ნატო და დასავლეთი, ეს იქნება რუსეთისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორი საქართველოს დარჩენილი ტერიტორიების მიტაცების შემთხვევაში.

— პირიქით. ნატოს შემოსვლა საქართველოში იქნება რუსული აგრესიის გამომწვევი და ტერიტორიები კი არა, მოსალოდნელია, საერთოდ ქვეყანა შეეწიროს ამას.

თუკი უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია მოხდება, ძალიან დიდია ალბათობა, კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში სამხედრო მოქმედებები დაიწყოს, რადგან უკრაინის ფრონტი არ იქნება საკმარისი დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გასარკვევად.

ამიტომაც იქმნება ახალი ცენტრი საქართველოში, რომ რუსეთს საქართველოდან მეორე ფრონტი გაუხსნან. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა მოჰყვება ამას. ეს არის სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები.

აქ არ არის საუბარი მავთულხლართის გადმოწევაზე და მსგავს პროვოკაციებზე. მე გეუბნებით: ეს იქნება ომი! დაარტყამს რუსეთი იმ ცენტრს, საპასუხოდ დაბომბავენ რუსეთს. ესაა მთელი პერსპექტივა.

დასავლელი ექსპერტები ამბობენ, რომ არსებობს მოლოდინები, რუსეთის და დასავლეთის ერთმანეთთან სამხედრო ძალებით დაპირისპირებისა და ეს არის მოსალოდნელი უფრო რეალურად, ვიდრე იყო ბრეჟნევის და რეიგანის დროს. ეს დაპირისპირება კი გულისხმობს ტაქტიკური ატომური იარაღის გამოყენებას. არ უნდა ჩაერიოს საქართველო ამ სახიფათო პროცესებში. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენმა ქვეყანამ თავი უნდა აარიდოს აქ რაიმე სახის ნატოს ბაზის გახსნას, მით უფრო, რომ ნატო მაინც არ ღებულობს საქართველოს თავის რიგებში, და იცით, რატომ არ ღებულობს?

— დადგენილ სტანდარტებს ვერ პასუხობთო.

— სტანდარტები არაფერ შუაშია. საქმე ისაა, რომ, საქართველო რომ ნატოში გაწევრიანდეს, წევრი სახელმწიფოს წინაშე გაცილებით მეტი ვალდებულებები და მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება ალიანსს. დღეს ეს პასუხისმგებლობა მათი მხრიდან ნულის ტოლია.

— კერძოდ, რა სახის პასუხისმგებლობა ექნება ნატოს ჩვენს მიმართ, თუკი ამ ალიანსის წევრი გავხდებით?

— უნდა გითხრათ, რომ დიდი პასუხისმგებლობა მაინც არ ექნება. დაკვირდით, რა მდგომარეობაში არიან ბალტიის ქვეყნები. აბსოლუტური ისტერიკა სუფევს იქ. მუდმივი შიში აქვთ რუსეთის, არადა, ევროკავშირის წევრებიც არიან და ნატოშიც გახლავან ინტეგრირებულნი.

ამ ქვეყნების პოლიტიკური ელიტები აშშ-ის გავლენის ქვეშ არიან.

ბალტიის ქვეყნების ლიდერები ყოველთვის ცდილობდნენ საქართველო ჩაეთრიათ რუსეთის წინააღმდეგ ომში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. აქ აბუნტდა სიტუაცია, თვითონ კი წყნარად ააწყვეს საქმე. ახლაც იგივე უნდათ, რომ გაიმეორონ.

ვინ არის ეს ლიტვის პრეზიდენტი, თუ ასე უყვარს სააკაშვილი, უკრაინის შემდეგ თვითონ წაიყვანოს.

— ჩვენ ვსაუბრობთ ქართულ-რუსული ურთიერთობების ჭრილში საქართველოს როლზე. ამბობთ, რომ აქტიურად უნდა მივისწრაფვოდეთ არა დასავლეთისკენ, არამედ რუსეთისკენ, მაგრამ არაფერი გითქვამთ რუსეთის როლზე. რუსეთი ყოველთვის უნდა იდგეს, როგორც „უფროსი ძმა“, რომელიც მუდმივად ტუქსავს „უმცროსს“? და კიდევ ერთი: როცა სასწავლო ცენტრის შესახებ ლაპარაკობდით, მოსალოდნელი რუსული აგრესია ახსენეთ. რუსეთისთვის საქართველო არაფერს არ ნიშნავს და საერთაშორისო სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ძლიერსა და დიდს ანგარიში უნდა გაუწიო, მაგრამ მსოფლიოში ასევე მოქმედებს საერთაშორისო სამართალი, რომელიც არეგულირებს ამ დამოკიდებულებებს.

ასეც რომ არ იყოს, ჩვენ კარგა ხანი ვიყავით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირში და დღევანდელი გადასახედიდან ვერ ვხედავ სახელმწიფოებრიობის და ეროვნულობის დაკარგვის პრეცედენტებს.

რუსეთის ფედერაციის ფარგლებში დღესაც თავისი სიტყვა ეთქმით ეროვნულ რესპუბლიკებს. ჩეჩნეთის მაგალითიც საკმარისი იქნება. გაითვალისწინეთ ნაზარბაევის, ლუკაშენკოს, სარგსიანის, ალიევის გავლენები დსთ-ის სივრცეში. უთანხმოებები არის, მაგრამ ეს არ არის მომაკვდინებელი. ფაქტობრივად, ურთიერთობები ვითარდება თანასწორუფლებიანობის პრინციპით.

— რამდენად აქვს საქართველოს შანსი რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირების საკითხში, იმის გათვალისწინებით, რაც თუნდაც ბოლო 10 წლის განმავლობაში მოხდა საქართველოში. რუსეთისადმი ზიზღის თესვას და ცალსახად ნეგატიურ რიტორიკას ვგულისხმობ.

— შანსები, ცხადია, არის. საკმაოდ კვალიფიცირებულმა და ფრთხილმა ადამიანმა, ბატონმა ზურაბ აბაშიძემ გააკეთა განცხადებები. ჩემი აზრით, ეს არ ყოფილა მხოლოდ ბატონი ზურაბის მოსაზრებები. ეტყობა, მთავრობაში კონსულტაციები მიდის. ალბათ, პრემიერ-მინისტრმაც იცის ამის შესახებ. თუ ეს ასეა, მეტი შანსი აქვს საქართველოს, რომ ნაბიჯები გადადგას რუსეთისკენ, გადარჩენაზე იფიქროს და ხმამაღლა თქვას: მე ვარ სუვერენული სახელმწიფო და არა ამერიკის ელჩის ლაქია.

— ამერიკის საელჩოს?

— დიახ. მთელი ქვეყანა გახლავთ ამერიკის საელჩოს ყმა.

— თუ მთელი ქვეყანა ამერიკის ელჩის ყმაა და დამოუკიდებლად ვერავინ მოქმედებს, ვიმეორებ, თუ ეს ასეა, ამას საფუძველი ექნება და ჩვენ თამამად ვეღარ გადავდგამთ ნაბიჯებს იქეთ, საითკენაც აუცილებლობა გვიკარნახებს.

— გმადლობთ ამ შეკითხვისთვის.

რადგან რუსეთსა და დასავლეთს შორის დღეს უმწვავესი ვითარებაა, დასავლეთი საქართველოს გამოყენებას ცდილობს და ადვილად ვერ შეეგუება საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორის ცვლას, მაგრამ გავითვალისწინოთ ისიც, რომ დასავლეთი არ არის ყოვლისშემძლე. თუკი ქართველი ხალხი მოინდომებს და მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად, ხელისუფლებას გვერდით დაუდგება, პრობლემა დაძლევას ექვემდებარება.

ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვები, რამაც ცხადყო, რომ ქართველ ხალხს არ უნდა ნატო. ვისაც ეს დაუჯერებლად ეჩვენება, ერთად ჩავატაროთ გამოკითხვები ხელახლა.

თუმცა კვლავ შეკითხვას დავუბრუნდები: დასავლეთიდან და აშშ-იდან იქნება გარკვეული სახის შეფერხებები, ამის ნიშნები უკვე იყო და ამ კონტექსტში ვფიქრობ, ამიტომაც სურთ ნატოს სასწავლო ცენტრი გახსნან. ეს ცენტრი, მოსალოდნელია, გახდეს ბუდე უკრაინაში გაგზავნილი ბოევიკების თავშესაფრად, იარაღის გადაგზავნა-გადმოგზავნის, ფარული მოლაპარაკებების ადგილად. ამას ჩვენი მთავრობა ვერ გააკონტროლებს და დესტაბილიზაციის შემთხვევაში, საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტი — არეულობის შექმნის წყარო შეიძლება გახდეს.

ეს ცენტრი არა მხოლოდ რუსეთის საპირწონედ იხსნება აქ, არამედ ქვეყნის შიგნით, ქართულ პოლიტიკურ ვითარებაში ჩარევის სერიოზულ ინსტრუმენტად.

გრიგოლ რუხაძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ჟურნალ „სამი საუნჯის“ მთავარი რედაქტორი: შეუძლებელია რუსეთსა და საქართველოს, ამ ორ ქვეყანას, ორ ერს შორის დაშორიშორება მოხდეს. ჩვენ ერთი სარწმუნოებით ვართ შეკრული და ამ ურთიერთობას ვერანაირი პოლიტიკური ვითარება ვერ დაარღვევს. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არავითარი ევროპული ორიენტაცია და მიმართულება არ აქვს. ის არის მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის ნაწილი.



გრიგოლ რუხაძე

რასაც საზოგადო მოღვაწეები და ჩვენი პოლიტიკოსები აღნიშნავენ ჩვენი ევროპული ორიენტაციის შესახებ, ამას არავითარი მყარი ისტორიული საფუძვლები არ გააჩნია. XI ს-ის შემდეგ, რაც კათოლიკური სამყარო გამოეყო მართლმადიდებლობას, კულტურული კავშირები გაწყდა.

სულიერი კრიტერიუმები სარწმუნოებრივ ჭრილში ისაზღვრება.

ჩვენი კულტურა და სულიერება მართლმადიდებლური სამყაროს ნაწილია.

ბიზანტიის შემდეგ რუსეთი მესამე რომად იწოდება. მართლმადიდებლურ სამყაროში ინიცია-

ტივები რუსეთის ხელშია და ყველა დონეზე და კერძოდ, სარწმუნოების თვალსაზრისით, იგია დომინანტი. მას შესწევს ძალა დაიცვას მსოფლიოში მართლმადიდებლობა. ამ კუთხითაც რუსეთს შეუძლია ჩვენი დაცვა.

— რა როლი აქვს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების საკითხში?

— როგორც მოქალაქეს, ჩემი აზრი მაქვს და შემიძლია მოგახსენოთ, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია იღვწის ამ ურთიერთობების დალაგებისთვის.

რუსეთის საპატრიარქოც ემხრობა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხს. მოგეხსენებათ, რუსეთის პატრიარქი წინ აღუდგა აფხაზეთის ეკლესიის ავტონომიას და განაცხადა, რომ აფხაზეთის ეკლესია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ნაწილია.

— თუ ამ ცენტრის გახსნა რუსეთის მხრიდან კონფრონტაციის საბაბი გახდება, დაიწყება სამხედრო კონფლიქტი და ეკლესიის მრევლი ჩაერევა ამ კონფლიქტში, თქვენი აზრით, არ უნდა თქვას ეკლესიამ თავისი სიტყვა?

— გასაგებია, მაგრამ საკითხები, რომლებიც სარწმუნოებრივ თემებს არ ეხება, ეკლესია შეხედულებების გამოხატვისგან თავს შეიკავებს. როცა ზნეობას და ტრადიციებს ექმნება საფრთხე, ეკლესია მაშინ ამბობს თავის სიტყვას.

პირადად მე მომხრე ვარ, არ გაიხსნას საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრი, რადგან ეს არის დიდი ტრაგედიის დასაწყისი.

ირაკლი ფაღავა, ექიმი: რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირება აუცილებელია და ამ თვალსაზრისით დიალოგი უნდა გაიმართოს.

ირაკლი ფაღავა

თუ აშშ-ის და ევროპის პოლიტიკოსთა მოსაზრებებს გავითვალისწინებთ, ფაქტობრივად, ისინიც გვირჩევდნენ ყოველთვის, რომ დაგველაგებინა ურთიერთობა რუსეთთან.

რუსეთთან კონფლიქტით ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დავკარგეთ, თუმცა თვით რუსეთმაც ვერ იხეირა საბოლოოდ. მან დაკარგა საქართველო და მიიტაცა აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ჩვენ ერთმორწმუნე ქვეყნები ვართ და ასეთი ტიპის კონფრონტაციები არც ერთი მხარისთვის ხელსაყრელი და სასარგებლო არაა.

რუსეთი ყოველთვის, ასე ვთქვათ, აშანტაჟებდა საქართველოს. გორბაჩოვის პერიოდი გავიხსენოთ, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა იყო აღზევებული. რუსეთის პრეზიდენტი მაშინ ამბობდა: პრობლემებს შეგიქმნით აფხაზებთან და ოსებთანო. ამ შანტაჟის განხორციელებას ქართულმა მხარემაც შეუწყო ხელი არადიპლომატიური ქმედებებით და არაკორექტული რიტორიკით.

რუსეთი ვერასდროს შეეგუება იმას, რომ ჩვენ ნატოსკენ ავიღეთ პოლიტიკური კურსი.

ლავროვის, რუსეთის ნომერი პირველი დიპლომატის, ბოლო განცხადება გავიხსენოთ ნატოს ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით. ვერ შეეგუება ამას რუსული მხარე.

— როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, რას ფიქრობთ, ღირს ნატოში ინტეგრაცია და ნატოს ცენტრების გახსნა საქართველოში იმად, რომ რუსეთის სახელმწიფოსთან მუდმივ კონფრონტაციაში ვიყოთ?

— სწორად სვამთ შეკითხვას. დიახ, ამაზე დაფიქრება გვმართებს, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ნატოშიც არავინ გვღებულობს, არც ევროკავშირში, მაგრამ მაინც ხმამაღლა ვაცხადებთ, დღეს არა და ხვალ გავხდებით ევროსტრუქტურების წევრი და ნატოში შევალთო. აწონ-დაწონა სჭირდება ამ საკითხს.

— რაღა აწონ-დაწონა უნდა, რეფერენდუმი ხომ ჩატარდა?

— კი, მაგრამ, ამბობენ ასევე, რომ ის არჩევნები გაყალბდა, ამიტომ, რამდენად რეალურია ის გამოკითხვა, საკამათო თემაა.

ანზორ ბაბუხადია, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი: საქართველო რუსეთთან ძველ ურთიერთობებს და ეკონომიკურ კავშირებს თუ არ გამოიყენებს, პირდაპირ ვიტყვი, დედა გვეტირება.

ჩვენი ეკონომიკური და თითქმის ყველა ტიპის კავშირები ერთმანეთზე არის მიბმული. მაგალითად, მეტროპოლიტენში



ანზორ ბაბუხადია

ერთი ჭანჭიკი რომ გაფუჭდეს, რუსეთს უნდა ვთხოვოთ დახმარება. რომ არ დაგვეხმაროს, წარმოიდგინეთ, თბილისი მეტროს გარეშე. ყველა სხვა ასპექტის გათვალისწინებით, მეზობლური, მეგობრული და კარგი ურთიერთობები უნდა ჩამოვაყალიბოთ და შევინარჩუნოთ.

— როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთთან უერთიერთობა იმ რეალობაში, როცა ჩვენ ნატოსკენ მივისწრაფვით?

— მანამდე არაფერი გეტკინოთ თქვენ, რამდენ ხანსაც საქართველო ნატოს წევრი არ გახდება. ხალხს „აბოლებენ“, ხოლო რუსეთს აღიზიანებენ — ჩაგისვამთ საქართველოში ამერიკის ბაზებსო.

რამდენიმე დღის წინ ობამამაც თქვა: დღის წესრიგიდან უნდა მოიხსნას საქართველოს და უკრაინის ნატოში ინტეგრაციის საკითხიო.

მოკლედ, ჩვენ ეკონომიკურად მიბმული ვართ რუსეთზე, რაც უნდა ვიფართხალოთ, მაინც ვერ შევძლებთ თავის დაღწევას და ამდენ ფახიფუხში უფრო მეტად დავზარალდებით.

ჩვენი ეკონომიკური კავშირები უნდა გაგრძელდეს, ეს აუცილებლობასაც წარმოადგენს. ელემენტარულად, ქართველი გლეხი ვაშლს ვერ წაიღებს ვერც ერთ ქვეყანაში რუსეთის გარდა.

ქართული ღვინის, უხეშად რომ ვთქვა, 1% მიდის სხვა ქვეყნებში, 99% — რუსეთში. ამას გათვალისწინება უნდა.

ჩვენი მომავალი მეზობლებთან კარგ დამოკიდებულებაშია და არა რომელიმე სამხედრო ბლოკთან ინტეგრაციაში.

თამაზ შათირიშვილი, ინჟინერ-ენერგეტიკოსი: რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა არის ჩვენი ისტორიის არცოდნა. ილია ჭავჭავაძის წერილი „ასი წლის წინათ“ წაიკითხონ და მიხვდებიან ბევრ რამეს ისინი, ვინც რუსეთთან მტრულ ურთიერთობას ამჯობინებენ. ამ წერილს რომ წერს ილია ჭავჭავაძე 62 წლის ბრძენი კაცია და არა ის 24 წლის ყმაწვილი, „მგზავრის წერილები“ რომ დაწერა.

ილია ჭავჭავაძე რეალურად აფასებს მოვლენებს და ამბობს, 1799 წელს საქართველოში რუსის ჯარი რომ არ შემოსულიყო, საქართველოს სახსენებელიც კი არ იქნებოდაო.

ახლაც იგივე მდგომარეობა გვაქვს. საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. ვერ გაგვირკვევია, რა ჯობს, რუსეთი თუ ამერიკა და ვემხრობით ამერიკას, რომელმაც ცივილიზაციის აკვანი დაანგრია ეგვიპტეში, ერაყში, ლიბიაში, სირიაში. უარესს გვიზამს ჩვენ...

მე არ ვამბობ, რომ რუსეთი ანგელოზივით უწყინარია, მაგრამ არ სურს თავის საზღვრებთან



თამაზ შათირიშვილი

ახლოს აშშ-ი, ნატო და მას აქვს ამის უფლება.

ილია ჭავჭავაძე რომ ამბობს: „ეს ტურფა ადგილი, რომელიც ღმერთმა საცხოვრისაც მისცა ქართველებს, კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ გადაიქცაო“, მაშინ გვიშველა რუსეთმა. ილიას არ დავუჯეროთე და წიკლაურს, მინაშვილს და კანდელაკს დავუჯეროთ?

სიმართლე თუ გინდათ, ჩვენისთანა ქვეყნები, უკაცრავად და, ფეხებზე ჰკიდია ამერიკას და ჩვენი მეგობრობაც აბსურდია.

— რუსეთს არ ვკიდივართ ფეხებზე? რატომ ვუყვარვართ ასე?

— კი არ ვუყვარვართ, მეზობლები ვართ. რუსეთი არის ნაციონალური სახელმწიფო საკუთარი ინტერესებით.

არავის ვეგონო რუსების მეხოტბე. უბრალოდ, ორი ბოროტებიდან შედარებით ნაკლები უნდა ავირჩიოთ.

სიმართლე თუ გინდათ, გეტყვით მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით:

„რუსეთმაც და ამერიკამც
დროა ჩახვდეს რამერიგად...
საქართველო ქვეყანაა
ამერითა, იმერითა
მზისკენ მიწყივ ისევ მსრბოლი,
ხან ლურჯათი,
ხან მერნითა“.

ახლა კი მივჩაქჩაქებთ „მაგდანას ლურჯათი“, მაგრამ იქნება დადგეს დრო, მერნით გავჭენდეთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲓᲘᲚᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲗᲐᲠᲘᲐ

ᲒᲔᲓᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲔᲠᲐ,

ანუ სამუდამო დევნილის მოგონებები და ფიქრები



ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲗᲐᲠᲘᲐ

ყოველთვის, როცა რუსეთზე საუბრობენ, მას სხვების მსგავს სახელმწიფოდ წარმოიდგენენ. სინამდვილეში ასე არ არის. რუსეთი – განსაკუთრებული სამყაროა, მუდამ ერთი ადამიანის ნება-სურვილსა და ფანტაზიას დამორჩილებული, – მნიშვნელობა არა აქვს, პეტრე იქნება ის, თუ ივანე: ყველა შემთხვევაში, ეს თვითნებობის განსახიერებაა. ადამიანური თანაარსებობის ყველა კანონის საპირისპიროდ, რუსეთი მიაბიჯებს საკუთარი თვითდამონების და, ამავდროულად, მეზობელი ხალხების დამონების გზით. ამიტომაც, ახალ, განსხვავებულ რელსებზე მისი გადაყვანა არა მარტო სხვა ხალხების, არამედ თვით რუსეთის პირად ინტერესებში შედის.

პ. ი. ჩაადაევი, „L`Univers“, 15 იანვარი, 1854 წელი

ძვირფასო მკითხველო, ბევრ თქვენგან წაუკითხავს და გადაუკითხავს კიდეც გოგოლის „მკვდარი სულები“. გაგჩენიათ კითხვა, რატომ უწოდა ავტორმა თავის უკანასკნელ ქმნილებას „უკვდავი პოემა“? არა გენიალურობის გამო – იმ მნიშვნელობით, რასაც ეს სიტყვა მოიცავს ლიტერატურულ-მხატვრული თვალსაზრისით; გოგოლი, მისთვის ჩვეული და უმრავლესობისთვის უცხო ალღოს წყალობით, მიხვდა, რომ რუსული ცივილიზაციისა და, განსაკუთრებით, რუსული ხელისუფლების არსი და ბუნება სტატიკური და უცვლელია, როგორც კონსტანტა. ალექსეი ტოლსტოი, რომელსაც შესანიშნავად ესმოდა, რომ რუს ხალხს არ ჰყავს უფრო დიდი მტერი, ვიდრე მისი ხელისუფლება, წერდა: „ვინ არიან გერმანელები, ლიახები და თათრები მასთან შედარებით? რა შიმშილი და შავი ჭირი, როცა თავად მეფეა მხეცი მძვინვარე!“ – ეს ივანე IV მრისხანეზე ითქვა, მოსკოვის კრემლის ამგებ რუს ხელმწიფეზე – ბუნების ყველაზე ამაზრზენ ქმნილებაზე, რომლის მყრალი და უკვდავი სული იდუმალად სახლობს მის მიერ აგებული საცხოვრისის თითოეულ მფლობელ-მცხოვრებში. კრემლის ბინადართა ფსიქიკაზე მისი კედლების ამ საბედისწერო ზეგავლენის მეტაფიზიკური საიდუმლო ამოხსნა ცნობილმა საბჭოთა სამართალდამცავმა, ამჟამად ლონდონში მცხოვრებმა ვლადიმერ ბუკოვსკიმ, რომელმაც რამდენიმე წლის წინ, რადიო „თავისუფლების“ ერთ-ერთ გადაცემაში აღნიშნა: „რუსეთის პრეზიდენტი რომ ვყოფილიყავი, არავითარ შემთხვევაში არ ავირჩევდა კრემლს ჩემს რეზიდენციადო“. მაქვს ბუნდოვანი, თუმცა არადაუსაბუთებელი წინადადება – კრემლში დაცული აღურიცხავი სიმდიდრე, მათ შორის, ივანე IV-ის მიერ ყაზანის, ასტრახანის, ციმბირის ლაშქრობების შედეგად ნაძარცვ-ნადავლი ფასდაუდებელი არტეფაქტები, რომელთაც გამუდმებით ელაციცებოდა კეთრითა თუ სიფილისით უკვე სასიკვდილოდ დასნებოვნებული მეფე, – სწორედ ეს სიმდიდრე არის მიზეზი საზარელი ეგოიზმისა, რომელიც იპყრობს ამ ჯოჯოხეთური „სახლის“ უკლებლივ ყველა ბინადარს. ეს რომ ასე არ იყოს, რატომ იტყოდა პუშკინი: „ხოლო კაშეი, წყვდიადის მეფე, გულში იხუტებს ოქროს ფიალებს... იქაც რუსული სული ტრიალებს!“ ისტორია ადასტურებს, რომ მეფე ივანე მეოთხის გახრწნილი სხეულის სიმყრალე აუტანელი იყო ყველასთვის, ვინც მის მოსასვენებელში შედიოდა...

ზოგჯერ ვიტყვი ხოლმე – ეშმაკსაც წაუღია ეს რუსეთი, რა უნდა მოსთხოვო ქვეყანას, რომელსაც, ტიუტჩევისა არ იყოს, „გონებით ვერაფერს გაუგებ“? მაგრამ კაცობრიობის უბედურება ისაა, რომ უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული ეს ქვეყანა, დასახლებული ადამიანებით, რომლებიც უკვე რამდენი საუკუნეა ეწინააღმდეგებიან გენიალური ადამიანების (მათ შორის, არაერთი რუსის) გონებით შექმნილ ძირითად ფუძემდებლურ ზოგადკაცობრიულ ღირებულებებს, რომლებზეც აღმოცენდება და ვითარდება თანამედროვე ცივილიზაცია, – ფლობს იარაღის ისეთ არსენალს, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს სიცოცხლე ჩვენი პლანეტის უდიდეს ნაწილზე. მხატვარი რომ ვიყო, რუსეთის უკრაინაზე ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ დავხატავდი ტილოს, სადაც დენთის კასრზე გადამჯდარი პუტინი, ანთებული ჩირაღდნით ხელში, გაიძახის: „არ მომეკაროთ!!!“ წინა პლანზე მოჩანს ობამას, მერკელის, კემერონის, ოლანდის ცნობადი სახეები; უკანა პლანზე კი, პუტინის ზურგს იქით, რაკეტა-გამანადგურებლების ხიშტები... ეს სურათი, დახატული ისეთივე გულისხმიერებითა და მოთმინებით, როგორითაც მე ვცდილობ გადმოვცე ჩემი „მოგონებები და ფიქრები“, უთუოდ უზრუნველყოფდა ჩემს უზრუნველ სიბერეს... პუტინსა და მის მსგავსთ ოდესმე კიდევაც რომ წაეკითხათ კლასიკური რუსული ლიტერატურა, მას გაიგებდნენ არა თავის ტვინით, რომელიც ნაწარმოების სიღრმეში წვდომისთვისაა საჭირო, არამედ ზურგის ტვინისთვის გადამცემი სიგნალებით... საბჭოთა ხალხი „მსოფლიოში ყველაზე მეტად მკითხველი“ ხალხი იყო, მაგრამ რა ვნახეთ „უმართავ 90-იანებში“? რას ვხედავთ დღეს? რეიტინგი პუტინისა – ვისი შინაგანი სამყაროც, მისივე ლექსიკიდან და ქცევებიდან გამომდინარე, თავისუფალია კულტურის ნებისმიერი გამოვლინებისაგან, და რომელიც ბულგაკოვისეული შარიკოვის მოდიფიცირებული კლასიკური არქეტიპია, – 80%-ს აღემატება!!!

ამ თემამ აშკარად ხელი შეუშალა ჩემს თხრობას და რაიმე ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიყოლას... დავუბრუნდები წინათგრძნობებს – ჩემი ფიზიკური და მეტაფიზიკური არსებობის ძირითად მამოძრავებლებს, რომლებიც წინ უძღოდა ლოსოფიის მცდარობისა და საბჭოთა სახელმწიფოს არასიცოცხლისუნარიანობის „უტყუარი მტკიცებულება“. როგორ იტყვიან, – არც მეტი, არც ნაკლები! 1986 წლის მაისში, სოხუმში შემთხვევით შევხვდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ მ. გ. ლადარიას, რომლის შეკითხვას – ხომ ვაგრძელებდი სადიპლომო ნაშრომზე მუშაობას, – ვუპასუხე, რომ ამის საჭიროება თითქმის აღარ იყო, რადგან ამიერიდან ჩემი ცხოვრების თითოეული დღე ჩემი სადიპლომო ნაშრომის კიდევ ერთი ფურცელი და გაგრძელება იქნებოდა. ვერ ვიტყვი, რომ მან მაშინ სწორად შეაფასა ჩემი პასუხის აზრი და შინაარსი, რომელშიც ჩერნობილის ავარიაზეც იყო მინიშნება – ამ ქალაქის სახელიც საკმარისი იყო „საბჭოეთის ურყევი კავშირისა“ თუ „პერესტროიკის“ ბედის განსასაზღვრად, რომელსაც მოჰყვა ახალი, ბევრისთვის ჯერაც გაუცნობიერებელი ბოროტება: კრემლში მოვიდა პუტინი, რომლის „სახელისუფლებო ვერტიკალი“, ადრე თუ გვიან, ფილოსოფიისა და თვით ფიზიკის კანონების თანახმად, რუსეთისათვის დასრულდება ქრესტომათიული და სისტემური „ბუნტით, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ აზრსა და ადამიანურობას“. ღმერთმა ქნას, ამ პარანოიკმა, კრემლის ამშენებლის ღირსეულმა მემკვიდრემ, რომელიც თავს დაცულად მხოლოდ ამ შენობის სქელი კედლების მიღმა გრძნობს, ვერ მოსწროს „ჯოჯოხეთის მანქანის“ ამოქმედება: მისთვის და მისი გენშტაბელი თუ ლიუბიანკელი თანამოაზრეებისთვის მსოფლიო მშვიდობისა და „მათ წინააღმდეგ ამხედრებული“ კაცობრიობის გასანადგურებლად ერთადერთი არგუმენტია საბჭოთა კავშირის ბირთვული არსენალი.

ძნელია თავი შეიკავო ომისშემდგომი, 40-იანი წლების ინგლისისა და აშშ-ის ხელისუფლების კრიტიკისგან, რომლებსაც 1945 და 1949 წლებში ჰქონდათ რეალური ძალა და უფლება – ულტიმატუმის სახით მოეთხოვათ რუსეთისაგან და ეიძულებინათ ის უარი ეთქვა ბირთვული იარაღის შექმნაზე, თუმცა მათ ეს შესაძლებლობა არ გამოიყენეს. არადა, რამდენ უდანაშაულო მსხვერპლს ავირიდებდით! რამდენი უაზროდ გახარჯული სახსარი მოხმარდებოდა შიმშილით, სიცივით, სიღატაკით, უმეცრებით, უუფლებობითა და უსამართლობით გატანჯულ მილიონობით ადამიანს! სრულიად ეჭვგარეშეა, რომ რუსეთს (მის ნებისმიერ ხელისუფალს!) რომ ჰქონოდა ისეთი სამხედრო-ტექნიკური უპირატესობა, როგორსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდა აშშ, ის არათუ 4 წელიწადში, 4 კვირაშიც შეძლებდა „საყოველთაო ნათელი მომავლის“ მოწყობას ალიასკადან ცეცხლოვან მიწამდე...

დროა, ისევ ჩვენს ამბებს დავუბრუნდეთ. ...გამოგიტყდებით, დღემდე ვერ გავრკვეულვარ: როგორ შეეძლო ისეთ გამოცდილ ადამიანსა და პოლიტიკოსს, როგორიც ედუარდ შევარდნაძე იყო, არ სცოდნოდა, რომ სამხედრო მოქმედებები სეპარატისტების წინააღმდეგ წარმატებით არ დასრულდებოდა, რადგან, რეალურად, სეპარატისტებმა მხოლოდ „სადილის კოვზის“ ფუნქცია შეასრულეს სამხრეთ კავკასიაში რუსული სპეცსამსახურებისა და გენშტაბისათვის; როგორ შეიძლებოდა ეფიქრა შევარდნაძეს, რომ თავისი ნაჩქარევად ფორმირებული ქართული რაზმებით – საქართველოს კი

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“ №5-6 ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲠᲘᲬᲐᲨᲘ“ (№1.2015 წ.)

იმხანად არ ჰყავდა რეგულარული არმია – შეძლებდა რუსეთთან გამკლავებას (!) მის მიერ კონტროლირებად აფხაზეთის ტერიტორიაზე? განა უცნაური არ იყო, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, წარმატების ნულოვანი შანსით სამხედრო მოქმედებებში ჩართვა? (მე ასევე დღემდე არ მესმის, რით ხელმძღვანელობდა მიხეილ სააკაშვილი ცხინვალზე თავისი სამხედრო დემარშის დროს 2008 წლის აგვისტოში; განა შეეძლო მას არ სცოდნოდა, რომ პუტინი არ დათმობდა ამ ომს, თუნდაც ეს ყველა იქ მცხოვრები ბრძოლისუნარიანი ოსის სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა, ჩრდილოელი ოსი იქნებოდა ის, სამხრეთელი თუ სტავროპოლელი! ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ეჩვენებინა პუტინის რეალური სახე, რომელიც ჯერ კიდევ ცდილობდა ლიბერალად მოეჩვენებინა თავი დასავლელი „პარტნიორებისათვის“?! როგორც ჩანს, მართალი იყო ჯაბა იოსელიანი, როცა ამბობდა: პოლიტიკა ლობიოს ჭამა არ არისო...). ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების საბაბად იქცა მდინარე ენგურის გადალახვა ტანკებით – რუსული სარდლობისა და აფხაზეთის ხელისუფლებისათვის, რომლებიც დიდხანს და სულმოუთქმელად ელოდნენ ამ დღეს, „ციური მანანა“ იყო შევარდნაძის ეს საბედისწერო შეცდომა. ვფიქრობ, ამ გამოცდილ პოლიტიკოსს რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ საკმარისი დრო რომ ჰქონოდა მისთვის ახალ რეალიებში გასარკვევად, ის, ალბათ, ჯერ დაფიქრდებოდა, მერე კი საბრძოლო მანქანებით ადმინისტრაციული საზღვრის გადალახვის და საომარი მოქმედებების დაწყების ნაცვლად, ასობით ცარიელი ავტობუსისა და ვაგონის გაგზავნის ბრძანებას გასცემდა – აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მასობრივად და ორგანიზებულად გასაყვანად ტერიტორიიდან, რომელიც, დე-ფაქტო, ომის დაწყებამდე ჰქონდა დაპყრობილი და მიტაცებული რუსეთს...

რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების მაღალი ეშელონების თანამშრომლები, რომლებიც წლების მანძილზე აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოშორების საკითხს კურირებდნენ, დაინტერესებული რომ ყოფილიყვნენ აფხაზეთში ომის სწრაფად დამთავრებით, გარწმუნებთ, ის თვეებს კი არა, ერთ კვირასაც არ გასტანდა... მაგრამ ტყუილად ხომ არ ამბობენ რუსები – „ვისთვის – ომი, ვისთვის – მშობელი დედა“? „პოლიტიკა“ ითხოვდა მსხვერპლს, და რაც მეტი იქნებოდა ეს მსხვერპლი, მით უკეთესი! რატომ? რისთვის? იმისათვის, რომ ორმხრივი სიძულვილი დაპირისპირებულ მხარეებს შორის ყოფილიყო ომის უკვე განსაზღვრული შედეგების შეუქცევლობის გარანტი, რომ მეტ-ნაკლებად პროგნოზირებად მომავალში შეუძლებელი ყოფილიყო კონფლიქტის მონაწილე მხარეების შერიგება. სწორედ ამ მიზნით აიარაღებდა „თავისუფალი აფხაზეთის დამცველი“ რუსული სარდლობა აფხაზთა სეპარატისტულ რაზმებს; მას აინტერესებდა არა იმდენად და არა მხოლოდ მოწინააღმდეგის განადგურება, რამდენადაც ეჭვი მომავალი შერიგებისა; ამიტომაც სიამოვნებით ითვლიდნენ დაღუპულ აფხაზთა რაოდენობას, რომელთა ქელეხებსა თუ მოსახსენიებელ სუფრებზე კარგად მორგებული „მგლოვიარე“ ნიღბით შეექცეოდნენ მუქთა საჭმელ-სასმელს; ამასთან, არც მგზნებარე სიტყვის წარმოთქმა ავიწყდებოდათ „თავისუფლებისმოყვარე აფხაზთა დამმონებელი“ ქართველების მისამართით...

აი, სხვათა შორის, კიდევ ერთი მითი – მითი აფხაზთა „თავისუფლებისმოყვარეობის“ შესახებ. არავისზე ნაკლებად არ ვიცნობ აფხაზებს და შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ თავისუფლება ამ ხალხის გაგებით სულაც არ არის ის თავისუფლება, რომელიც, ცნობილი კლასიკური ფორმულით, „გაცნობიერებულ აუცილებლობას“ წარმოდგენს. მხოლოდ აბსტრაქტულის, შეუძლებელისა და მიუწვდომელის სფეროში შეიძლება ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს შემდეგი სიტყვათშეთანხმება: ხის რკინა, სუვერენული დემოკრატია, რუსი სამშვიდობოები, თავისუფალი რუსეთი... ვის, ან როგორ გაათავისუფლებდა ქვეყანა, რომელიც თავად არასოდეს ყოფილა თავისუფალი ამ სიტყვის საყოველთაო, უნივერსალური და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით? „თავისუფლება“ იმათ წარმოდგენაში, ვინც ხელმძღვანელობდა, მართავდა, ასულდგმულებდა, აიარაღებდა და ამასთან, იარაღით ხელში იბრძოდა – ეს არის ქართული მოსახლეობის დაუსჯელი მკვლელობისა და ძარცვის თავისუფლება, მოსახლეობისა, რომელიც საკავშირო ხელშეკრულების დენონსაციის შემდეგ სასიკვდილო მახეში აღმოჩნდა.

საკმარისია ითქვას, რომ „სამშობლოს გასათავისუფლებლად“ წარმოებული ომის დამთავრების შემდეგ, აფხაზი პატრიოტები ინერციით უკვე საკუთარ მუნიციპალურ დაწესებულებებს, სკოლებსა და საავადმყოფოებს ძარცვავდნენ; ბევრი საკურორტო ადგილი უბრალოდ აღიგავა პირისაგან მიწისა. მახსოვს, 2004 წელს როგორ შემძრა საქვაბის დემონტაჟმა, რომელსაც ცხელი წყალი უნდა მიეწოდებინა ათეულობით მრავალბინიანი სახლისთვის – რამდენიმე „ყოჩაღმა პატრიოტმა“ ის ჯართად აქცია, რათა თურქეთში გაეტანა გასაყიდად; და ამ ყველაფერს ფონად ედო, ერთი მხრივ, ხელისუფლების დანაშაულებრივი სიყრუე და სიბრმავე, მეორე მხრივ კი – ათასობით თანამემამულის პირუტყვული დუმილი და გულგრილობა.

...სამშობლოში უკან დაბრუნებულს უკეთესობისკენ შემობრუნების ნიშნები რომ დამენახა, – საბინაო-კომუნალური მეურნეობის ნორმალური მუშაობა, ადგილობრივი ხელისუფლების ზრუნვა ქალაქის კეთილმოწყობაზე, მოსახლეობის უმრავლესობის კეთილდღეობის გაუმჯობესება და ა. შ. – ჩემი ცხოვრებაც, ალბათ, სხვაგვარად აეწყობოდა. მაგრამ დანგრეული ქალაქის იერსახე, სრულიად პარალიზებული საქალაქო მეურნეობა, ქალაქში სანეპიდემიოლოგიური სამსახურის არარსებობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების უზარმაზარი გროვები, მაწანწალა ძაღლებისა და კატების წარმოუდგენელი რაოდენობა, რომლებსაც ქალაქის გულგრილი აბორიგენი მოსახლეობის თვალწინ ცოცხლად ჭამდა მკბენარი, წყალგაყვანილობის დანგრეული სისტემები, რაიმე სახის გამწმენდი ნაგებობის არარსებობა – ყოველივე ამან დაბრუნებიდან პირველივე დღეებში უარყოფითად განმაწყო ჩემს ირგვლივ ყველაფრისადმი. თუ იმასაც დავუმატებ, რომ მე, ცხოვრებაში ყველაფერზე მეტად ზღვაზე შეყვარებულ ადამიანს, ნანგრევებიღა დამხვდა ქალაქის ერთადერთი სამაშველო სადგურიდან, რომელიც ადრე მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა, – ადვილი მისახვედრი იყო, რომ ჩემს „გაძლება-მოთმინებას“ სადღაც წერტილი დაესმებოდა, და ასეც მოხდა. აზრი არა აქვს იმაზე მკითხაობას, თუ რით დასრულდებოდა ჩემი განდეგილობა, 1989 წლის 5 მაისს ძმისშვილს რომ არ შემოეთავაზებინა სამუშაო ახალ ათონში, სადაც ის აპირებდა გასაქირავებელი პუნქტის გახსნას ხუთი მოზრდილი ჰიდროველოსიპედისა და იალქნიანი ნავისთვის. ეს უკანასკნელი აღმოჩნდა სწორედ ის პირობა, რომლის გამოც უარის თქმა ვერ შევძელი, მივატოვე ჩემი ბოლოდროინდელი „ძვალშესალაგი“ და იმავე დღეს ძმისშვილის მანქანით დავბრუნდი შინ, გუდაუთაში.

ნავმისადგომის გახსნამდე რამდენიმე დღე რჩებოდა. დრო რომ მალე გასულიყო, თევზაობას მოვკიდე ხელი. ერთხელ, ტალღამჭრელთან მისულს, იქ უკვე დამხვდა ათამდე მეთევზე. ჩემი ყურადღება მიიქცია 10-12 წლის ბიჭუნამ: ის ძალზე ემოციურად რეაგირებდა, როცა ვინმეს ანკესს თევზი წამოეგებოდა, და მთრთოლვარე ხმით სთხოვდა ყველას, ცოტა ხნით მაინც ეთხოვებინათ მისთვის ანკესი, რასაც პასუხად უხეში უარი მოსდევდა. ბიჭს ჩემი ანკესი მივეცი და ვაჩვენე, როგორ უნდა წამოეგო ანკესის კაუჭზე მიდიის პატარა ნაჭერი. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, განსაკუთრებით, მაშინ, როცა თავის ანკესზე წამოგებული პაწაწინა თევზი დაინახა! პლაჟზე რამდენიმე რუსი დამსვენებელი იყო, რომლებიც ვერ ბედავდნენ ჯერ კიდევ ცივ წყალში ბანაობას. შევამჩნიე, რომ მეთევზეები ხშირად ნაპირისკენ ბრუნდებოდნენ, და საკმაოდ უხამსი გადაძახილებით ერთობოდნენ ახალგაზრდა ქალის დანახვაზე, რომელიც წინ და უკან დადიოდა ტალღამჭრელზე. ქალი 30 წლისა იქნებოდა, ტანმსხვილი, თუმცა სწორი აღნაგობის, ხელში სავარცხალი ეჭირა და საოცრად სქელ და გრძელ ქერა თმას ივარცხნიდა გასაშრობად. არც მანამდე და არც შემდეგ არასოდეს მინახავს ამდენი თმა ერთ თავზე – იმდენად გრძელი და ხშირი, რომ ქალი ერთ ადგილას რომ ჩაცუცქულიყო და თავი გაექნია, მთლიანად დაიფარებოდა საკუთარი თმით...

ამასობაში მზე ჰორიზონტს მიეფარა, თევზიც საკმარისი იყო ვახშმისთვის. წასასვლელად გამზადებულმა დავინახე, რომ ჩემი ანკესის მეგობარი ბიჭუნა ჩემკენ მოდიოდა... გრძელთმიან „უნდინასთან“ ერთად, რომელსაც უკვე გვირგვინად შეეკრა თმა. ჩემი პროტეჟე მისი შვილი აღმოჩნდა. ქალი მომიახლოვდა, ალერსით შემომხედა და მადლობა გადამიხადა მისი ვაჟისთვის მინიჭებული სიამოვნებისთვის. როგორც გაირკვა, მათ ოთახი ჰქონდათ დაქირავებული ქალაქის ცენტრში, და იმ შემთხვევაში, თუ მე შორს ვცხოვრობდი, სიამოვნებით გამაცილებდნენ...

...ვახშამი ჩემს სახლში მცირე ხანს გაგრძელდა, თუმცა უკვე ბნელოდა. სტუმრები ოთახში დავტოვე, რომ პირდაპირ ტაფიდან, ბოლომდე მიერთვათ დარჩენილი თევზი, მე კი გარეთ გავედი ხელ-ფეხის დასაბანად. ის-ის იყო, პირსახოცს მივწვდი, რომ ლიდია (სწორედ ასე გამეცნო) უხმოდ მომიახლოვდა ზურგიდან, პირსახოციან ხელზე ხელი ამიკრა და ჩაცუცქილმა, უეცარი მოძრაობით, საკუთარი თმებით დამიწყო ფეხის გამშრალება. შევეცადე ამის ნება არ მიმეცა, თუმცა ქალი იმეორებდა, რომ ძალიან ეწყინებოდა, და თავისი გაიტანა. გამომშვიდობებისას, უკვე მის სახლთან მისულებმა, დავთქვით, რომ მეორე დღეს ისევ შევხვდებოდით, რაც, სამწუხაროდ, არ ახდა.

დაკვირვებული მკითხველი მიხვდებოდა, რომ ახლადმოვლენილი მარია-მაგდალინელის საქციელის მიზეზი სხვა რამე იყო, ვიდრე უბრალო მადლიერება შვილისთვის ანკესის თხოვებისა და რამდენიმე თევზისთვის. ვფიქრობ, ის შენიშნავდა ჩემი ოთახის კედელზე ფანქრით მიხატულ თავის ქალის კონტურს ცენტრში ოთხსტრიქონიანი წარწერით: „დადგა 1989 წელი. სიცივე-შიმშილი-მარტოობა. ფიქრი სიკვდილზე, არეულობა-შიში-ფერფლი... დიდება შენ, უფალო, რომ ასეთია სასჯელი...“ დოსტოევსკის ცნობილ რომანში – „ძმები კარამაზოვები“ – არის ეპიზოდი, რომელშიც მონასტრის ბერი ზოსიმე მუხლებზე ეცემა ერთ-ერთი ძმის, დიმიტრის წინაშე, რადგან წინასწარ ჭვრეტს მის სატანჯველს. მოგვიანებით მას უდანაშაულოდ მამის მკვლელობაში დასდეს ბრალი და კატორღა მიუსაჯეს... დაუვიწყარმა ლიდიამ ექსპრომტად, თავისებურად, ჩემი ცხოვრების არა მარტო გარდასულ, არამედ მომავალ ტკივილებსაც დაუხარა თავი... ამ თითქმის ევანგელისტურ სიუჟეტს იმასღა დავამატებდი, რომ ეს არ არის ერთადერთი მაგალითი რუსი ქალების თავგანწირვის, სულიერი სილამაზისა და გამჭრიახობის. რა თქმა უნდა, ამ ფენომენსაც თავისი რაციონალური და გონივრული ახსნა მოეძებნება რუსულ ისტორიოსოფიაში. ვაღიარებ – ხშირად დავეჭვებულვარ, რომ მხოლოდ გენდერი არ განასხვავებს რუს ქალსა და რუს მამაკაცს, რომ არის რაღაც სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი... მეორე დილით, როცა ლიდიასთან შესახვედრად ვემზადებოდი, ძმისშვილმა მომაკითხა ახალ სამსახურში – ნავმისადგომზე წასაყვანად. რთული არ იყო, გამგზავრების ერთი დღით გადადება მეთხოვა მისთვის, მაგრამ რატომღაც, ჩემთვისვე გამოუცნობი მიზეზით, არ გავაკეთე ეს. თვენახევრის თუ ორი თვის შემდეგ, ერთ შტორმიან დღეს, სახლში შევიარე, სადაც კარის ქვეშ, იატაკზე, ბარათი დამხვდა – გაურკვევლობითა და ჩემი უცნაური გაუჩინარებით შეწუხებული ქალის მცირე ჩანაწერი...

ოთხი წლის განმავლობაში, დღეში 24 საათი, მაისის პირველი რიცხვებიდან ოქტომბრამდე, ზოგჯერ – ნოემბრამდეც კი (ამინდს გააჩნდა), ნავმისადგომზე ვმუშაობდი, რომელიც სანაპირო ზოლიდან 20-25 მეტრის მოცილებით მდებარეობდა. დაბალჭერიანი თავშესაფარი, რომელსაც მაშინვე „ბუნკერი“ დავარქვი, მონოლითური ბეტონის კედლებით სანაპირო ზოლსაც ამაგრებდა. მთელ აფხაზეთში სხვაგან არსად მენახა იმ ზომის ტარაკნები, ობობები და რვაფეხები, როგორებიც „ბუნკერზე“ ცხოვრობდნენ! სამაგიეროდ, ზღვა იყო მუდამ გვერდით – დღისითაც და ღამითაც...

ეს ომისწინა წლები იყო – მშვიდობის უკანასკნელი წლები ამ უბედურ მიწაზე. რაც უფრო ახლოვდებოდა 1991 წელი, მით უფრო მეტი სიხშირით ირღვეოდა მშვიდობა შიდაეთნიკური დაპირისპირებებითა და შეხლა-შემოხლით. საბჭოების ხელშეკრულების დენონსაციის შემდეგ, რასაც ე.წ. „ÃÊ×Ï “-ის მარცხი მოჰყვა, ერთიანად ირღვეოდა ნებისმიერი სახის კავშირები რეგიონებისა მეტროპოლიასთან, და ადგილებზე ძალაუფლება ყოფილი სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდა, რომელთა ხელმძღვანელებმა – „ფარული საქმეების დიდოსტატებმა“ – თავიანთ თავზე აიღეს უკვე არარსებული ცენტრის ფუნქციები.

ვინც კარგად იცის, რას წარმოადგენდა ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურები, ეჭვი არ შეეპარება იმაში, რომ ამ დასაბამიდან დღემდე ქურდული მენტალობის ქვეყანაში ძალაუფლება რომ აღმოჩენილიყო არა სპეცსამსახურების, არამედ „კანონიერი ქურდების“ ხელში, ეს – შედარებით ნაკლები ბოროტება იქნებოდა, რადგან გაცილებით ნაკლები მსხვერპლი, ნგრევა და სისხლი მოჰყვებოდა. ბოდიშს ვიხდი განვითარებული სამართლიანობის გრძნობის მქონე მკითხველთან, რომელთა რიცხვს მოკრძალებით საკუთარ თავსაც მივაკუთვნებ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ყოველგვარ ადამიანურობაზე ხელაღებულ ×Ê-ÃÏ Ó-Î ÃÏ Ó-Í ÈÀÄ-ÀÐÓ-ÊÃÁ-ÔÑÁ-ის თანამშრომლებისგან განსხვავებით, „კანონიერ ქურდებს“ (რამდენადაც მე ვიცი) ერთგვარი მორალური „ღირსების კოდექსი“ მაინც გააჩნიათ...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„საიდან მოდის სილამაზე? სად იკარგება"

მზისო ნავროზაშვილი – (კრავაი ზვერელი)

პარიზი

მონპარნასე - ვილა „სეგიური"... სახელოსნოს კარზე მოკრძალებით დარეკეს. არ უყვარდა ხოსე - მარია სერტის, როცა, სკულპტურაზე მუშაობას აწყვეტინებდნენ. მოღუშული გაემართა კარისკენ. ესპანელის ცეცხლოვანი მზერა შეაგება ზღურბლთან მდგომს და მოულოდნელობისაგან გახევდა, ყურთასმენა წაერთვა. დიდხანს ვერაფერს იგებდა. მის წინ საოცარი სილამაზის ქმნილება იდგა, 19-20 წლის, მაღალი, ქერა თმით, მარმარილოსფერი კანით, მწვანე თვალებით, ბავშვივით უშუალო, მომხიბვლელი ღიმილით. ეს გახლდათ ახალგაზრდა მოქანდაკე, ქართველი „პრინცესა" (ასე ეძახდნდნენ პარიზში) რუსუდან მდივანი. ამ წუთიდან ბევრი ადამიანის ცხოვრება შეიცვალა. ეს იყო 1925წელს.

პარიზამდე

რუსუდანი - სამშობლოდან განტოლვილი, პარიზში რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა საცხოვრებლად თავის ოჯახთან ერთად. მაშინ, უკვე, სიკვდილი მეფობდა საქართველოში. მამა - ზაქარია მდივანი, ჯერ ვარშავის სამხედრო გუბერნატორი იყო, შემდეგ –ბათუმის,ბოლოს, საქართველოს რესპუბლიკის მთავარსარდლის მოადგილე. მდივნების წინაპარი სოლომონ მდივანი ერეკლე II-ის თანამებრძოლი ყოფილა. ზაქარია მდივანი ჯერ კიდევ 1917 წლის დამლევიდან სამხედრო მოღვაწეებთან ერთად (გენერლები კონსტანტინე აფხაზი, ზაქარია ბაქრაძე, გიორგი კვინიტაძე, გიორგი მაზმიაშვილი, იოსებ გედევანიშვილი, ვარდენ წულუკიძე, ალ. ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკები - ქაქუცა ჩოლოყაშვილი, დათა ვაჩნაძე, ალექსი მაჭავარიანი) ერთად აქტიურად მონაწილეობდა ქართული ეროვნული არმიის ჩამოყალიბებაში. რაც საუკეთესოდაა მოთხრობილი გ.კვინიტაძისა და ვ. თევზაძის მოგონებებში. რუსუდანის დედა- ელენე სობოლევსკა, დედით ქართველი, მამით პოლონელი იყო. მიუხედავად სიძნელეებისა, საცხოვრისის ხშირად შეცვლისა, მშობლებმა შვილებს საუკეთესო განათლება მისცეს ჯერ ვარშავში, შემდეგ, პეტერბურგსა და თბილისში. ხუთივენი (დავითი,სერგი, ნინო, რუსუდანი, ალექსი) გამოირჩეოდნენ სილამაზით, არისტოკრატიზმით, განსაკუთრებული მიმზიდველობით.

ისევ პარიზი

მდივანების ოჯახი კონსტანტინეპოლის გავლით პარიზში ჩავიდა. ემიგრანტი ოჯახის მძიმე ცხოვრებამ აიძულა ზაქარია რამდენჯერმე შეეცვალა პროფესია. ფიზიკურად შრომობდნენ შვილებიც. უფროსები-დავითი და სერგი რადიო სახელოსნოში დასაქმდნენ, ხოლო უმცროსი ალექსი-13 წლიდან ხან, წვრინმალებს ჰყიდდა, ხან ფეხსაცმელების წმენდაში აღებული გროშებით ეხმარებოდა ოჯახს. რუსუდანი(რუსი) და ალექსი განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდნენ სამშობლოს დაკარგვას, რაც კიდევ უფრო გაუმძაფრათ დედის გარდაცვალებამ. პარიზში

რუსუდან მდივანი

„მოიწყეს" თავისი პატარა საქართველო და თავი ამით, გადაირჩინეს. რუსი ქართველ სტუდენტებთან ელენე ახვლედიანთან, დავით კაკაბაძესთან, ლადო გუდიშვილთან და ქეთევან მაღალაშვილთან, ხან, კაფე „როტონდა"-ში ლადოს გულშემატკივრობდნენ გამოფენაზე, ხანაც, „შემოდგომის სალონში"-ელენეს. ხან- ქეთევანს ელოდებოდნენ კოლაროსის აკადემიასთან. მეგობრებს ღიმილიანი წუთებიც უხვად ჰქონდათ გასახსენებელი: როგორ ცდილობდა, რუსუდანით მოხიბლული ახალგაზრდა სალვადორ დალი მისი ყურადღების მიქცევას,ამაოდ. (მხატვარი რუსუდანს ვერმეერის ცნობილ ნახატს „გოგონა მარგალიტის საყურით"ადარებდა.) პიკასოს თხოვნას: "შენი „ზამთარი კახეთში" მომწონს და მაჩუქეო." როგორ „ავჯახა კახურად" უარი ელენე ახვლედიანმა: "მეც მომწონს და არაო!" როგორ დააკავა პარიზის პოლიციამ რუსუდანი და მისი ძმა ალექსი, ქალაქში მანქანით თავგამეტებული სრბოლისას. ერთხელ, ელენეც დააჯარიმეს მანქანით მაღაზიის ვიტრინის დამსხვრევის გამო...

დაცარიელებული „სამშობლო"

რუსუდანი ნელ-ნელა, აქაც, ჰკარგავდა თავის წილ სამშობლოს, ნიკოლო მიწიშვილის ბიუსტი გაასრულა. „ცისფერყანწელი" სამშობლოში გაბრუნდა. მისმა მეგობრებმა, უკვე წარმატებულმა, მხატვრებმაც ნელ-ნელა დასტოვეს პარიზი, ძმებმა სერგიმ და დავითმა ამერიკის კონტინეტს მიაშურეს ბედის საძებნელად . მისი და ნინო (უამრავი თაყვანისმცემლებიდან) ცოლად გაჰყვა ცნობილ იურისტს, ჩარლზ ჰუვერიხს .(მეორედ იქორწინა ცნობილი დეტექტივების მწერლის, კონან-დოილის ვაჟთან დენისთან, ხოლო, მისი გარდაცვალების შემდეგ – ენტონი ჰერვორდთან. ალექსიმ, ერთი მადლიანი კაცის თანადგომით, კემბრიჯის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. რუსუდანს ახლა, ხატვა სწყეროდა, ის გადაარჩენდა, ამისათვის ბევრი შრომა და ცოდნის გაღრმავება იყო საჭირო. ამიტომაც, მოაკითხა ცნობილ მხატვარ- მონუმენტალისტს, ხოსე მარია სერტის, რომელიც პიკასოს გამოჩენამდე პირველ მხატვრად მოიაზრებოდა.

ხოსე-მარია სერტის სახელოსნოში

რუსუდანის სილამაზით მოხიბლული მხატვარი, კიდევ უფრო, გააოცა მისმა განათლებამ . სტუმარმა ინტერესით მიმოათვალიერა ნახატები. ოჯახის დიასახლისის მიზია სერტის უამრავი პორტრეტი იმზირებოდა კედლიდან, რენუარის ლოტრეკის და სხვათა ხელით შესრულებული. რუსი გაკვეთილებზე დადიოდა . სერტი გატაცებით ძერწავდა მის სხეულს. ამ სახელოსნოში შეწყდა მხატვარ რუსუდან მდივანის ბიოგრაფია და დაიბადა მუზა და შთაგონების წყარო დიდი მხატვრისა. ქმრის დაუფარავი აღფრთოვანება ავად ენიშნა მხატვრის ცოლს მიზია სერტის. რამდენჯერმე, ოტელ "დე ვერსალთან", (აქ ცხოვრობდა რუსუდანი მამასთან ერთად) ფანჯრებისკენ მომზირალიც შენიშნა. ბოლოს, სახლში რუსუდანისთვის გასაგზვნ სასიყვარულო წერილსაც გადააწყდა და შეშფოთდა. დარწმუნდა, რომ საფრთხე ახლოვდებოდა.

რუსი და ხოსე მარია სერტი კოსტა ბრავაში

მიზიას პორტერეტი (რენუარი)

ღირსეული მეტოქე

მიზია გოდებსკა-სერტი – ბრწყინვალე პიანისტი, ხელოვნების დიდი ქომაგი და მეცენატი იყო. იგი რენუარის, ტულუზ ლოტრეკის, მალარმეს, რაველის და სხვათა მუზა, მხარში ედგა კოკო შანელს, დაგილევის საბალეტო დასს და უამრავ ხელოვანს. სერტისთან ქორწინება მესამე იყო, მაგრამ, სიყვარული-პირველიც და უკანასკნელიც. „კოკოს ბევრი საყვარელი ჰყავდა და არცერთი ქმარი, მე კი, ბევრი ქმარი და არცერთი საყვარელი"-ღიმილით იტყოდა , ხოლმე. მიზიამ სტუმრად მოიწვია მეტოქე, გაიცნო და ...აღფრთოვანდა მისით. გულით შეიყვარა. საზოგადოებაში, უკვე, სამივე ერთად ჩნდებოდა. შეიქმნა სასიყვარულო სამკუთხედი, ისეთი როგორც, ჯეკ ლონდონის რომანში: „დიდი სახლის პატარა დიასახლისი", ოღონდ, აქ, მამაკაცი იყო „საზიარო". და ამ მამაკაცს, საერთოდ არ აწუხებდა მეუღლის დიდსულოვნება, არც, პაოლასაგით დაუხლია ტყვია. სიყვარულით დასნებოვანებულს არავინ ახსოვდა. რუსის კი, არ შეეძლო, მიზიას დედობრივი დამოკიდებულებისთვის ღალატით ეპასუხა. ამიტომაც, დატოვა პარიზი და ძმებთან გაფრინდა ამერიკაში ერთი წლით. ეს დრო საკმარისი იქნებოდა, იმისთვის, რომ ყველაფერი დალაგებულიყო. დრომ ვერ გაახუნა ხოსე მარია სერტის გრძნობა. კოკო შანელი "აფრინა შიკრიკად" გაყრაზე.

მიზია დიდი ხანი, შიშით, ელოდა ამ დღეს. მაინც, დაყაბულდა. მერე, საქორწილო სამზადისში ჩაება, კოკო შანელს საპატარძლო კაბა შეარჩევინა, ხოლო, ყოფილ ქმარს ლალისთვლიანი ბეჭედი რუსისათვის.

ხოსე მარია სერტიმ და რუსუდან მდივანმა 1928 წელს იქორწინეს ჰაგაში.

დიდი სახლის პატარა დიასახლისი

ბედნიერმა ხოსე მარია სერტიმ თავის ულამაზეს „პრინცესას" ესპანეთში, პალამოსში სასახლე აუშენა, აქ, ყველას მოუხაროდა, ვის არ შეხვდებოდით: პიკასოს, სალვადორ დალის, მარლენ დიტრიხს, კოკო შანელს, მოდილიანს, სტრავინსკის, უისტონ ჩერჩილს, გრეტა გარბოს, დიდი ბრიტანეთის ჰერცოგს და რომანოვების რუს თავადს. ჰოლივუდის ვარსკვლავებს, მსოფლიოს ბომონდის წარმომადგენლებს. და მათ შორის, ბრწყინავდა ახალგაზრდა დიასახლისი, იგი საზოგადოების ნამდვილი მა-

ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, რუსი მდივანი და ქეთევან მაღალაშვილი

რგალიტი იყო. სალვადორ დალი, მოგონებებში უახლოეს მეგობრებად ასახელებდა „პარიზის ფანტასტიკურ ქალებს“ – ბეტინა ბერჟერის, კოკო შანელსა და რუსუდან მდივანს. (არსებობს ბ. გ. ჩეპმენის რამდენიმე წუთიანი ვიდეო -მასალა, სადაც რუსა და მიზია არიან გადაღებული. რუსუდანი თავის მოშინაურებულ მაიმუნს ეთამაშება, ლამაზია და ლაღი. ხანში შესული ღირსეული ქალბატონი, რომელიც უკან მოძრაობს, მიზიაა. ფილმი ინახება ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ფილმოთეკაში).

ნამდვილი დღესასწაული იმართებოდა, როცა ,რუსუდანს ძმებიც ეწვეოდნენ, პრინცი მდივანების გამოჩენას პალერმოში დიდი ოვაციებით ხვდებოდნენ, ისინიც, საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყვნენენ არამარტო დის და სიძის სასახლეში, არამედ, მთელს მსოფლიოში.

„მექორწილე მდივანები“

ისინი ჰოლივუდის ვარსკვლავებთან და მდიდარ ქალებთან მრავალგზის ქორწინებით სახელით შერჩნენ ისტორიას. ვერ ხსნიდნენ მათი მიმზიდველობის საიდუმლოს და ამას „მდივანების ჯადოს“ მიაწერდნენ, ის ღირსებები რასაც, ძმები ფლობდნენ, ჩანს ეცოტავებოდა სამყაროს სადაც, ფული, სიმდიდრე მეტად ფასობდა. თორემ მრავალგზის ქორწინება ამერიკაში როდი იყო გასაკვირი, ან „ახალი ხილი“. სერგის ცოლად ჰყავდა: კინოვარსკვლავი პოლა ნეგრი, (მანამდე სამჯერ იყო გათხოვილი); საოპერო მომღერალი მერი მაკკორმიკი და ყოფილი რძალი,ძმის ალექსის - ცოლი ლუიზა ასტორი. დავითის ცოლად ჰყავდა: კინოვარსკვლავი მეი მერეი.(მანამდე სამჯერ იყო გათხოვილი.) და „სინკლერ ოილის“ პრეზიდენტის, ჰენრი სინკლერის ქალიშვილი ვირჯინია. ალექსიმ პირველად იქორწინა- ლუიზა ასტორთან მეორედ - მსოფლიოში ყველაზე მდიდარ მემკვიდრესთან, ბარბარა ჰანტონთან

„მშვენიერი პრინცი“

ალექსი, მართლაც გამოირჩეოდა ყველგან და ყველასგან. კემბრიჯის დამთავრების შემდეგ, ნიუ-იორკის სიტი ბანკის პარიზის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა და ეკონომიურად დამოუკიდებელი პიროვნება გახდა. იყო საუცხოო შვილი ავადმყოფი მოხუცებული მამისათვის, საუკეთესო მეგობარი და შემწე შეჭირვებულთათვის. ქართველ სტუდენტებს ეხმარებოდა სტიპენტიებით, სამოსით. ევროპული განათლება, ინგლისური მანერები, ქართული სული, ადამიანებთან ურთიერთობის უნარი -ამით გამოირჩეოდა და ამით უყვარდათ. ალექსი მდივანი 1931 წელს პარიზში საქართველოს მთავრობის ლეგაციის მდივანად დაინიშნა და სამშობლოს სამსახურში ჩადგა.

ნინო მდივანი და დენის კონან დოილი

სტუდენტობიდანვე, პოლოს მოთამაშე ცხენოსანთა გუნდის კაპიტანი იყო და ხშირად იღებდა მონაწილეობას საერთაშორისო ასპარეზობებში. ამერიკის უმდიდრეს ქალ ს და ყველასთვის სასურველ საპატარძლოს, „უნივერმაღების მეფის“ ასულს ბარბარა ჰატენს, ბანგკოკში პოლოს შეჯიბრისას „გულში ჩაუვარდა“ ცხენზე ამხედრებული და მოედანზე მონავარდე „ქართველი პრინცი“. 1933 წლის 22 ივნისს პარიზის ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში ჯვარდაწერილთ, ქორწილზე ესწრებოდა ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. სალვადორ დალი და გალა, პიკასო, რუსუდანი, ხოსე-მარია სერტი, ჰოლივუდის ვარსკვლავები, მსოფლიოს მაღალი საზოგადოება, სულ რვაასი სტუმარი. ალექსი ეხმარებოდა ქართულ კოლონიას, ტუბერკულოზით დაავადებულ და უმუშევარ ქართველებს, ყოფილ ქართველ მხედართა ორგანიზაციას, (რომელიც დაარსა ზაქარია მდივანმა) დააწესა სტიპენდიები საფრანგეთისა და ბელგიის სასწავლებლებში ხელმოკლე ქართველი სტუდენტებისათვის და ამაში დახმარების კომიტეტის თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილიც მონაწილებდა. ალექსიმ ფული გადაუხადა გოგი ჭაჭიაშვილს, რომელსაც, დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და სადოქტორო თემას უფულობის გამო ვერ აბარებდა ცნობილ პროფესორ პაპენს. ალექსი ჩავიდა შანხაიშიც და იაპონელთა მიერ ოკუპირებული ხარბინიდან ლტოლვილ ქართველებს ექვსართულიანი სახლი უყიდა. ხარბინელ ქართველთა შვილებისათვის კი, სტიპენდიები დააწესა. მაგრამ, ბულვარული პრესა ცილისმწამებლური სტატიებით ესხმოდა თავს, ამან, ცუდი გავლენა იქონია მდიდარ ჰატენებზე. ბარბარას შეეძლო მილიონები გადაეხადა მარია-ანტუანეტას სამკაულში და იმავ დროს, ქარაფშუტობაში და მფლანგველობაში დაედანაშაულებინა ღვთისნიერი მეუღლე.

სამაგიეროდ, ალექსის მადლიერნი იყვნენ დევნილი თანამემამულეები. „თავის ქართველობაზე არასოდეს უთქვამს უარი, არ დაუკარგავს თავისი ოჯახისა და გვარის ტრადიციები და არ უღალატია თავისი ადამიანური პრინციპებისთვის.“-ასე წერდა მასზე ქართული გამოცემა პარიზში.

„სასმელს არ ვეკარები, არც ნარკოტიკებს,არც მიღალატნია, ერთადერთი, პოლოს ვთამაშობ და ისიც უნდა შევწყვიტო?“ – ასე იხსენებს ალექსის აღელვებულ საუბარს ერთი თვითმხილველი ლონდონში, სასტუმროში ჰატენებთან კამათის შემდეგ. ურთიერთობა უფროდაუფრო დაიძაბა და ერთ დღეს: „ვეყრები მსოფლიოში ყველაზე ღირსეულ მამაკაცს.“ – განაცხადა ბარბარამ.

სალვადორ დალი და კოკო შანელი

ტრაგედია, რომელმაც სიყვარული დაამარცხა

1935 წელს გაყრის შემდგომ, ალექსი პალარმოში რუსუდანთან ჩამოსული ძმების სანახავად მიმავალი, ავტოკატასტროფაში დაიღუპა, მეუღლისგან ნაჩუქარი „როლს-როისით“. „სულ ამის, მეშინოდა!“ – ასე, შეიცხადა ბარბარამ ალექსის სიკვდილი. შემდგომში რამდენჯერმე გათხოვდა, მაგრამ, სიცოცხლის ბოლომდე ,თავის მშვენიერ პრინცს მისტიროდა. დიდი ქველმოქმედის, გიორგი მაჩაბლის გარდაცვალების შემდეგ, ალექსი მდივნის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო ხელმოკლე ქართული ემიგრაციისათვის.

დავით მდივანი და მეი მიურეი

სერგი მდივანი და პოლა ნეგრი

ალექსი მდივანი და ბარბარა ჰანტონი

რუსუდანი მძიმე დეპრესიაში ჩააგდო ძმის დაღუპვამ. ტუბერკულოზით დაავადებულმა უარი თქვა მკურნალობაზეც, საკვების მიღებაზეც, ანუ სიცოცხლეზეც. გერმანულ წყაროებში, ისიცაა მითითებული, რომ, თითქოს, ტკივილს ვერ გაუმკლავდა და ნარკოტიკებსაც მიეძალა. თავს დასტრიალებდა მიზია, კოკო შანელი და ხოსე-მარია.. ერთ წელიწადში ჰოლივუდში გადაღებისას, ცხენიდან გადმოვარდა და დაიღუპა უფროსი ძმა სერგი მდივანი. ამაო აღმოჩნდა მიზიას და კოკოს ძალისხმევა რუსის გადასარჩენად, ამაოდ წაიყვანეს შვეიცარიის მთებში, მოტყუებით. რუსუდანმა ოთხი წლის განმავლობაში სამი ძვირფასი ადამიანი, მამა და ორი ძმა დაკარგა.

938 წელს გასრულდა რუსის სიცოცხლეც. მან, სული დალია მეუღლის ,მიზიას და კოკო შანელის ხელში. ხოსე-მარია სერტის დიდი ხანი აღარც უცოცხლია. რამდენიმე წელში გარდაიცვალა. მასაც მიზიამ უპატრონა

რუსუდანის გარდაცვალებით გამოწვეული სტრესის გამო, მიზიამ მხედველობა დაკარგა. კოკო შანელი არ მოსცილებია სიცოცხლის ბოლო წუთამდე. გარდაცვლილს გულსაკიდში რუსუდან მდივანის ფოტო იდო.

ასე ატარა გულით რუსი, მიზია სერტიმ, ბოლო ამოსუნთქვამდე.

მდივანებიდან, ყველაზე დიდხანს დავითმა და ნინა მდივანმა იცოცხლეს. დავითს ქართული საერთოდ აღარ ხსომებია.

ასე გადაეგო, უფესვოდ და უძიროდ, ერთი უმშვენიერესი ქართული ოჯახი, იქ, სადაც ხე ფესვებიდან არ იზომება.

მათი ოჯახების დანგრევასაც ცოლების ფინანსური მდგომარეობის შეცვლას უკავშირებდნენ და არა მენტალიტეტის, ტრადიციების განსხვავებას. სილამაზით, განათლებით, წარმომავლობით შემკულებს, მაინც, ეჭვით უცქერდა მოხიბლული მსოფლიო, მაინც ვერ აეხსნათ საიდუმლო მათი პოპულარულობისა. „მექორწინე მდივნები“ – ამ თიკუნით შემკობილნი შემოუტოვეს ისტორის.

და რატომ? რა აკლდათ მათ, უცხოტომელთა გულის მოსაგებად ?!

იქნებ, იმიტომ, რომ ნიადაგი ჰქონდათ გამოცლილი, სამშობლო ჰქონდათ წართმეული.

იქნებ...

...„საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება“...

ᲕᲐᲫᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ:

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲥᲐᲓᲐᲒᲘᲫᲔ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ, ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲕᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ეკონომისტი ᲕᲐᲫᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ:

— ბატონო ვაჟა, ბიძინა ივანიშვილის განცხადებას — გიორგი ქადაგიძემ ლარის კრიზისამდე მიგვიყვანა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი საპასუხო ბრიფინგით გამოეხმაურა. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ლარის მკვეთრი გაუფასურება?

— მიუხედავად იმისა, რომ თებერვალში ეროვნული ბანკის მიერ 120 მილიონი დოლარის ინტერვენცია იქნა გამოყენებული. მთლიანობაში, ეს მთელი სავალუტო რეზერვების 5%-ია მაშინ, როცა ამავე პერიოდში, მოლდოვასა და აზერბაიჯანში, ამ მიზნით, რეზერვების 30-35% გამოიყენეს. ამიტომ, როცა ქადაგიძე ამბობს, გამოწვევას ინტერვენციების გამოყენებით ვუპასუხეთო, ეს ადეკვატური და სწორი არაა, რადგან ჩარევა დაგვიანებული იყო და თავად ჩარევის მოცულობა, არასაკმარისი. რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა უფრო მეტი რეზერვის გამოყენება, სადაო თემაა, მაგრამ იმის თქმა, რომ ეროვნული ბანკის რეზერვები ქვეყნის დოვლათია და მისი განიავება არ შეიძლება, არამართებულია, რადგან ეს რეზერვები სწორედ ქვეყნის ფინანსური სტაბილურობისთვის უნდა იქნას გამოყენებული. ამ კუთხით, ბიძინა ივანიშვილის ხედვა, აბსოლუტურად ზუსტია. იგი ბიზნესმენია და ფულად-საკრედიტო სფეროში მიმდინარე პროცესებს ინტუიტიურად გრძნობს, უფრო ადეკვატურად აღიქვამს და მისი შეფასებებიც რეალისტურია. ქადაგიძის გამოხმაურება, არაადეკვატური იყო. ქადაგიძე, რატომღაც, განვითარებულ პროცესებზე პასუხისმგებლობას არ გრძნობს, ამ კუთხით, ვერ აღიქვამს ეროვნული ბანკის როგორც ინსტიტუტის როლს, საერთოდ არ საუბრობს საკუთარ შეცდომებზე და დაშვებულ უზუსტობებზე, რაც შექმნილ სიტუაციაზე აისახა. მიმაჩნია, ერთ-ერთი ინსტრუმენტის რეფინანასირების განაკვეთი 6 ნახევარ პუნქტამდე გაზრდილიყო, რათა მიმოქცევაში არსებული ფულის მასა შემცირებულიყო და ამ მხრივ, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის თვალსაზრისით, წნეხი განეიტრალებულიყო, რაც, თავისთავად, კურსზე აისახებოდა. აქ, ქადაგიძე ბრძანებს, ეს ეკონომიკურ ზრდას შეაფერხებსო. დიახ, ეს ასეა, მაგრამ როცა სასწორზე სოციალური სტაბილურობა დევს, რა თქმა უნდა, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, უპირატესობა სწორედ ამას უნდა მივანიჭოთ. ქადაგიძეს ოპონენტებთან პოლემიკის წარმოებას ერჩივნა კონკრეტული სამოქმედო გეზი და გეგმა წარმოედგინა, რადგან საზოგადოებისთვის, ექსპერტების დიდი ნაწილისთვის ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ნაბიჯები, მიუღებელია. მისი განცხადებები ახალგამოჩეკილ ექსპერტებზე ბაზარში ყაყანს უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზულ პოლემიკას ანდა პასუხისმგებლობის სრულყოფილად გათავისებას. მას მოვუწოდებ, ეროვნული ბანკის ფუნქცია კარგად გაიხსენოს და დარჩენილი დრო მაინც გამოიყენოს სახელმწიფო ინტერესების სასიკეთოდ და არა საზიანოდ.

— ბატონო ვაჟა, ეროვნული ბანკის მხრიდან საბოტაჟზეც საუბრობენ. ეკონომიკური დივერსიის განხორციელების რა მექანიზმები გააჩნია მას?

— ეროვნული ბანკი სერიოზული ინსტიტუტია, მას არსებული კანონმდებლობით ისეთი ფუნქციები აქვს მინიჭებული, რომ თუ მოინდომებს სახელმწიფოსაც და ხალხის ინტერესებსაც სერიოზულად დააზიანებს.

— ამ შემთხვევაში, მსგავს ფაქტს რამდენად ჰქონდა ადგილი?

— საფუძველი არ მაქვს ვამტკიცო, რომ საბოტაჟი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან განხორციელდა. მაგრამ ეს რომ არაეფექტური, არადროული და არამიზანსწრაფული ქმედებები იყო, თვალსაჩინოა. ამის უკან, თეორიულად, სავსებით შესაძლებელია გარკვეულ გარიგებას ჰქონდეს ადგილი. ვიცით, რომ ქადაგიძე „ნაცმოძრაობის“ კადრია. მას არცთუ სახარბიელო როლი აქვს შესრულებული „სტანდარტ-ბანკთან“ და „ქართუ-ბანკთან“ დაკავშირებით და მედიასთან მეტი გახსნილობა, ინტენსიური ურთიერთობა ჰმართებს. ეროვნული ბანკი დახურული დაწესებულება ან რაღაც ინსტიტუტი არაა, რომელიც საზოგადოებისგან იზოლირებული უნდა იყოს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოზიციას ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობისთვის, პერსპექტივისა და განვითარებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, როდესაც ქადაგიძე ივანიშვილის საპასუხოდ განცხადებას აკეთებს, შეფასებებში მეტი თავშეკავება მართებს.

— ბატონო ვაჟა, საქართველოში ხელფასს ლარებში ვიღებთ, კომერციული ბანკები კი სესხს დოლარში გვაძლევენ. მიუხედავად იმისა, რომ დოლარზე ვართ მიბმული, ეს ვალუტა ქვეყანაში არ მუშაობს.

— ეს იმ სპეციფიკიდან გამომდინარეობს, რაც დდღეს, საქართველოს საბანკო-საფინანსო სისტემას ახასიათებს. რა თქმა უნდა, ქვეყანაში დოლარიზაციის დონე უნდა შემცირდეს, მაგრამ ამის ადმინისტრაციული მეთოდებით აკრძალვა კარგი არ იქნება.

— ამჯერად, ლარის კურსის რყევა ნახტომისებურად მოხდა, მაგრამ ეს პროცესი ხომ მუდმივად მიმდინარეობს და ამაში საკმაოდ დიდი ფულიც კეთდება. ვინ მართავს ამ პროცესებს?

— ამ პროცესს ბაზარი არეგულირებს და ეს ასეც უნდა იყოს. ბანკებს ასეთი ოპერაციების წარმოების უფლება აქვთ. ვფიქრობ, ამ თვალთახედვით, ჩვენ, დასავლურ გამოცდილებას მივყვებით. ადრე, ამ კუთხით, საქართველოში ექსპერიმენტები ტარდებოდა. მაგალითად, ბენდუქიძე მიიჩნევდა, რომ ლარი საერთოდ უნდა ამოგვეღო მიმოქცევიდან და რომელიმე მყარ ვალუტაზე — ევროზე ან დოლარზე გადავსულიყავით. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ქვეყანა ფინანსურ დამოუკიდებლობას კარგავს. ამიტომ, მაშინ ამაზე უარი ვთქვით. ამ ეტაპზე, როცა ეკონომიკური პოლიტიკა დასახვეწი, შესაცვლელი, განსავითარებელი და ფეხზე დასაყენებელია, ლარის გაძლიერებაზე, გამყარებასა და ელასტიურობაზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებულნი, რათა, ერთი მხრივ, ქვეყნის ეკონომიკა ვითარდებოდეს, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო, სოციალური კუთხით, ვალდებულებებს ასრულებდეს.

— 90-იან წლებში, შევარდნაძის პერიოდში, უცაბედად მომრავლებულმა კომერციულმა ბანკებმა საქართველო გააპროლეტარეს. კომერციული ბანკები, დღემდე, უკონტროლო ზონად რჩება. არ უნდა მოძიებულიყო ვინ ძარცვავს ქვეყანას?

— ანალიზი, რა თქმა უნდა, ყოველთვის უნდა გაკეთდეს. საბანკო სისტემაში სერიოზული პროცესები მიდიოდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ბანკები, ფინანსური ინსტიტუტები ახალბედები და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში არიან. საქართველოში ბევრი უცხოური ფილიალის ბანკი შემოვიდა. ბანკების გამართული ფუნქციონირების გარეშე ეკონომიკის განვითარება, შეუძლებელია. ამ კუთხით, 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე, მართლაც ბევრი რამ მოხდა. პირველ რიგში, საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობად მივიღეთ შენობები და არა ბანკები. ისინი, მაგალითად, „ინდუსტრია-ბანკი“ და სხვები შემნახველი სალაროს ფუნქციას უფრო ასრულებდნენ, ვიდრე ბანკისას.

დღეს გვაქვს ძვირი და სუსტი, მაგრამ ბანკები, რომლებიც ეკონომიკის დასაფინანსებლად მზად არიან. ბანკებს ურჩხულებად არ აღვიქვამ, თუმცა მათ მიმართ კრიტიკა აუცილებელია, რათა ისინი არ იქცნენ დაკაბალების, მოსახლეობის სოციალური განადგურების, დეგრადაციისა და გაღატაკების ინსტრუმენტებად.

— ზოგადად, ვისით უდგათ სული ამ ბანკებს, რა წარმოშობისანი არიან? საერთოდ რამდენი კომერციული ბანკი შეიძლება იყოს ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში?

— 5 მილიონიან ქვეყანაში, ერთგან, შეიძლება, რამდენიმე ბანკი იყოს, მეორეგან კი — 50. გააჩნია, როგორ და რამდენად ეფექტურად ასრულებენ ისინი თავიანთ ფუნქციას, რამდენად სასარგებლოა ამ მოცულობის საბანკო ინსტიტუტების არსებობა, რასაც ბუნებრივია, საზედამხედველო ორგანო — ეროვნული ბანკი უნდა არეგულირებდეს.

— ბატონო ვაჟა, თქვენი მოსაზრებით, როგორია სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის როლი ჩვენს ქვეყანაში?

— ბევრი მიმართულებით, მათი ტაქტიკა სადაოა. ის კლიშეები, რაც სავალუტო ფონდს აქვს, ხშირად, ეფექტური არაა. მაგალითად, მუჰამედ შადმან ვალავი, რომელიც საქართველოში სავალუტო ფონდის წარმომადგენელი იყო და ეკონომიკის განვითარების მიმართულებებსა და ტენდენციებს ერთპიროვნულად გვკარნახობდა, ამბობდა — აჩეხეთ ვაზი თუ ის რენტაბელური არ არის და უფრო შემოსავლიანი კულტურა გააშენეთო. ამ რჩევას რომ მივყოლოდით, დღეს, ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი შემოსავლიანი წყარო — ღვინო არ გვექნებოდა. რაც გვაქვს ის უნდა მოვაწესრიგოთ, იმით ვიარსებოთ, ვივაჭროთ, რომ ქვეყანა შევინარჩუნოთ. ყურძენი რომ გაგვეჩეხა და საზამთრო დაგვერგო, შეიძლება ვერც გაგვეყიდა. ან თუნდაც ატამი, იმიტომ, რომ საქართველოში ეს პროდუქტი უცხოეთიდან იმდენად გენმოდიფიცირებული შემოდის, რომ ლპობის პროცესიც არ ახასიათებს. თუ თავად არ განვსაზღვრეთ რა გვინდა, ვერავითარი სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ვერ გვიშველის.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ
555 23 28 24

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡ“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

ჯონდი ბაღათურია: ეჭვი მაქვს, რომ „თბილგაზის“ მფლობელი კალაძეა და გაზზე ფასი ამიტომაც იზრდება

„საერთო გაზეთი“ „ქართული დასის“ ლიდერს, ჯონდი ბაღათურიას ესაუბრა.

— ბოლო ხანს „ქართულ ოცნებაში” ერთგვარი დაძაბულობა შეინიშნება, სახეზეა ეროვნული ვალუტის გაუფასურებაც, არის თუ არა ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი და თუ კი, რამ მიგვიყვანა აქამდე?

— რამ მიგვიყვანა აქამდე? რა თქმა უნდა, პირველ რიგში, უცოდინარობამ. არაკვალიფიციური და საქმეში ჩაუხედავი ხალხი ცდილობს ქვეყნის მართვას და არ გამოსდის. ხაზი მინდა გავუსვა, რომ „ქართულ ოცნებაში“ ბევრი ღირსეულია ადამიანია, მათ შორის, ჩემი არაერთი მეგობარი, მაგრამ ეს ადამიანები გადაწყვეტილებებზე ვერ დომინირებენ. სხვა პარტიებიდან ოცნებაში პორტირებული ხალხი კიდევ ცალკე პრობლემაა, განსაკუთრებით მემარჯვენეებიდან და ქრისტიან-დემოკრატებიდან. ეტყობა, ახლა ოცნებას ვიღაცამ უთხრა, ძალიან ბევრი შტანგისტი, მოჭიდავე, მსახიობი და ნაცებთან ასოცირებული ხალხი არის პარლამენტშიო და ამიტომ გადაწყვიტეს „ახალი სახეების“ დეფიციტი პოპულარული გადაცემებიდან შეივსონ. ჰოდა იარეს, იარეს და მიადგნენ გადაცემა „რა, სად, როდის“ მიერ შექმნილ „ინტელექტკლუბს“. ნახეთ როგორი სახელია „ინტელექტკლუბი”. აბა, ამდენი უცოდინარით ფონს ვერ გავალთო. ეჭვი მაქვს, რომ ლელა კაკულიას ან მიხეილ ცაგარელის რეკომენდაცია იქნება ეს. დარწმუნებული ვარ „ერთი ერთში”, „ნიჭიერში” და „ცეკვავენ ვარსკვლავებშიც” ექნებათ ფარული მოლაპარაკებები, ჯერ არ ამხელენ უბრალოდ. აი, ასეთი მძიმე სურათი გვაქვს.

— ამბობენ, „ოცნება“ ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადებაო...

— თუ ვადამდელი არჩევნები, რომელიც აუცილებლად უნდა ჩატარდეს დაინიშნა და ჩატარდა ამ საარჩევნო სისტემით, რომელი საარჩევნო სისტემაც დღეს გვაქვს, შედეგი იქნება იგივე. ეს საარჩევნო სისტემა ხათუნა გოგორიშვილის მიერ არის დაწერილი და ხელისუფლებაზეა მორგებული. მოცემულობა ასეთია - ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს, მაგრამ ვადამდელი არჩევნების ჩატარებამდე კანონი უნდა შეიცვალოს. ექსკლუზიურად გეტყვით, ჩვენ, ყველა პოლიტიკური პარტია დიდი კონფერენციისთვის ვემზადებით, შევქმნით მემორანდუმს, რითაც საარჩევნო რეფორმის განხორციელებას მოვითხოვთ. და თუ ამას სათავეში ღარიბაშვილი ჩაუდგება ეს იქნება იდეალური ვარიანტი, მაგრამ ცოცხალი თავით არ უნდათ ეს. ვნახოთ რა გამოვა, ჩვენ ყველა ვარიანტში უნდა ვცადოთ. და თუ ღარიბაშვილი კვლავ უარზე იქნება, მაშინ იძულებულნი ვიქნებით, აქციები გავმართოთ, მართალია, მოსაწყენი გახდა კარვებსა და საკნებში ჯდომა და დროშების ფრიალი, მაგრამ სხვა გზა თუ არ დარჩა, მოგვიწევს.

ვიმეორებ, ბევრი წესიერი ხალხია ივანიშვილის გარემოცვაში და ზოგადად ქართულ ოცნებაში, მაგრამ ეს ადამიანები ამინდს ვერ ცვლიან. ისინი რაღაცას იტყვიან ხოლმე გუნდის შიგნით, (საჯაროდ არაფერს ამბობენ, რა თქმა უნდა, გუნდის ღალატი, რომ არ დაბრალდეთ), მაგრამ მაინც ვერაფერს ცვლიან, ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

— ამბობენ, კალაძეს „კალა კაპიტალში“ ყოფილი ნაციონალები - ნოღაიდელი, ხეთაგური და ქავთარაძე ჰყავსო...

— საინტერესოა, თქვენ და მკითხველმა როგორ მიიღეთ ეს ფაქტი, თორემ ჩემთვის კალაძე ყოველთვის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი იყო და არის. 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს სააკაშვილს უჭერდა და თავის დროზე ძალიან მჭიდროდ იყო ნაციონალურ მოძრაობასთან ბიზნეს კონტაქტებით გადახლართული. თქვენ რა ეს დაგავიწყდათ? მე არ დამვიწყებია. აღმოჩნდა რომ ახლაც გადახლართულები არიან ერთმანეთზე, დიახ, კუდებით არიან გადაბმულნი. თავის დროზე ერთად აკეთებდნენ ბიზნესს და ახლაც ერთად აკეთებენ, დამიჯერეთ. რა ხდება იცით, ის ხალხი, რომელიც წარსულში ნაციონალურ მოძრაობაშიც იყო (მაშინ კალაძეც ნაციონალურ მოძრაობაში იყო) და ახლაც ნაციონალურ მოძრაობაშია, კალაძესთან ერთადაც არიან, ერთად აკეთებენ ბიზნესს. აქ კანონდარღვევა არ იქნებოდა იმ შემთხვევაში კალაძე ენერგეტიკის მინისტრი რომ არ იყოს და მათი ბიზნესი რომ არ იყოს ენერგეტიკა. და ამ მოცემულობაში, როცა კალაძე ენერგეტიკის მინისტრია და ფლობს შპს „კალა კაპიტალს“, რომელიც ოფშორულ ზონაში, კვიპროსზე არის დარეგისტრირებული და მერე ეს „კალა კაპიტალის“ ლიმიტები უკვე ფლობს კომპანიებს, რომლებიც ენერგეტიკაში ფულს აკეთებენ, აი, ეს არის პირდაპირი დარღვევა კანონის კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ.

— თუ ასეა, ამ საკითხით შესაბამისი სტრუქტურები უნდა დაინტერესდნენ ...

— რა თქმა უნდა, უნდა დაინტერესდნენ. აქ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ენერგეტიკის სამინისტრო პრინციპში შპს კალა-კაპიტალად გადაკეთდა, იმიტომ რომ ნაწილი კადრების კალა კაპიტალიდან არის გადმოყვანილი ენერგეტიკის სამინისტროში. რამდენიმე სახელი და გვარი და ფულის კეთების სქემა შემიძლია გითხრათ, რომლის თავხედობასაც საზღვარი არ აქვს. „კალა-კაპიტალის“ ერთ- ერთი თანამშრომელი, გია ბენაშვილი კალაძეს თბილ გაზის მმართველად ჰყავს დანიშნული. ასევე თავის მოადგილედ ჰყავს დანიშნული კალა კაპიტალიდან გადმოყვანილი მარიამ ვალიშვილი, რომელიც „საქჰიდრომშენს“ ხელმძღვანელობდა. ეს ის „საქჰიდრომშენია“, რომელიც 18 ჰიდროელექტრო სადგურს და მათ შორის კიდევ 4 თბოელექტრო სადგურს ფლობდა და ფლობს. დაიცათ, ამით უბედურება არ დამთავრებულა. ახლა გამოვიდა კალა კაპიტალიდან „თბილგაზის“ მმართველად გადმოყვანილი გია ბენაშვილი და განაცხადა, გაზზე ფასი უნდა გავზარდოთო. ამას გამოეხმაურა კალა კაპიტალიდან გადმოსული კალაძის მოადგილე მარიამ ვალიშვილი და თქვა, დიახ, იძულებული ვართ, რომ გაზზე ტარიფები გავზარდოთო. საქმე იმაშია, რომ ამას კიდევ ერთი კომპონენტი ემატება, კალაძე დიდი ხანია ცდილობდა თბილგაზის ხელში ჩაგდებას. მე მაქვს საფუძვლიანი ეჭვი ვივარაუდო, რომ მან ეს უკვე განახორციელა. დიახ, ეჭვი მაქვს, რომ „თბილგაზის“ მფლობელი კალაძეა. „თბილგაზის“ მმართველი გამოდის და იძახის, ტარიფები უნდა გავზარდოთო და ისევ კალა კაპიტალიდან გადმოყვანილი მარიამ ვალიშვილი ეთანხმება მას. და კიდევ ერთი უბედურება, რომელიც ჯერ არ იცის საზოგადოებამ და თქვენი გაზეთიდან გაიგებს არის ის, რომ ფასის გაზრდა ელექტრო ენერგიაზეც იგეგმება. თბოელექტრო სადგურებმა, რომლის მფლობელიც კალა-კაპიტალის კომპანია საქჰიდრომშენია უკვე გააკეთეს განაცხადი - ელექტროენერგიის ტარიფი უნდა გავზარდოთო, იმიტომ, რომ გაზის ფასი იზრდებაო. გასაგებია? უკვე მიდის ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფის გაზრდის გადაწყვეტილების დამუშავება და ამას მალე გამოაცხადებენ.

თუ ეს გაუვიდათ ალბათ, მარტის ბოლოს უკვე მოსახლეობასაც გაუზრდიან გაზის ტარიფს. ბიზნესის ამ ხარბ მადას ფასების გაზრდისა ყოველთვის აბალანსებს საბაზრო ეკონომიკა, ანუ კონკურენცია. მაგრამ ეს კანონზომიერება არ მუშაობს მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს მონოპოლიასთან. მაგალითად, როგორიც „თბილგაზი“ და „თელასია“.

— არადა, ალტერნატივა არ არის...

— დიახ, თქვენ თუ არ მოგეწონებათ თბილგაზის მიერ მოწოდებული გაზის ფასი არ გაქვთ იმის საშუალება, რომ ვთქვათ და „სამტრედია გაზისგან“ იყიდოთ გაზი. ალტერნატივა არ გაქვთ. როცა მონოპოლიასთან გავქვს საქმე.

— კულუარული ინფორმაციით, სწორედ ამიტომ მოსვლია ღარიბაშვილს კალაძესთან შელაპარაკება...

— არ მაქვს ინფორმაცია, დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით, თუმცა ადვილი შესაძლებელია, რომ ამ თემაზე შელაპარაკება მოსვლოდათ.

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03

მსოფლიო ჭრილის მიხედვით

აპირებს თუ არა საქართველოს ექს-პრეზიდენტი „მაიდანის“ მოწყობას თბილისში

უკრაინის პოლიტიკური ელიტის ზოგიერთ წარმომადგენელსა და საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ სააკაშვილს შორის მეტისმეტად დაძაბული ურთიერთობაა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, სააკაშვილი თბილისში „მაიდნის“ გადატანას გეგმავს. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ უკვე დააანონსა, რომ 21 მარტს რუსთაველის პროსპექტზე გაიმართება მიტინგი საქართველოს გადაყენების მოთხოვნით. ამ თავყრილობაზე იწვევენ ყველას, ვინც შეურაცხყოფილი და იმედგაცრუებულია. ოფიციალური მიზეზი მძიმე ეკონომიკური სიტუაცია და ლარის 30-პროცენტიანი გაუფასურებაა.

„ნაციონალები“ დესტაბილიზაციის გამოწვევას ცდილობენ. მიტინგის ორგანიზატორების ჩანაფიქრით, 21 მარტი „თბილისური მაიდნის“ დასაწყისად უნდა იქცეს – დაახლოებით 50 ათას კაცს ელოდებიან, ხოლო აქციის დამფინანსებლებად ასახელებენ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და ქალაქის ყოფილ მერ გიგი უგულავას. ორივე მათგანი ციხეშია და მიტინგის ორგანიზატორებს ადვოკატების მეშვეობით უკავშირდებიან.

აქციის დროს განსაკუთრებით იაქტიურებენ დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულები – ამბობენ, რომ იქ პოზიცია შენარჩუნებული აქვს ასევე ციხეში მყოფ ბაჩო ახალაიას – თავდაცვის ყოფილ მინისტრს.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დარწმუნებული არიან, რომ „ნაციონალების“ მთავარი მიზანი ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და ქაოსის შექმნაა და ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის გართულების მიზეზით მიტინგის გამართვა სიცრუეა.

სააკაშვილი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ როგორმე დაბრუნდეს საქართველოში, უბრალოდ კი არ ჩამოვიდეს, არამედ ხელისუფლებაში დაბრუნდეს გადატრიალების გზით. სააკაშვილი თითქოს დაკავებულია სხვა ფრონტზე – პეტრე პოროშენკოს კონსულტაციას უწევს და ცდილობს დაიყოლიოს ამერიკის შეერთებული შტატები, რომ უკრაინას იარაღი მიაწოდოს. სინამდვილეში, ახალმოვლენილი კონსულტანტი ყელში ამოუვიდათ უკრაინის მაღალი პოლიტიკური წრის წარმომადგენლებს. და არა მარტო სააკაშვილი. ამბობენ, რომ საკვანძო თანამდებობებზე ქართველების, ანუ უცხოელების დანიშვნა უკრაინელთა უმრავლესობას გულზე არ ეხატება და ისინი პოროშენკოს ამას არ აპატიებენ.

სანდო წყაროს ინფორმაციით, უკრაინული პოლიტიკური ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი აშკარად საყვედურობს პეტრე პოროშენკოს „ქართული დაჯგუფების“ გააქტიურებას, რადგან ამ ჯგუფის გადაწყვეტილებები წყალს რუსეთის წისქვილზე ასხამს. მაგალითად, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა შეადგინა სია მაღალი რანგის მოხელეებისა, რომლებიც თითქოს-და კორუფციის ბრალდებით უნდა დაიჭირონ. ამ ამბის გახმაურებას ისეთი რეაქცია მოჰყვა, რომ პოროშენკომ „ქართველ რეფორმატორთა“ შეკვეთის შესრულებაზე უარი განაცხადა.

ექსპერტთა ვარაუდით, სააკაშვილისა და მისი მომხრეების დანიშვნა უკრაინაში უკრაინელთა არჩევანი როდია – ეს არის ამერიკელი და ევროპელი გავლენიანი პოლიტიკოსების დაჟინებული მოთხოვნა. ამით ისინი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გადარჩენასა და გაძლიერებას ცდილობენ, რომ სამომავლოდ რაღაცნაირად დააბრუნონ ხელისუფლებაში.

საქართველოს სტრატეგიული განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე „ვზგლიადისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს: ჩემი მონაცემებით, სააკაშვილი მართლაც ბევრს არ მოსწონს კიევში და არა იმიტომ, რომ კორუმპირებულია. მთავარი მიზეზი მისი რადიკალიზმია, რაც რეფორმების გატარებას კი არ უწყობს ხელს, არამედ უკრაინულ საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტად ძაბავს სიტუაციას. სააკაშვილის მოქმედებები სპონტანური და არარაციონალურია. ისეთი პირი უჩანს, რომ სააკაშვილსა და მის გუნდს უკრაინიდან გაქცევა მოუწევთ.

როგორც ჩანს, გაზაფხულის დადგომასთან ერთად საქართველოში ერთდროულად მოიმატებს როგორც ატმოსფერული, ისე პოლიტიკური ტემპერატურა. „ნაციონალების“ დაანონსებული მიტინგის საპირწონედ, 21 მარტს ალტერნატიულ აქციას გამართავს „თავისუფალი თაობა“, რომელიც აქტიურად გამოდის სააკაშვილის წინააღმდეგ.

ხელი დავიბანოთ და დავემშვიდობოთ უკრაინას

„ჩვენი, დასავლეთის ჩარევა ყოველთვის აუარესებს სიტუაციას. ნუ იწყებთ პროცესს, რომლის ბოლომდე მიყვანა არ შეგიძლიათ. გაიხსენეთ ჰუსეინის ერაყი, კადაფის ლიბია და ასადის სირია“, – წერს Times-ის მიმომხილველი მეთიუ პერისი.

უკრაინაში დასავლეთი ისევ „ცოდვილობს“, როცა სიტუაციაში ჩარევას ცდილობს. პრეზიდენტმა პუტინმა უფრო მეტი იცის ჩვენზე, ვიდრე ჩვენ თვითონ საკუთარ თავზე – იცის, რომ მის წინააღმდეგ სერიოზული გეგმები არ გაგვაჩნია. დიდი ბრიტანეთი უკრაინაში სამხედრო „მრჩეველთა“ პატარა ჯგუფს გზავნის, დასავლეთი უკრაინას აძლევს კრედიტებს, რომლებიც ბანკროტობისგან ვერ იხსნის მას...

როგორი კარგი იდეაა სანქციები – ირონიით შენიშნავს მიმოხილვის ავტორი. „ვლადიმირ პუტინს კარგად ვიცნობთ და თუკი მას ჩამოაგდებენ, მის ნაცვლად უარესი ვინმე მოვა. ჩვენი სანქციებით პუტინს ხელს ვუწყობთ პოპულარობის შენარჩუნებაში“.

დასავლეთს არ უნდა ჩაეთრია უკრაინა და არ უნდა დაჰპირებოდა მას ევროკავშირის წევრობასა და ნატოში შესვლას. უკრაინა უზარმაზარი, კორუმპირებული და არათანამედროვე ქვეყანაა, „დაავადებული“ ეკონომიკით და, რაც მთავარია, ჭიპლარით არის დაკავშირებული უფრო დიდ, პარანოიდულად განწყობილ რუსეთთან.

დასავლეთს ასევე არ უნდა გაეცა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის გარანტიები. „არასოდეს არ უნდა მოგვეთხოვა რუსეთისთვის, ხელი არ ეხლო ყირიმისთვის, თუ მზად არ ვიყავით იმისთვის, რომ უკრაინას ყირიმის დაცვაში დავხმარებოდით“.

ისევ და ისევ მეორდება მოქმედებათაჯაჭვი: დასავლეთი ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნის და რუსეთისგან მორიგი შეტევის შეწყვეტას ითხოვს. რუსეთი კი ყურადღებას არ აქცევს. დასავლეთიც ვითომ ვერაფერს ხედავს და მას სხვაგან გადააქვს მზერა. უკრაინა იძულებულია, თავდაცვის შემდეგ ხაზამდე უკან დაიხიოს.

მზად იყო კი ოდესმე დასავლეთი, რუსეთს სერიოზულად დაჰპირისპირებოდა, როცა მეზობლების მიწებს იტაცებდა? თუ თვალს გადავავლებთ ისტორიას, 50-იანი წლებიდან მოყოლებული, მოსკოვთან ურთიერთობის საუკეთესო პოზიცია შეკავების პოლიტიკაა.

რუსეთის პოლიტიკოსთააფსიქიკა დაავადებულია, რუსული ეკონომიკა დისფუნქციურია და არ შეუძლია, რუსეთში მცხოვრებთა ოცნებებისა და ამბიციების საყრდენად იქცეს. საუკეთესო გზა – მსოფლიომ უხილავი კორდონი უნდა შემოარტყას ამ განაწყენებულ, დაკოჭლებულ კვაზიიმპერიას და დაიცვას ის, რაც ამ კორდონის საზღვრებს გარეთ არის. დაე, თავის ნებაზე მიუშვას, რომ საბოლოოდ გაიხრწნას ის, რაც მის შიგნით დარჩება.

უკრაინა რუსეთის შეუხორცებელი იარაა, დასავლეთ ევროპისთვის კი მეტისმეტად დიდი ქვეყანაა საიმისოდ, რომ „გადახარშოს“ და მოაწესრიგოს. უკრაინის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას ათეულობით წელი და ტრილიონი დოლარები დასჭირდება.

მივუბრუნდეთ ისევ პუტინს და გავიხსენოთ ისევ ერაყი, ლიბია, სირია. თუ სახელმწიფოს თავს „მოაჭრი“, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ რაც თავის ქვემოთ დარჩა, იმის განწმენდა შესაძლებელია.

დასავლეთი უნდა ემზადოს ომისთვის, მაგრამ ფრონტის ხაზი უნდა მონიშნოს იქ, სადაც მართლაც შეეძლება ბრძოლა, სადაც მზად იქნება მრძოლისთვის. ეს არის ბალტიის ქვეყნების საზღვარი რუსეთსა და ბელარუსთან. დასავლეთმა უნდა დაიცვას ის, რისი დაცვაც შეუძლია და აღარ დაიცვას ის, რისი თავიც არ გააჩნია.

ბოლო უნდა მოეღოს „სიძულვილის ჯამპანიას“ რუსეთში

მოსკოვში ბორის ნემცოვის მკვლელობა დასავლეთის გამოცემებისთვის რუსეთში არსებული სიტუაციისა და პუტინის რეჟიმის კიდევ ერთხელ გაანალიზების საბაბად იქცა.

სტალინის ეპოქაში სახელმწიფოს მტრებს საჩვენებელ სასამართლოებს უწყობდნენ, პუტინის ეპოქაში კი ქუჩაში კლავენ. რუსეთში პროპაგანდა ისეთივე ძლიერია XXI საუკუნეში, როგორიც XX-ში იყო. ამ პროპაგანდის კარნახით კი, რეჟიმის კრიტიკა ღალატია და მოღალატე სიკვდილს იმსახურებს და სხვას არაფერს. პუტინმა თავისი მმართველობის ერთ-ერთ ნიშნად აქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით სიძულვილის კამპანია მათ მიმართ, ვინც „მოღალატედ“ შერაცხეს – ეს სტალინის ეპოქის სულისკვეთებაა, შიშის დათესვის კამპანიაა.

მას შემდეგ, რაც 2012 წელს პუტინი კვლავ დაუბრუნდა პრეზიდენტის სავარძელს, სისტემატურად აჩაღებს სიძულვილს პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, თანაც ისე, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაციონალისტური სახადით დააავადა.

პატივი უნდა მივაგოთ მანიფესტაციის ათეულათასობით მონაწილეს, მაგრამ ნაჩქარევად ნუ შევაფასებთ მოვლენებს, რაც აღრე არაერთხელ გაგვიკეთებია რუსეთში საპროტესტო მიტინგების შემდეგ – თითქოს ეს პუტინიზმის ეპოქის დასასრულის მაცნეა. არადა, სწორედ ასეთი მშვიდობიანი მარშის შემდეგ პუტინი უფრო მტკიცედ მიაბიჯებს თავისი მარშით.

პუტინისთვის ყველაზე დიდი საფრთხე არ არის საპროტესტო გამოსვლები, რომლებსაც ინტელიგენცია უწევს ორგანიზებას – იქნება ეს უკრაინის წინააღმდეგ ომით თუ რეჟიმის პოლიტიკური ოპონენტების თავდასხმებით გამოწვეული. მთავარი საფრთხეა ხალხის ცხოვრების დონის გაუარესება, კორუფცია, რომელმაც ყველგან შეაღწია... ამ მიზეზებით ბევრად მეტი ადამიანი გამოვა ქუჩაში, ვიდრე სამგლოვიარო მარშის დროს ვიხილეთ. რუსეთის ეკონომიკის ნგრევით საფუძველი ეცლება რეჟიმის საბაზო გარიგებას მოსახლეობასთან, ანუ ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფასა და კეთილდღეობის თანდათან ამაღლებას მორჩილების ნაცვლად.

ნურავინ მოტყუვდება, რომ პუტინი წაიფორხილებს. რაც უფრო დიდ პრობლემებს აწყდება, უფრო დიდი ძალით იბრძვის ნამდვილი და წარმოსახვითი მტრების წინააღმდეგ – როგორც სამშობლოში, ისე საზღვრებს გარეთ. დასავლეთს უჭირდა საქმის დაჭერა მასთან, როცა ის ზენიტში იყო. კუთხეში მომწყვდეულ პუტინთან საქმის მოგვარება ბევრად უფრო რთულია.

საქართველოში ეკონომიკური კრიზისი ხელოვნურად იყო პროვოცირებული

რატომ მოხდა ეროვნული ვალუტის დევალვაცია და როგორია მისი შედეგები ქვეყნის ეკონომიკისათვის-ამ საკითხთან დაკავშირებით მივმართეთ რამოდენიმე მეცნიერ ეკონომისტს.

ლია ელიავა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

— ქალბატონო ლია, როგორ შეაფასებდით ლარის გაუფასურების საკითხს და რა უარყოფითი როლი შეასრულა ეროვნულმა ბანკმა ამ პროცესში?

— იმის გამო რომ საქართველოს ეკონომიკა სუსტია და წარმოება არის მცირე რაოდენობის, დამოკიდებული ვართ იმპორტზე, ამიტომ ნებისმიერი „საგარეო შოკი“ ძალიან დიდ გავლენას ახდენს არამარტო სავალუტო კურსზე არამედ მთელ ეკონომიკაზე. ქვეყანაში იმისათვის არსებობს ეროვნული ბანკი, რომ მან მოახდინოს დროული და ადეკვატური რეაგირება ამ „გარე შოკებზე“ და მიიღოს ქვეყნის ეკონომიკისათვის საჭირო გადაწყვეტილება. სავალუტო კურსის რეგულირების მექანიზმები გააჩნია მხოლოდ ეროვნულ ბანკს, მთავრობას არაფრის გაკეთება არ შეეძლო. ეროვნულმა ბანკმა, ჩემი ღრმა რწმენით, არ **დახარჯა სავალუტო რეზერვები იმიტომ, რომ ისინი მას აქვს ძალიან მცირე რაოდენობით დაახლოებით 600-700 მილიონი და დანარჩენი არის განთავსებული ფასიან ქაღალდებში და პრაქტიკულად ხელმიუწდომელია**. ამიტომ ეროვნულმა ბანკმა ნებაზე მიუშვა სიტუაცია და ის თანდათანობით დამძიმდა. თავიდანვე, ნოემბერშივე რომ დაეწყო მას ლარის კურსის რეგულირება, მაშინ არ დასჭირდებოდა დიდი თანხები ლარის კურსის შესანარჩუნებლად. რა მოხდა სინამდვილეში? მიშვებულმა ლარის კურსმა გამოიწვია პანიკა საფინანსო სექტორში, საფინანსო წრეებში. იმ ბიზნესმენებს და ინვესტორებს ვისაც გააჩნდათ დიდი თანხები კომერციულ ბანკებში დაიწყეს გადარიცხვა საზღვარგარეთ, ამიტომ კომერციულ ბანკებს გაუჩნდათ მოთხოვნილება დოლარზე, რომ ეს გადარიცხვები ეწარმოებინათ, ამიტომ გაიზარდა ზეწოლა ლარზე, ის დაეცა ამ ზეწოლის შედეგად, გაჩნდა პანიკა მოსახლეობაში, რამაც ასევე დამატებითი ზეწოლის ფაქტორები შექმნა. ამით ქვეყნის ეკონომიკამ მიიღო იმის სიგნალი, რომ ლარი არის მიტოვებული „უპატრონოდ“ და მას შეიძლება დაემართოს ყველა უბედურება. დღეს უკვე ცოტა დასტაბილურდა სიტუაცია, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ **ის მიზეზები რამაც გამოიწვია ლარის ვარდნა არ გამქრალა!** ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ლარის დევალვაციაში დიდი როლი მიუძღვის ფსიქოლოგიურ ფაქტორს, და ამ ფაქტორის გაღვივების მთავარი დამნაშავე რა თქმა უნდა ეროვნული ბანკია.

ფაქტობრივად ქვეყანაში პროვოცირებულ იქნა ეკონომიკური კრიზისი! დააკვირდით, მთავრობამ ორ პროცეტამდე ზრდის პროგნოზი მაშინ შეამცირა, როცა ლარი იყო უკვე კატასტროფულად დევალვირებული, მანამდე არ იყო იმის საფუძველი.

- თუ ლარის გაუფასურების მიზეზები რჩება, რა შეიძლება მოხდეს მომავალში?

- მიზეზები რჩება მაგრამ ფსიქოლოგიური ფაქტორის ნიველირება მოხდა, **მიმდინარე წელი იქნება მკიმე, იქნება სავალუტო რყევებიც, ეკონომიკური კრიზისიც, მოსახლეობის შემოსავლების შემცირებაც და თუ ეროვნულმა ბანკმა შემდგომ სავალუტო რყევაზე არ მოახდინა სათანადო რეაგირება, ჩვენი ქვეყანა არა მარტო ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდება არამედ ეკონომიკური კოლაფსიც შეიძლება დაემართოს**. ამიტომ აუცილებელია ყველა ეკონომიკური ჯგუფისა თუ სამინისტროს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობა, **ასევე უნდა გამოირიცხოს ეროვნული ბანკის დიქტატი მთავრობაზე** და მოხდეს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ნაბიჯების გადადგმა.

ეროვნული ბანკიც და მთავრობაც ქვეყნის ეკონომიკისათვის უნდა მუშაობდნენ და არა საკუთარი უწყებისათვის.

ვახტანგ ჭარაია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის“ ხელმძღვანელი: — მიმაჩნია, რომ დეკემბერშივე რომ დაეწყო ეროვნულ ბანკს ინტერვენციები, მას შეეძლო ბევრად უფრო ნაკლები დანახარჯით მიეღწია გარკვეული სტაბილურობსათვის. თუმცა, პირველივე კვირაში მათ არა თუ იმოქმედეს, არამედ აკვირდებოდნენ მოვლენებს და ერთი განცხადებაც კი არ გაუკეთებიათ ამ მიმართულებით, რათა ხალხის პანიკა არ გაღვივებულიყო ისე, როგორც მოხდა მერე.

- დღეს თუ შეძლებს ეროვნული ბანკი ამ საქმის დასტაბილურებას?

- საგარეო ფაქტორებს თუ გავითვალისწინებთ, უცხოურ ინვესტიციებს, ექსპორტის კლებას, ფულადი გზავნილების შემცირებას საზღვარგარეთიდან და სხვა, მთლიანობაში ეს ყველაფერი არ არის პირდაპირი გავლენის მომხდენი ლარზე, ყოველ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს აქვს იმის უნარი თუ სურვილიც ექნება, რომ შეინარჩუნოს ლარის კურსი და არ მოხდეს მისი დევალვაცია, ეს ობიექტურად, მაგრამ თუ იქნება სხვა სუბიექტური მიზეზები, მაგალითად რომელიმე კომერციული ბანკიდან დოლარზე დიდი მოთხოვნა, შეიძლება ლარის კურსი ისევ გაუფასურდეს.

- კომერციული ბანკები ძირითადად უცხოელებისაა, გამოდის რომ ჩვენ მათ ვამდიდრებთ, როცა ვიღებთ სესხს?

- ცხადია ასეა, მაგრამ ძალით ხომ არავინ მიდის ბანკში? საერთოდ მინდა ვთქვა რომ ლარის კურსს რეალურად გასაზღვრავს კომერციული ბანკების ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული კურსი. თუ ეროვნული ბანკი ხედავს რომ დიდია დოლარზე მოთხოვნა, მაშინ ის თავად აწვდის დამატებით დოლარს ბაზარს და ამით ანეიტრალებს მის მაღალ მოთხოვნას, რათა კურსმა ზევით არ აიწიოს. სწორედ ამას არ აკეთებდა ეროვნული ბანკი და არ ჩაერია ამ პროცესში. თუ რომელიმე კომერციული ბანკი დიდი რაოდენობით დოლარს მოითხოვს და მას ბაზარი ვერ მიაწვდის, ამ ერთი ბანკის გამო შეიძლება დოლარის კურსი კვლავ ავარდეს. ამიტომ ეს პროცესები უნდა დარეგულირდეს ისევე, როგორც შიდა ფაქტორები, რომელმაც ბევრად განაპირობა ის, რაც მოხდა.

P.S. ეკონომიკური და საინვესტიციო პროცესები, რომელიც ახლა საქართველოში ხდება, ახალ ეტაპზე გადადის. ექსტენსიური ზრდის პერიოდი, დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის მრავალრიცხოვან ფაქტორებზე, წარსულში დარჩა. ახალა ის გზას უთმობს ინტენსიურ ზრდას, რომელიც გამოწვევების ახალ წრეს აყალიბებს, რაც თავის მხრივ სახელმწიფოსაგან ეკონომიკური განვითარების სარისხობრივ პარამეტრებზე კონცენტრირებას და საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის რეალიზებას ითხოვს.

ეთერ კასრელიშვილი
599-110-200

ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხის შესახებ

1. მშრომელი ხალხის მიერ შექმნილი ქონება: ფაბრიკები, ქარხნები, ბანკები, მაღაზიები და ა.შ. ვერაგმა შევარდნაძემ, კუთვნილებისამებრ, იმ ქონების შემქმნელებს კი არ მისცა, როგორც ამას 1993 წელს გამოსული კანონი ითვალისწინებდა და როგორც ეს სხვა რესპუბლიკებში მოხდა, არამედ მათ წაართვა და თავის კლანს დაურიგა. ამ ვერაგმა ხალხი გაამათხოვრა და მათი ქონებით თავისი ახლობლები გაამილიონერა. ამის საილუსტრაციოდ ორი მაგალითიც კმარა: მან ელმავალმშენებლის, ფაქტობრივად, ამშენებელი, გენ. დირექტორი — ზურაბ ჩივაძე ქარხნიდან გააგდო. მის ადგილზე თავისი ლანჩხუთელი ძმაკაცის — კაკო ჩხეიძის რჩევით, გარედან მოიყვანა და ჯერ გენ. დირექტორად დანიშნა (გ. ზღუდაძის მიერ დანაშაულისთვის ქარხნიდან გაგდებული), ლანჩხუთელი ზურაბ ცინცაძე და მერე მას ეს 300 მილიონად ღირებული გიგანტი — ელმავალმშენებელი, თავისი №594 განკარგულებით, 155 ათასად აჩუქა. იქ მომუშავე 3500 აქციონერს, კანონით, ქარხნის ღირებულების 10% — 30 მილიონი, უფასოდ რომ ეკუთვნოდა და 39% შეღავათიან ფასად, მან, ის 3500 აქციონერი ფეხებზე დაიკიდა, არაფერი არ მისცა და მათხოვრებად აქცია.

იგივე გააკეთა სტალინის სახელობის ვაგონშემკეთებელ ქარხანაშიც. აქაც, იმავე ძმაკაცის — კაკოს რჩევით, დირექტორობიდან გაათავისუფლა ტარიელ ჯაბაური და მის ადგილზე დანიშნა ისევ ლანჩხუთელი — ბადრი წილოსანი და ცოტა ხნის მერე, ეს 100-მილიონად ღირებული ქარხანაც მეორე ლანჩხუთელს მისცა, იქ მომუშავე პერსონალი კი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა...

შევარდნაძის დროინდელმა ყაჩაღმა პარლამენტარებმა, რომლებმაც ქვეყნისა და ხალხის ქონება ყაჩაღობით რომ ჩაიგდეს ხელში, ამ ქონებას მაშინვე ჯერ კერძო საკუთრება დაარქვეს, მერე სასწრაფოდ, ამ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის კანონი მიიღეს, რომ ხალხს თავისი კუთვნილი ქონება ვეღარ მოეთხოვა, მერე ამ ნაყაჩაღარი ქონების გამოკვლევა მერე კანონით აკრძალა, ამიტომ ვეღარც მოითხოვეს და ხალხის მასები მათხოვრად აქციეს. სხვა რესპუბლიკებში კი ყველამ კანონით, კუთვნილი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, მიიღო. ამიტომ ყველა რესპუბლიკაში ხალხი დღეს ჩვენზე უკეთესად ცხოვრობს.

შევარდნაძის პარლამენტში სესიაზე სიტყვით გამოსულ ბესო ჯუღელს ერთმა პარლამენტარმა პირდაპირ უთხრა: — წესიერებაზე და კანონიერებაზე შენ ხმას როგორ იღებ! შენი მინისტრობის დროს ორი ქარხანა კუპონებით ჩაიგდე ხელში, მაშინ იმ კუპონებით ორ კგ. ხორცსაც ვერ იყიდდი. უნდა შევქმნათ პარლამენტის კომისია, ხალხისა და ქვეყნის ქონება, ვინც შენსავით მუქთად ჩაიგდო ხელში, უნდა ჩამოვართვათ და კუთვნილებისამებრ ისევ ხალხს და ქვეყანას უნდა დავუბრუნოთო. ბესომ იმ დეპუტატს მაშინვე უყვირა: რას ამბობ, ეეე! კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის კანონი იმიტომ მივიღეთ, რომ ჩემს ქონებას ვერავინ ვერ შეხებოდა! ჩემს ქონებას კანონი იცავს, ვერაფერსაც ვერ ჩამომართმევთო.

განცვიფრებული ვარ ჩვენი ხალხის გულგრილობით, დღესაც რომ არ ითხოვენ შევარდნაძის პარლამენტის მიერ მიღებული ისეთი ამაზრზენი კანონის გაუქმებას, როგორიც არის: ნაყაჩაღარი ქონების გამოკვლევის აკრძალვა — ტაბუს მოხსნა. ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი რომ გახდეს: ამა და ამ ყაჩაღმა საიდან „შეიძინა“ ესა თუ ის ქონება?! გამოფხიზლდით და ხმა ამოიღეთ, ხალხნო!!! გეყოთ ამდენი ძილი, ხომ ხედავთ, ხალხი დაბეჩავდა და გაუბედურდა!

ახალი პარლამენტის მოსვლისთანავე მის თავმჯდომარეს დ. უსუფაშვილს მაშინვე მივწერე, რომ შევარდნაძის მიერ ჩადენილი დიდი ბოროტება ჩვენი მოსახლეობისადმი ნაწილობრივ მაინც გამოესწორებინა. ხალხის ქონება, თავის კლანს რომ დაურიგა, მათთვის ჩამოერთვათ და ხალხის ქონება ხალხისთვის ნაწილი მაინც მიეცათ. მან, გასული წლის 07.02 თავისი №11917/1-7 წერილით მაცნობა: თქვენ მიერ დასმული საკითხები პარლამენტის კომიტეტებში იხილებაო.„ათი ასე ხანგრძლივი განხილვა მაძლევს იმის უფლებას, ვთქვა: ისინი ფიქრობენ: შევარდნაძემ ვის რა წაართვა, რა ჩვენი საქმეა! აუტკივარი თავი რატომ ავიტკიოთ, მყუდრო ცხოვრება რატომ დავირღვიოთ და გავირთულოთო! ეს იმაზე მეტყველებს, ჩვენი ხალხი არავის არ აინტერესებს და ყველას ფეხებზე ჰკიდია!

ხალხის ქონებით გამდიდრებულმა დღევანდელმა ყაჩაღმა კაპიტალისტებმა ასეთ ყაჩაღურ სისტემას დემოკრატიული წესწყობილება უწოდეს. ხალხის ქონებით მილიონები რომ იშოვეს, მათ მიერ მათხოვრადქცეულებს დასცინიან და გაიძახიან: უყურეთ, კაცო! ამ სულელ ხალხს დემოკრატია არ მოსწონს და უკან, ისევ სოციალიზმისკენ იყურება და ისევ იმ სოციალიზმს მისტირის. რა თქმა უნდა, ხალხის ქონებით გამილიონერებულ ვერაგებს სიტყვა „სოციალიზმის“ გაგონებაც კი შიშის ზარსა სცემთ. ამიტომ თავიანთი ვერაგული ნათქვამებით ხალხის გაბრიყვებას ცდილობენ. ხალხის ქონების უთოფოდ წართმევას ეს მტაცებლები, ვიმეორებ, დემოკრატიას ეძახიან. მე ვერ წარმომიდგენია ამხელა ცინიზმი, თვალებში ნაცრის შეყრა და ხალხის ასე აბუჩად აგდება, კიდევ რომელიმე სახელმწიფოში მომხდარიყოს.

2. ხალხის ქონებით გამდიდრებული კაპიტალისტები, სოციალისტურ წყობას რომ ლანძღავენ, ჩემი სწავლის პერიოდში ჩემსავე კლასში, ჩემნაირ ფრონტზე მამადაღუპულ, გაუბედურებულ ბავშვებთან ერთ მერხზე ისხდნენ: რაიაღმასკომის თავმჯდომარის, რაიკომის მდივნის და იმ სოციალისტური წყობის სხვა თანამდებობის პირთა შვილები და ჩვენ, ყველა სახის ბავშვური თამაშები ერთი გვქონდა და ჩვენ შორის არავითარი პრივილეგირებული ბავშვები არ არსებობდნენ — არც კლასში და არც გარეთ. აბა, ახლა, მარტო მილიონერთა შვილები კი არა, კარგი შეძლებული მამების შვილები, რომელთა მამებს თავი ერისკაცებად რომ მოაქვთ, ამ, მათი გაგებით, დემოკრატიული საზოგადოების დროს, ერთი შვილი მაინც დამისახელონ, უბრალო ხალხის შვილებთან ერთად რომ სწავლობდეს? ნურას უკაცრავად, მათ უბრალო მუშების შვილებთან ახლოსაც არ აკარებენ და ყოველ მათგანს დაცვა დაჰყვება. ხოლო მათი სახლების გალავნებს დღედაღამ დამცველთა რაზმები უვლიან გარს. ჩვენ უმაღლესებში სწავლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ისინი საზღვარგარეთის პრესტიჟულ უმაღლესებში: ჰარვარდებში, პრინსტონებში, ოქსფორდებსა და კემბრიჯებში სწავლობენ. უბრალო ხალხო! ახლა თქვენ განსაჯეთ და იფიქრეთ: სოციალისტური სისტემა სჯობდა თუ კაპიტალისტური ჯობიან?

3. ყველასთვის ცნობილია, რომ საბჭოთაა კავშირს დედამიწის ზურგის ერთი მეექვსედი ეკავა და ამ ერთ მეექვსედზე ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა ყველაზე კარგად ცხოვრობდა. ამას თუ დავუმატებთ აზია-აფრიკის გაუბედურებულ ქვეყნებს, გამოდის, რომ დედამიწის ზურგის 2/3-ზე, ყველაზე კარგად ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა ცხოვრობდა. ამიტომ იყო, რომ ერთი ძმა მეორე ძმის ნაცვამი ტანსაცმლის ჩაცმას არ კადრულობდა. დღეს კი, ეროვნული მოძრაობის ნაქები კაპიტალისტების მეოხებით, მაშინდელი ჩვენი თავმოყვარე ხალხი, ახლა ძმის ტანსაცმელს კი არა, ვიღაც საზღვარგარეთელი ჭირიან-შიდსიანების გადაყრილ ძონძებსაც სიამოვნებით იცვამს. აი, რა მოუტანა ამერიკის გაბრიყვებით მოტყუებულმა ჩვენმა ეროვნულმა მოძრაობამ საკუთარ ხალხს.

4. იმ მოძრაობის დროს, პირდაპირ, მოურიდებლად რომ ვეუბნებოდი: — რას შვრებით, ხალხო! თქვენ ამ სულელური საქციელით, გარედან კაპიტალისტებმა რომ შემოგვიგდეს, ქვეყანას დაღუპავთ-მეთქი. ბევრი მათგანი მაშინვე, დაუფიქრებლად მომაძახებდა ხოლმე: პარტიული ფუნქციონერი! ერის მოღალატეო, კაცს, რომელსაც პარტიულ ფუნქციონერობასთან არასდროს არაფერი საერთო არ მქონია, ხოლო ზოგი მეუბნებოდა: ეროვნული მოძრაობის ლიდერები სულ იმას გვეუბნებიან: დამპალ სსრკ-ს რომ გამოვეყოფით და აყვავებული კაპიტალიზმის სისტემაში შევალთ, ყველა ბედნიერად იცხოვრებთო. ასეთი სისულელეებით გვმოძღვრავდნენ ჩვენი უტვინო ვაი-პატრიოტები, რომლებიც მათმა ნაქებმა კაპიტალიზმმა დღეს ულუკმაპუროდ დატოვა, მათხოვრად აქცია და ბევრი მათგანი შიმშილისგან სულს ღაფავს, ხოლო ბევრი მათგანის ცოლები, ქალიშვილები, დები და სხვა ახლობლები ოჯახებს პროსტიტუციით არჩენენ. ამის საილუსტრაციოდ ერთი 37 წლის ოჯახიანი ქალის პრესაში გამოქვეყნებული წერილიც კმარა სათაურით: „შემზიზღდა ჩემი სხეული და საქართველო მთელი“. მას თავი იმიტომ შეზიზღდა, რომ ის იძულებულია, ოჯახის სარჩენად, ფულის გულისთვის ყველა ბინძური და აყროლებული მამაკაცის ქვეშ დაწვეს.

ჩვენო „დიდო სწავლულებო“, ხალხს რომ ატყუებდით და თავსაც იტყუებდით: რუსს რომ გამოვეყოფით, სიმდიდრეს ვეღარ წაგვართმევს და ათჯერ უკეთესად ვიცხოვრებთო! სად არის სიმდიდრე! რატომ გაუბედურდა ერი?! 1991 წლის შემდეგ ბევრი თქვენგანი სადგურის მეტროში გადასასვლელზე შუბლზე შლაპაჩამოფარებული ხელგაშვერილი რატომ იდექით ხოლმე?! რატომ არ ჭამეთ ის სიმდიდრე, „რუსი რომ გვართმევდა“?! ბიძინას თავისი მოწყალება რომ არ მოეღო, ზოგი თქვენგანი დღესაც ხომ იდგებოდით ქუჩებში ხელგაწვდილი?! და ღირსებიც იქნებოდით!

5. არცთუ ისე იშვიათად დიდმოხელენი იტყვიან ხოლმე: ინვესტორი რომ არ მოდის, ჩვენი ეკონომიკა ამიტომ წინ ვერ მიდისო. როგორ შეიძლება იმ სისტემას სისტემა ეწოდოს, რომლის ეკონომიკაც დამოკიდებული იქნება რომელიღაც ქვეყნის ვიღაც ინვესტორის მისვლა-არმისვლაზე? ეს სისტემა კი არა, ანარქიაა. გაკვირვებული ვარ, ენა როგორ უბრუნდებათ, ვინც იმ გეგმიურ, ბრწყინვალე სოციალისტურ სისტემას აძაგებს, რომლის ეკონომიკისთვის უცხოა რომელიღაც ქვეყნების ვიღაც ინვესტორების მისვლა-არმისვლა. აქედან გამომდინარე, ამ ამყაყებულ კაპიტალისტურ სისტემას როგორ შეიძლება სისტემა ეწოდოს! ვიმეორებ: რომელი ქვეყნის ეკონომიკაც დამოკიდებული იქნება რომელიღაც ქვეყნის ინვესტორის შესვლაზე და როგორ შეიძლება ასეთ სახელმწიფოს სახელმწიფო ეწოდოს?!

6. ახლახან გავიგე, ჩვენს დღევანდელ პარლამენტს მოსამართლეთა უდანაშაულობის კანონი მიუღია. სახელმწიფო, რომელიც მოსამართლის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას უდანაშაულოდ ჩათვლის და მას ამისათვის პასუხს არ აგებინებს, ასეთ სახელმწიფოში და თანაც ჩვენი მენტალიტეტის ხალხის სახელმწიფოში, წესიერება ოდესმე იქნება?! ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასეთი კანონის არსებობის შემთხვევაში ქვეყანაში სამართალი არასოდეს არ იქნება — ასეთი კანონის არსებობა ხელს შეუწყობს ნათლიმამობას და კორუფციას. აქედან გამომდინარე: ვინც ამ ბოროტმოქმედ კანონს მხარს დაუჭირა და ხმა მისცა, დამნაშავეა.

თქვე დალოცვილისშვილებო! 200-300 ლარზე მომუშავე ექიმს, რაღაც რომ შეეშალოს და ამას ფატალური შედეგი მოჰყვეს, ამ შემთხვევაშიც კი ჩვენი კანონი ექიმს მკაცრად სჯის.

რაც შეეხება რამდენიმე ათას ლარზე მომუშავე მოსამართლემ როგორი დანაშაულებრივი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, შეგნებულადაც კი, მას ამისთვის კანონით პასუხი არ მოეთხოვება! ეს არის კანონი და კანონიერება?!

ისეთ ქვეყანაში, რომელშიც აღნიშნული უკანონო კანონები იარსებებს, შეიძლება მას ნორმალური ქვეყანა ეწოდოს?!

ავთანდილ ჟურხული,
ინჟინერი, ომისა და შრომის ვეტერანი, სახელმწიფო სამარი ჯილდოების კავალერი
593 36 00 15

◆ ფასიანი წერილი

პერიფერიის საგანმანათლებლო პარალოგიზმი

ზუგდიდის საგანმანათლებლო სივრცე ბიუროკრატიული აპარატის მუშაკთა საყურადღებო რაოდენობით გამოირჩევა. მან გამოკვეთა მიმართებები ისეთ მონათესავე ინსტიტუციებთან, როგორიცაა ქალაქ ზუგდიდის მერიის „კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური“ (ზამირა ღადუა), „განათლების განყოფილება“ (გიგლა სულამანიძე) და „ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (გონერი პაპავა). საკრებულოს ეგიდითაც არსებობს შესაბამისი კომისია. მსგავსი სტრუქტურა მოქმედებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოშიც. მასადამე, განათლების ჰოლისტურ სულისკვეთებას რამდენიმე ათეული მოხელე იცავს. ამ დროს კი, ქალაქის „მაგისტრატურებიდან“ ისმის ფრაზები „არ მეხება“, „არ ვიცი“. თვითრეფერენციულ ჩინოვნიკთა ინტერპრეტაციით, თურმე, მათ არ ეხება ისეთი „წვრილმანი“, როგორიცაა პედაგოგებისთვის წლობით გაუცემელი ხელფასის პრეცედენტი (კოლეჯი „გამა“, დირექტორი: გიორგი ფარულავა). არ ეხებათ იმიტომ, რომ ისინი, თითქოს, ყოველგვარი გადაწყვეტილების მიღებისას უძლურნი არიან, რადგან წარმოადგენენ მხოლოდ შუამავალს ზემდგომ უწყებებსა და ადგილობრივ საჯარო სკოლებს, კოლეჯებსა და „უმაღლეს“ სასწავლებლებს შორის.

გაუცნაურებულია ანდაზა: „შუაკაცის გული ხალვათიაო“. იბადება კითხვა — საჭიროა ამდენი შუამალი? როგორ შეიძლება განისაზღვროს **არიადნეს ძაფის** ფაქტორი?

განათლებას და მეცნიერებას ჭირდება კვლევის საგანი, ობიექტი, რომელიც **აზროვნების** სამოქმედო არეს წარმოადგენს. როგორც სწავლული (მასწავლებელი) ისპობა მსჯელობის აღკვეთით, ისე საგანმანათლებლო სტრუქტურაც აზროვნების გაუქმებით თავის არსებობას წირვას გამოუყვანს. განათლების ძირითადი მიზანი მისი ექსტენსიური ზრდა-განვითარება კი არ არის, არამედ **ინტენსიური**; არა სიმრავლე, არამედ **სიღრმე.**

მეცნიერის მნიშვნელობა უპირველესად ახალი პრობლემების მკაფიოდ დასმაში უნდა დავინახოთ და არა მათი გადაჭრის უცილობელ ჭეშმარიტებაში. დამოუკიდებელი აზროვნებისადმი მისწრაფებაც დიდ როლს თამაშობს. როდესაც ნამდვილი მეცნიერი **გოეთესეულ ვაგნერებთან** ბრძოლაში მოხვდება, არ უნდა გაჩუმდეს, რადგან მისი ერთ-ერთი ბაზისი არის წიგნი. შესაძლოა **ვაგნერებთან** ურთიერთობის გამო მან ბევრი „ტალახი“ მოიცხოს, მაგრამ, მაინც, ძალუძს განიწმინდოს სუროგატისგან.

განათლება რომ გამოსადეგია თავისთავად, მიუხედავად პრაქტიკული სიკეთისა, რომელიც მას პირუთვნელად მოაქვს, ამ ზეობისთვის კომერციული სასწავლებლების „ელიტას“ არ მიუღწევია და ვერც გაიტანდა ლელოს მერკანტილიზმის გამო. სწორედ ამიტომ უნდა დამკვიდრდეს **უანგარო ცოდნის კულტი.**

კვაზიგანმანათლებლებმა მოამზადეს ნიადაგი კულტურულ ღირებულებათა ნიჰილისტური უარყოფისთვის. ბრძენის ნიღაბი მოარგეს უმეცარს. ჭეშმარიტად მეცნიერს კი წარსულისა და მომავლის ინტუიციის ნიჭი სჭირდება. კვლევა-ძიების საგანი არა მხოლოდ მშრალად უნდა განიაზრებოდეს მის გონებაში, არამედ ცოცხლობდეს წარმოსახვაში. სინთეზური დებულებების გამოყენება გააფართოებს მეცნიერის ცოდნას, რაც სიზუსტისა და გარკვეულობის ერთგვარი გარანტია გახდება.

ფსევდორეფორმატორთა „შეცდომა“ ის იყო, რომ ისინი ვარაუდობდნენ, მეცნიერთა მორჩილება უზრუნველეყოთ ამ სწავლულთა სრული დამონებით ადმინისტრაციისა თუ მომსახურე პერსონალის მიერ. აკადემიური თანამდებობის პირის ეპილოგი მომსახურე პერსონალისთვის გახდა პროლოგი. მაგრამ ყოველი ფსევდორეფორმატული მიზანმიმართულება ეფუძნება სოფისტურ და ვერბალურ ცოდნას.

ცვლილების განხორციელება ანარქიის აცდენით შესაძლებელია მაშინ, როდესაც იგი ტარდება **წესიერად.** რეორგანიზაცია უნდა ტარდებოდეს წესრიგის დაურღვევლად, მეცნიერთა მიერ წინასწარ გონივრულად მოფიქრებული გეგმით და არა ტექნიკური პერსონალის აღშფოთებული გრძნობით გამოწვეული „რევოლუციის“ საშუალებით.

დასასრულ, სტატიის მიზანია არა ზნეობის დოგმატური ქადაგება, მორალისტების მსგავსად, არამედ ეთიკის ნამოთეტური ანალიზისა და მეცნიერული განსაზღვრის ცდა.

ნუგზარ გულორდავა

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

—ჩემი მეუღლე პატიმარია. მას მისჯილი აქვს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსურს მასთან განქორწინება. არის თუ არა ეს შესაძლებელი, მისი პატიმრობის გათვალისწინებით და, თუ შესაძლებელია, როგორ მოხდება ეს სამართლებრივად?

- ეს შესაძლებელია. დაგიკონკრეტებთ:

-საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინება ხდება იმ პირთან, რომელიც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

ამავე კოდექსის 1139-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლე, რომელსაც სურს განქორწინება ხსენებული საფუძვლით, ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან განაჩენის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მეორე მეუღლეს შეფადებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეტანილი განცხადების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აუწყებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მეუღლეს. უწყებაში უნდა განისაზღვროს იმის თაობაზე პასუხის შეტყობინების ვადა, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

დავის არსებობის შემთქვევში განქორწინების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივაა.

* * *

— სამსახურებრივი საქმიანობის დროს ხელი დამიზიანდა სერიოზული გართულებებით. მაქვს გასაკეთებელი ოპერაცია. ხელმძღვანელობამ უარი მითხრა ოპერაციის ხარჯების გადახდაზე. შემაქვს სარჩელი სასამართლოში. მეკუთვნის თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადახდა?

- არ გეკუთვნით. დაგიკონკრეტებთ;

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები - დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე.

წარმოდგენილი ნორმის მიხედვით, თქვენი შემთხვევა განიხილება ჯანმრთელობის სხვა დაზიანებად. აუცილებლად უნდა წარადგინოთ სასამართლოში სარჩელთან ერთად ცნობა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და, ასევე, მოგიწევთ მტკიცება იმის შესახებ, რომ ეს დაზიანება თქვენ ნამდვილად მიიღეთ სამსახურში არა თქვენი ბრალეულობით.

* * *

— წარმოშობს თუ არა ჯვრისწერა მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს?

-არა.

-საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.

Google-ს თანამშრომლთა პრეტენზიები

ინტერნეტში კორპორაცია Google-ს თანამშრომლების შიდა-ჩატის ჩანაწერები გავრცელდა. ჩანაწერებიდან ირკვევა, რა „საშინელ პირობებში“ უწევთ მუშაობა კომპანიაში დასაქმებულ ადამიანებს.

„იმის გამო, რომ საჭმელი შეუზღუდავია, ვსუქდები“, „სასმელი სამზარეულოში არ არის საკმარისად ცივი, ამის შემდეგ როგორ ვიმუშაო?“ - აი, ასეთი პრეტენზიები აქვთ გოოგლე-ს თანამშრომლებს კომპანიის ხელმძღვანელობის მიმართ.

გთავაზობთ კორპორაციის რამდენიმე თანამშრომლის საჩივართა სიას.

1. „ძალიან დიდი გზის გავლა მიწევს სპორტდარბაზამდე. ჩემს კორპუსშიც უნდა გახსნათ ტრენაჟორები, რათა სიარულში დრო არ დავკარგო“.

2. “ეს 100 დოლარიანი ყურსასმენები, რომლებიც უფასოდ გვირიგდება, ვარცხნილობას მიფუჭებს”

3. “ყოველთვის, როდესაც დილით მასაჟისტთან მივდივარ, (მასაჟისტი ”გუგლის” ოფისშია) მთელი დღე სახე დაწითლებული მაქვს ბალიშისგან”

4. “8-დან 5 უფასო მაისური, რომელიც წელს მაჩუქეს, შავია. მე ცისფერი მიყვარს. ძალიან მაღიზიანებს ეს ფაქტი”

5. “როდესაც პარაშუტით კორპორატიული ხტომა მოგვიწყვეს, გვითხრეს რომ თავისუფალი ვარდნა 50 წამს გაგრძელდებოდა, სინამდვილეში კი 41 წამს გაგრძელდა”

6. “ჩემი 30 დიუმიანი მონიტორი ხედით ტკბობის საშუალებას არ მაძლევს”

7. “მასაჟორი სკამის ფუნქციებს შორის განსხვავებას ვერ ვხვდები”

8. “ზოგჯერ, როდესაც სამზარეულოში რომელიმე სასმელის ასაღებად მივდივარ, აღმოჩნდება, რომ ის სულ ახლახან შეინახეს მაცივარში და შესაბამისად, გაციება ვერ მოასწრო. ამის შემდეგ როგორ ვიმუშაო?”

9. “დივანი ჩემს კაბინეტში არაა საკმარისად დიდი, რომ თავისუფლად დავწვე”

10. “იმის გამო, რომ გოოგლე-ში კვირაში 14-ჯერ ვჭამ, ლამის ერთი წელია არაფერი მომიმზადებია და ამით ჩემი კულინარული უნარები დეგრადაციას განიცდის”

11. “სადილზე მთელი პიცა შეჭამეს და მე სტეიკის ჭამა მომიწია. რა საშინელებაა”

12. “კომპანია ყოველთვის უახლესი მოდელის ტელეფონებს გვაძლევს და მე ყოველ ჯერზე მათი შესწავლა მიწევს”

13. “ვსუქდები იმიტომ, რომ უფასო საკვები შეუზღუდავია”

14. “კორპორატიულ წვეულებაზე, ჰავაიზე, მზეზე წოლისას დავიწვი”

15. “სამსახურში საუზმის დროს ისე ვძღები, რომ სადილამდე წესიერად არც კი მშივდება”

16. “ჩვენს შენობაში სათამაშოების ოთახში ავტომატები შეზღუდულია, ამიტომ სათამაშოდ სხვა კორპუსში გადასვლა მიწევს”.

17. “ჩემი კაბინეტი ერთნაირადაა დაშორებული ორი სხვადასხვა სამზარეულოდან და ამიტომ ყოველ ჯერზე მიწევს იმის გადაწყვეტა, თუ რომელში მივირთვა”

აღსანიშნავია, რომ Google ძალიან ანებივრებს თავის თანამშრომლებს. გარდა მაღალი ხელფასებისა, კორპორაციაში დასაქმებულ ადამიანებს მუშაობისა და დასვენებისთვის ყველანაირი კომფორტი აქვთ შექმნილი.

davexmar oT j aba bo j guas!

საბანკო ანგარიშია GE22BR0000010381699630
ბანკი „რესპუბლიკა“
მანანა გვასალიას სახელზე.
ჯაბა ბოჯგუას დახმარების მსურველებმა ბილაინის და მაგთის აბონენტებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე 0901 700 039
ტელ.: 599 40 00 13 მანანა გვასალია

ენდეთ ლელას, გიმკურნალებთ!

ლელა დეკანოსიძე ნათლიამ (ლეილა ნადირაძემ) პატარაობიდანვე აზიარა წამალთმცოდნეობას. მოგვიანებით ნათლიამ თავისი რეცეპტები გადასცა და უთხრა: „თავის დროზე ეს „განძი“ დეიდაჩემმა გადმომცა და, იცი შენ, რამდენი გაჭირვებული მიხსნია უანგაროდ, მე არ მიფიქრია ამით გამდიდრება, არც შენ ხარ გულხარბი და ვიცი, ვის ხელშიც ვტოვებ ამ ჩანაწერებს“.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ვიდრე შვილები პატარები ჰყავდა, ლელამ თავისი ცოდნის რეალიზაცია ვერ მოახერხა. მაგრამ, როცა შვილები თავის გზას დაადგნენ, უფრო მეტი დრო დაუთმო სამკურნალო ბალახებს და ახლა მრავალი მადლიერი ადამიანის თბილი სიტყვებით იხალისებს ცხოვრების შემოდგომას. თუკი ვინმეს აწუხებს სოკო, ბუასილი, ქუსლებზე ნახეთქები, სახსრები, კუჭ-ნაწლავი, ჩირქოვანი გამონაყრები, ღრძილების დაავადებანი, ნაწოლები და სხვა, ლელას მალამოები უებარი წამალია. და რაც მთავარია, დაავადების ხარისხის მიხედვით ინდივიდუალური მალამოების დამზადება მრავალ ფიტოთერაპევტს არ ეხალისება, მაგრამ ლელას პირიქით, ასეთი მიდგომა ავადმყოფისადმი აუცილებლად მიაჩნია.

ლელას უამრავი ადამიანი ჰყავს განკურნებული თავისი მალამოებით.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ლელა დეკანოსიძეს შემდეგ ნომრებზე:
571 05-94-39; 593 64-63-03; 2 67-32-06

ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – კარგი სიახლე და საუკეთესო პერსპექტივები გელოდებათ. მოთმინება იქონიეთ ოჯახსა და სამსახურში. სირთულეებს ადვილად გაართმევთ თავს.

კურო – გაგიჩნდებათ პრობლემები და, მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა, მაინც ვერ დასძლევთ. გულს ნუ გაიტეხთ, თუ გადახედავთ განვლილ დღეებს, კმაყოფილი დარჩებით.

ტყუპები – თქვენს პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებები გაჩნდება. აგიხდებათ ულამაზესი სიზმარი. სასიამოვნო ცვლილებები გელით.

კირჩხიბი – გამოიჩინეთ სიფრთხილე. ერთ-ერთი ნაცნობი ეცდება, საკმაოდ უსიამოვნო საქმეში ჩაგითრიოთ. ხუთშაბათს პერსპექტიულ წინადადებებს შემოგთავაზებენ.

ლომი – სასურველია, ფული დახარჯოთ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ეს კვირა უფრო მეტად დაგარწმუნებთ საკუთარ შესაძლებლობებში. სამშაბათს გელოდებათ სოლიდური ჯილდო. ტელეფონით მიიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ქალწული – შემოთავაზებული საქმე კარგად აწონ-დაწონეთ. ეს კვირა კარგ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს სამედიცინო თვალსაზრისით. დასაშვებია კბილების ყველანაირი მკურნალობა.

სასწორი – გირჩევთ, აქტიური ქმედებისაგან თავი შეიკავოთ. პარტნიორებისგან კარგი სიახლეა მოსალოდნელი. კვირის მეორე ნახევარში, სავარაუდოდ, ხუთშაბათს, აგისრულდებათ სურვილი, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობთ.

მორიელი – ეს დღე მნიშვნელოვან ცვლილებებს არ გპირდებათ. ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში წარიმართება.

მშვილდოსანი – შეიძლება, უხერხულ და გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, თუმცა ადვილად დაძლევთ პრობლემას, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია თქვენთვის.

თხის რქა – შანსი გაქვთ, გამონახოთ კარგი, შემოსავლიანი სამსახური. გელით საჩუქარი და მხიარული სუფრა თქვენთვის სასურველ საზოგადოებაში.

მერწყული – საფრთხე არ გემუქრებათ, მაგრამ სიფრთხილის გამოჩენა ურიგო არ იქნებოდა. მოულოდნელად შეიძლება უცხო გარემოში მოხვდეთ. გაგიჩნდებათ ახალი საქმიანი ურთიერთობა, აუცილებლად პერსპექტიული.

თევზები – სასიყვარულო შეხვედრა და შთამბეჭდავი მოვლენები გელოდებათ. იყავით კრიტიკული საკუთარი თავის მიმართ.

ISSN 2233-3983